

საქართველოს ილიუმთაჲა

1239
2014



საქართველოს



ბიბლიოთეკა



ჰირველი ივნისი -
გაგზვთა დაცვის დღე

რედაქციის მისამართი:
თბილისი ვაკედიის ქ.
№18, ბ. 16
ფედ 223-02-98
297-16-83



ჟურნალის რედაქცია:
ადექსანდრე ღორია
- მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი
- მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
გუდნარა სცურუა
- სამეცნიერო-მეთოდური და
კორესპონდენტებთან მუშაობის
რედაქტორ-კოორდინატორი



ინლსაწარმო „ალი“
დამფუძნებლები: საქართველოს
პარლამენტის იდია ქავჭავაძის
სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკა; საქართველოს
საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ



შინაარსი

საკვალიფიკაციო მოთხოვნა და მისი აღსრულების პირობები 5

ნიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე – ბელგიის სამეფო ბიბლიოთეკის მარგალიტი – წმინდა ბიბლია 6

ბიბლიოთეკების ისტორია

იური სიხარულიძე – აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნა სოფელ გოგოლესუბანში 8

ლიტერატურული ძიებანი

მარინა სამადაშვილი – მზის სიმბოლიკა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში (გაგრძელება) 9

ელბერდ ბატიაშვილი – ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“ 12

კვირეული – 2014

გურამ თაყნიაშვილი – შემობრუნება ნიგნიერებისაკენ (მასალების მიმოხილვა) 15

ღირსეული თანამემამულენი

გულნარა სტურუა – დიდი ქართველი მეცნიერი – ნიკო მარი 33

სიტყვა პროფესიონალზე

ქეთევან ნიკურაძე – კვალი კეთილი 35

მარინა საგანელიძე – ჩემი საყვარელი ლექტორი 36

კორესპონდენციები

გულნარა საღინაძე – შეხვედრა მთავარ ბიბლიოთეკაში 37

დავით სოლომნიშვილი – კიდევ ერთი საღამო „კათარზისში“ 38

რეცენზია

ალექსანდრე ლორია – სამაგალითო პიროვნების უტყუარი სახე 40

გურამ თაყნიაშვილი – „მე სახელად ლექსის ქალი მქვია“ 41

ინფორმაცია

„ჩვენი ღირსებანის“ – ახალი ტომები 43

ძვირფასი გამოცემა ტექნიკური ჩრდილებით 44

მეცნიერული დარგის ორიენტირი

უძველესი ქართული მხარის ეთნიკური ისტორიიდან 45

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები 45

ნეკროლოგი

მოსაგონარი 48

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 2 (55) – 2014
Содержание

Квалификационные требования и условия их выполнения5

История книги

Нино Хведелидзе – Жемчужина бельгийской королевской библиотеки – Святая Библия.....6

История библиотек

Юрий Сихарулидзе – Открытие библиотеки им. акад.

Н. Бердзенишвили в селе Гоголесубани8

Литературные изыскания

Марина Самадашвили – Символика солнца в творчестве Нодара Думбадзе (Продолжение) ...9

Элберд Батиашвили – Илья Чавчавадзе и «Витязь в тигровой шкуре»12

Неделя библиотек – 2014

Гурам Такниашвили – Поворот к книге (Обзор материалов).....15

Славные соотечественники

Гульнара Стураа – Великий грузинский ученый – Нико Марр33

Слово о профессионалах

Кетеван Никурадзе – Добрый след.....35

Марина Саганелидзе – Мой любимый лектор36

Корреспонденции

Гульнара Сагинадзе – Встреча в главной библиотеке37

Давид Соломнишвили – Еще один вечер в «Катарзиси».....38

Рецензия

Александр Лория – Истинное лицо примерной личности.....	40
Гурам Такниашвили – «Я - женщина стиха»	41

Информация

«Наши достоинства» - Новые тома	43
Дорогое издание с техническими погрешностями	44
Ориентир научной отрасли.....	45
Из этнической истории старейшего грузинского края	45

Хроника

Хроника библиотечной жизни Грузии: явления, факты	45
---	----

Некролог

Воспоминания.....	48
-------------------	----

The Georgian Library N 2 (55)-2014

Content

Qualification requirements and its expire conditions.....	5
---	---

The history of book

Nino Khvedelidze – The pearl of Royal Library of Belgium – Holy bible.....	6
--	---

The history of libraries

Iuri Sikharulidze – Opening the library of the name academician N. Berdzenishvili in the village of Gogolesubani.....	8
---	---

Literacy Search

Marina Samadashvili - The symbol of sun in the Nodar Dumbadze's creativity (continue).....	9
Elbert Batiashvili – Iliа Chavchavadze and “The knight in the panther’s skin”	12

Week -2014

Guram Tayniashvili – Turn to literacy (material review)15

The worthy patriots

Gulnara Sturua - A big Georgian scientist – Niko Mari33

The word about professional

Ketevan Nikuradze – Kind trace.....35

Marina Saganelidze – My favourite lecture.....36

Correspondence

Gulnara Saginadze – The meeting at the main library37

Davit Solomnishvili – One more evening at the “Katarzisi”38

Review

Alexander Loria – The face of exemplar person.....40

Guram Tayniashvili – “I am the woman of poem”41

Information

“Our dignity’s” – new volumes.....43

Precious edition with technical shades.....44

The reference of scientific field45

Ethnic history of the oldest Georgian side.....45

Chronicle

The chronicle of Georgian library lives:events, facts...45

Obituary

Memorable.....48

საკვალიფიკაციო მოთხოვნა და მისი აღსრულების პირობები

„კვალიფიკაცია“ ლათინურიდან მომდინარე სიტყვაა და ზოგადად გულისხმობს, როგორი ხარისხის შრომას ვენევი, რას ვაკეთებ. მისი უფრო კონკრეტული გაგება რამდენიმეგვარია: იგი ნიშნავს მუშაკის პროფესიულად მომზადების ხარისხსა თუ სახეობას. უმთავრესად ის აისახება მუშა პერსონალის ტარიფიკაციაზე, რაც განსაზღვრავს მის თანრიგს, შრომის მატერიალურ თუ მორალურ შეფასებას; გარდა ამისა, ის შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც სამუშაოს გარკვეული სახის დახასიათება, რომლის ძალითაც დგინდება ამ სამუშაოს სირთულე სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, აგრეთვე საგნის ან მოვლენის თვისებისა და თავისებურებების მიხედვით სამუშაოს შეფასება.

საბიბლიოთეკო საქმეში კვალიფიკაცია გამოხატავს სპეციალობის ათვისების დონეს, რამდენად ფლობს მუშაკი სპეციალობას, რამდენად პროფესიულად ასრულებს ის მას.

რაც შეეხება „საკვალიფიკაციო მოთხოვნას“, ეს ნიშნავს იმის განსაზღვრას, თუ რამდენად უნდა ფლობდეს პიროვნება პროფესიას, რამდენადაა დაოსტატებული ის საქმის წარმოებას, როგორ ერკვევა პროცესების მართვის მეთოდოლოგიაში. მოკლედ რომ ვთქვათ, შეუძლია თუ არა მას თავისი ცოდნით წარმატებულად იმუშაოს და შექმნას საწარმოო პროდუქცია, რამდენად არის ის მომზადებული კვალიფიციური შრომისათვის, აქვს თუ არა საჭირო ცოდნა და უნარი წარმატებულად იმოღვაწეოს.

კვალიფიციური შრომა რთული შრომაა. მას ადგენენ ამ სამუშაოს სირთულის, სიზუსტისა და მასზე პასუხისმგებლობის მიხედვით. ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით შრომის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრის, თანამდებობაზე დანიშვნის, დანიანაულების და სხვა შემთხვევაში. სპეციალურადაა შემოღებული კვალიფიკაციის განსაზღვრა, თანრიგების, რანგების, დიპლომების, სამეცნიერო ხარისხების, ნოდების, სერტიფიკატებისა და სხვა ნიშნების მიხედვით. საკვალიფიკაციო მოთხოვნა, როგორც საკანონო დოკუმენტით, ისე ამა თუ იმ უწყების ზემდგომი ორგანოს მიერ არის შემუშავებული და დადგენილი. საყოველთაოდ მოწესრიგებულ პირობებში მისი მხედველობაში მიღება აუცილებელია.

თუკი არსებობს საკვალიფიკაციო მოთხოვნა, უნდა არსებობდეს კრიტერიუმები, რომლებიც განაპირობებს კვალიფიკაციის დონეს. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდება კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა. როდესაც ყოველივე ეს კანონის ძალით არ არის საყოველთაოდ დადგენილი, ამ შემთხვევაში დასაშვებია უწყების ზემდგომი ორგანოს მიერ იქნეს მიღებული საკვალიფიკაციო მოთხოვნისა და შეფასების კრიტერიუმი. დასაშვებია, ამა თუ იმ დანესებულებას ავტონომიური უფლებებიც კი ჰქონდეს მინიჭებული, მაგრამ ეს უნდა იყოს აქ დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის თუ ვაკანტური ადგილის (სერტიფიკატის)ათვის საყოველთაოდ და თანაბარი.

რა კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს საბიბლიოთეკო საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნა?

უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები, საკვალიფიკაციო მოთხოვნა რომელი კატეგორიის, რა თანრიგის თანამშრომლისთვისაა გათვალისწინებული, რომელ დონეს ეხება.

გამომდინარე აქედან, ყველას ერთნაირი მოთხოვნა არ შეიძლება წარედგინოს; პროცესთა სხვადასხვა სირთულის გათვალისწინებით, მხედველობაში მისაღებია შემდეგი: ცენზი (უმაღლესი სპეციალური ან არასპეციალური უმაღლესი); გამოცდილება (სტაჟი) სხვადასხვა დონისათვის სხვადასხვაგვარი; კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ცოდნა;

პიროვნული თავისებურებანი (ფსიქოლოგიური და პედაგოგიური თავისებურებანი, საზოგადოებრივი ინტერესები, ინიციატივა, საშემსრულებლო რეჟიმი, საქმისადმი დამოკიდებულება, კომუნიკაბელურობა და ა. შ.); წინიერების დონე; მომხმარებელთა და კომპეტენტურ პირთა გამომხმარებელი; ბიბლიოთეკის ყველა ციკლში გაცნობიერება; პროფესიული საქმიანობის ელემენტალური ცოდნა, საბიბლიოთეკო პროცესებისა და ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობა; ახალი ტექნოლოგიების მართვის ცოდნა (კომპიუტერი, აუდიოვიზუალური საშუალებები) და სხვა.

პრეტენდენტმა ყოველივე ეს რომ შეძლოს, მას უნდა ჰქონდეს საამისო განსწავლულობა, რაც სათანადო პირობებს მოითხოვს.

როგორც ცნობილია, ამჟამად არსად არ ხდება საბიბლიოთეკო დარგისათვის სპეციალისტების მომზადება. ასეთ პირობებში ძნელია წაუყენოთ ბიბლიოთეკაში მუშაობის მსურველს რაიმე განსაკუთრებით მაღალი პროფესიული ნორმების მიხედვით მოქმედება და სპეციალობის ფლობა. გამოსავალი მხოლოდ მოკლევადიანი სწავლების სისტემის შექმნაშია – მოკლევადიანი კურსები ადგილზე თუ სამსახურიდან მონყვევით. ამას ემატება აგრეთვე ტრენინგები განსაკუთრებით საჭირობო ტიპებზე.

საკვალიფიკაციო კურსების ორგანიზაცია საკმაოდ რთული საქმეა და მაღალპროფესიონალთა კადრებს საჭიროებს. მსმენელები შეიძლება რამდენიმე მიმართულებით (ქვეჯგუფებად) მომზადდნენ: 1. რომლებიც მოცემულ მომენტში არ მუშაობენ ბიბლიოთეკაში ან რომლებიც მუშაობენ, მაგრამ არ არიან სპეციალისტები; 2. ისინი, რომლებიც უკვე მუშაობენ ბიბლიოთეკაში, მაგრამ არა აქვთ სათანადო პროფესიული ცოდნა (აქვთ მცირე თუ დიდი გამოცდილება); 3. პროფესიონალები, რომლებიც საჭიროებენ მიღებული ცოდნის გაღრმავებას, კვალიფიკაციის ამაღლებას. ცხადია, ისინი ყველანი სხვადასხვა პროგრამით უნდა მომზადდნენ. ეს კი ობიექტური მიზეზით, ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

სირთულე ბევრია, როგორც მეთოდოლოგიური, ისე მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით.

საბიბლიოთეკო ასოციაციამ ამ ბოლო დროს მოახდინა ბიბლიოთეკართა მომზადება-გადამზადების საქმის ორგანიზაცია, რაც ჯერ ბოლომდე მიყვანილი არ არის, მაგრამ გამოკვეთილია დადებითი ტენდენციები, თუმცა ურთულესი საკითხები რჩება გადასაწყვეტი, კერძოდ, კურსებისათვის არ არსებობს შესაფერისი ბინა; შემდგომ დაზუსტებასა და დამუშავებას მოითხოვს სასწავლო გეგმა და პროგრამა, საბოლოოდ განსაზღვრება მომზადების ვადები, უნდა შეიქმნას მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები (არსებულის ერთი ნაწილი მოძველებულია), შედგეს პედაგოგთა კორპუსი და ა. შ.

ჩვენი აზრით, ბიბლიოთეკართა მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები დასაშვებია შეიქმნას ყველა ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და იმ დანესებულებებში (უწყებაში), სადაც ბიბლიოთეკა სტრუქტურულად არსებობს, მაგრამ კურსების დამთავრების სერტიფიკატის გაცემის უფლება მხოლოდ და მხოლოდ საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის შესაბამის კომისიას უნდა მიენიჭოს დადგენილი საგამოცდო შემაჯამებელი პროცესის შემდეგ, დამტკიცებული გეგმისა და პროგრამის გათვალისწინებით. ყველგან შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტრენინგები.

საერთოდ, ეს საკითხი სახელმწიფოებრივ მიდგომას მოითხოვს, რაც მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და რაზედაც აქტიურად უნდა ზრუნავდეს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, ყველა შესაბამისი დანესებულების ხელმძღვანელობა.

ნიგნის ისტორია

ენო სვადლიძე

ბელბის სამეფო ბიბლიოთეკის მარბალიტი ზინდა ბიბლია

ხმაურიან და ხალხმრავალ ბრიუსელში, ძველისა და ახლის არაჩვეულებრივი შერწყმა ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეიგრძნობა. თანამედროვე ცათამბჯენების სარკისებურ კედლებზე ირეკლება ძველისძველი ისტორიული ნაგებობები. სტუმართმოყვარე და თავაზიანი ბელგიელები წინაპრების ხსოვნისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას იჩენენ. ქვეყანაში უამრავი მუზეუმი, სასახლე, ციხე-სიმაგრე და კოშკია. ევროპის საპარლამენტო ქალაქში მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო კერაა, მათ შორის



უმნიშვნელოვანესი ბრიუსელის სამეფო ბიბლიოთეკაა. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში აშენებული, ცამეტ ათას კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული ნაგებობა ხელოვნების მთაზე მდებარეობს. ათი მიწისქვეშა და ექვსი მიწისზედა სართულისაგან შემდგარი შენობის შიდა საერთო ფართი 67 000 კვადრატული მეტრი, ნიგნის თაროების საერთო სიგრძე 150 კილომეტრია. აქ არსებული ფონდის შეგროვების ისტორია დაიწყო მე-15 საუკუნეში, როდესაც ბურგუნდიელმა ჰერცოგებმა მანუსკრიპტების შეგროვება დაიწყეს. 1559 წელს მეფე ფილიპ II-ის ბრძანებით უძველესი ხელნაწერები განათავსეს კაუდენბერგის სასახლეში, რომელიც 1731 წელს დაინვა. ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი ხანძარს გადაურჩა და საუკუნეების მანძილზე რამდენიმეჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა. 1837 წელს, მთავრობის გადაწყვეტილებით, იგი ბელგიის სამეფო ბიბლიოთეკად ჩამოყალიბდა. წლების განმავლობაში ბიბლიოთეკის ფონდი მდიდრდებოდა, როგორც ფლამანდიური, ასევე უცხოური გამოცემებითა და კოლექციებით. ბიბლიოთეკაში თავი მოიყარა ათასობით უნიკალურმა ძველნაბეჭდმა და იშვიათმა წიგნმა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია მე-16 საუკუნეში ქრისტოფერ პლანტინის მიერ შექმნილი მსოფლიო პოლიგრაფიული შედევი – „ბიბლია შაცრა“. მისი დათვალიერებისას უნებურად გიჩნდება სურვილი, იხილო, სად იბეჭდებოდა ეს

უნიკალური გამოცემა.

ანტვერპენის დაარსების ისტორია მე-7 საუკუნიდან დაიწყო. ინგლისელი, ვენეციელი და გენუელი ვაჭრები-სათვის ნებადართულმა თავისუფალმა სავაჭრო ურთიერთობებმა ადგილობრივ ბაზარზე დადებითად იმოქმედა. მე-12 საუკუნეში ანტვერპენმა ალორძინების ხანას მიაღწია და არა მარტო ნიდერლანდების, არამედ მთელი ჩრდილოეთ ევროპის უმდიდრეს ქალაქად იქცა. ბურგუნდიელთა მიერ ნიდერლანდების მმართველობის დროს თითქმის ყველა ქარვასლა ამ ქალაქში გადავიდა. მე-16 საუკუნეში ანტვერპენმა ოქროს ქალაქის სახელი მოიპოვა. ესპანელი ჰაბსბურგელების მმართველობის დროს ახალი სამყაროს ოქრომ მის ბანკებში მოიყარა თავი და გაიხსნა დიდი ბირჟა. მდინარე შელდის წყალობით მისი პორტი უმნიშვნელოვანეს სავაჭრო და საფინანსო ცენტრად, ქალაქი კი ევროპის კულტურულ-ეკონომიკურ ბირთვად გადაიქცა. ალმასის წარმოებამ ანტვერპენი კიდევ უფრო პოპულარული გახადა. ცნობილი მხატვრების დამსახურებით ქალაქმა ხელოვნების უმსხვილესი ცენტრის სახელიც მოიპოვა. საუნივერსიტეტო ქალაქი, სადაც ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის, მრავალ ტექნიკურ და კულტურულ ექსპერიმენტატორს იზიდავდა. რელიგიური დევნისაგან თავის დასაღწევად ანტვერპენს აფარებდნენ თავს ევროპელი სწავლულები. მათ შორის იყო ახალგაზრდა ფრანგი - ქრისტოფერ პლანტინი (1520-1589), ტყავის საუკეთესო სპეციალისტი, ნიგნის შემოსველი და მისი გამყიდველ-გამავრცელებელი. 1555 წელს მან დააარსა სტამბა და გამოსცა პირველი ნიგნი. მოგვიანებით მოაწყო გამოცემლობა, რომელსაც „ოქროს ფარგალი“ უწოდა. საგამომცემლო მარკაზეც ფარგალი იყო გამოსახული ლათინური წარწერით – „ბორო ეტ ჩონსტანტია“, რომელიც ევროპის დევიზად იქცა. ფარგალი, როგორც მარადიული შრომის სიმბოლო, ქრისტოფერის საყვარელ ნიშნად გადაიქცა.

პლანტინმა თავის ოფისში მთელი ევროპიდან შემოიკრიბა ავტორები, ამწყობები, მბეჭდავები. საგამომცემლო სახლს ახალ-ახალი შენობები ემატებოდა და თანდათან ფართოვდებოდა. ის ასრულებდა რამდენიმე ფლამანდიელი მესტამბის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის ფუნქციას.

პლანტინის დავალებით, პარიზელმა შრიფტჩამომსხმელმა – გომლე ბემ (1525-1598), თავისი მასწავლებლის ცნობილი გრაფიკორ-შრიფტჩამომსხმელის კლოდ გარამონისაგან (1499-1561) შეისყიდა საუკეთესო შრიფტების პუანსონები და მატრიცები, სრულყო ისინი და ანტვერპენში გაუზავნა ქრისტოფერს. მოგვიანებით პლანტინმა შრიფტჩამომსხმის საკუთარი სახელოსნო მოაწყო. იქ 15 000-მდე სხვადასხვა ასონიშანს ასხამდნენ, რაც 80-მდე სხვადასხვა ტიპის ანბანის ბეჭდვის საშუალებას იძლეოდა. პლანტინისათვის შრიფტს ამზადებდნენ საუკეთესო

პუანსონისტიები რობერ გრანჟონი (1513–1589) და ხენდრიკ ვან დე კერე. არაჩვეულებრივი შრიფტებისა და შესანიშნავი საბეჭდი დაზგების წყალობით „ფიცინა ლანტინიანა“ უმსხვილეს წიგნის ბეჭდვის სანარმოდ გადაიქცა, სადაც პოლიგრაფიული შედეგები იქმნებოდა.

ევროპაში მიმდინარე დიდი რელიგიური და პოლიტიკური რეფორმების დროს პლანტინის სიმპატიები პროტესტანტებისაკენ იხრებოდა, თუმცა იგი ცდილობდა, არ ჩარეულიყო ამ პროცესებში. მის უმნიშვნელოვანეს საქმეს წიგნის ბეჭდვა წარმოადგენდა. მაგრამ ქრისტოფერი ერეტიკული წიგნების ბეჭდვაში დაადანაშაულეს და აიძულეს პარიზში გაქცეულიყო, სადაც ის წელწინადაც მეტყუანს დარჩა, დაბრუნების შემდეგ კი კვლავ განაგრძო თავისი საქმიანობა.

მრავალი სირთულის მიუხედავად, პლანტინი შეეჭიდა უზარმაზარ საქმეს - მრავალენოვანი ბიბლიის გამოცემას. ძველბერძნულ, ძველბრაულ, სირიულ და არამეულ ენებზე დაბეჭდილ ბიბლიას ლათინური პარალელური ტექსტი ახლავს თან. უნიკალური რვატომეული - ბიბლია შაცრა ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის მხარდაჭერით და მისივე დაფინანსებით დაიბეჭდა 1568–1572 წლებში. გამოცემის ბოლო სამი ტომი ბიბლიის განმარტებითი ლექსიკონი და ბიბლიის შესწავლის სახელმძღვანელოა. ფილიპე მეორემ, რომელიც მუდამ მფარველობდა გამომცემლობას, პლანტინთან დასახმარებლად გაგზავნა ენების მცოდნე, ცნობილი ჰუმანისტი ბენედიქტ არიას მონტანუსი (1527–1598). ის 1568 წლის მაისს ჩავიდა ანტივერპენში, სადაც რამდენიმე წელი დაჰყო. არიასი სხვა ენათმეცნიერთან ერთად დღე-ღამის განმავლობაში 11 საათს მუშაობდა. ამ კოლოსალური სამუშაოს დასრულების შემდეგ ის მეფეს წერდა: „აქ ერთ თვეში შესრულდა იმაზე მეტი სამუშაო, ვიდრე რომში ერთი წლის მანძილზე“. ბიბლიის რედაქტირებისათვის მეფე მონტანუსს ყოველწლიურად 300 კრონს უხდიდა, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო.

რვატომეულის „ინფოლიოს“ ფორმატზე გამოცემა ურთულესი სასტამბო საქმე და უდიდესი მიღწევა იყო. ტექსტს კრეფდა და ბეჭდავდა 40 მესტამბე. ბიბლია ექვსი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა.

პლანტინი საგამომცემლო პრაქტიკაში ხშირად იყენებდა სხვადასხვა მასალას ან სხვადასხვა ქაღალდს. ამ მეთოდს მიმართა მან ბიბლიის ბეჭდვის დროსაც. ტირაჟი 1 212 ეგზემპლარს შეადგენდა. 12 წიგნი მაღალი ხარისხის პერგამენტზე დაიბეჭდა, რისთვისაც 16 263 ხბოს ტყავი დაიხარჯა. მათგან ექვსი - ფილიპე მეორეს მხარით რეზიდენციაში, ხუთი - უსახსოვრეს ჰერცოგს, ერთი ეგზემპლარი რომის პაპს შესწირეს, დანარჩენი 1200 ეგზემპლარი სხვადასხვა ხარისხის ქაღალდზე დაიბეჭდა.

ბიბლია ყდის გარეშეც კი 40 გულდენად იყიდებოდა. ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალო ოჯახის წლიური შემოსავალი დაახლოებით 50 გულდენს შეადგენდა.

„ბიბლია შაცრა“ წიგნის ბეჭდვის ხელოვნების უმაღლეს ნიმუშად ითვლება. მეფის მიერ გამოცემის დაფინანსების გამო მას „სამეფო ბიბლიის“ სახელწოდებითაც მოიხსენიებდნენ. მას „ბიბლია პოლიგლოტასა“ და „ანტივერპენის პოლიგლოტასაც“ უწოდებდნენ. მისი ყოველი ტომი იწყება ავანტიტულით, რომელიც განკუთვნილი იყო სატიტულე ფურცლის დაცვისათვის. წიგნის გაფორმების ეს ელემენტი მაშინ ნორმად ითვლებოდა, თემცა შემდგომში მან ფართო გავრცელება ვერ მოიპოვა. პირველი ტომის ავანტიტული განსაკუთრებული ლაკონურობითაა აწყობილი. მასზე ოთხ სტრიქონადაა განთავსებული წიგნის სათაური - „შაცრორუმ იბლიორუმ. თომუს რიმუს“- „წმინდა ბიბლია. ტომი პირველი“. პლანტინის მრავალენოვანი ბიბლიის სატიტულე ფურცელი სპილენძზე ღრმა გრავირების მეთოდითაა შესრულებული. ფურცლის თანაბრად დატვირთულ კომპოზიციაზე მოჩანს ტრიუმფალური თაღი, რომელიც კორინთოს ორდენის კაპიტელებს ეყრდნობა. თაღზე განთავსებულია წიგნის დასახელება: „ბიბლია შაცრა“. კოლონებს შორის სივრცე საზეიმო თაიგულითაა დამშვენებული, რომლის ცენტრშიც ჩამონათვალია იმ ენების, რომლებზედაც ბიბლიის ტექსტია შესრულებული. თაიგულის ქვემოთ ილუსტრირებულია ისაია წინასწარმეტყველის ერთ-ერთი გამონათქვამი, რომელიც მსოფლიოს ხალხების მეგობრობის სიმბოლური




გამოხატულებაა: ნახატზე გამოსახულ ხარს, ლომს, მგელსა და მის მხრებზე მოკალათებულ კრავს მშვიდობიანად მოუყრიათ თავი პირამდე შევსებულ კასრთან წყლის დასალევად. მათ უკან მოსჩანს ზღვისპირა ქალაქი საცხოვრებელი სახლებით, ქარის წისქვილებითა და ეკლესიის სამრეკლოებით. გრავიურის ქვედა ნაწილში მითითებულია გამოცემის - ქრისტოფერ პლანტინის გვარი და გამოცემის ადგილი - ქალაქი ანტივერპენი. აქვეა საგამომცემლო ნიშანიც წარწერით. სატიტულე ფურცლის უკანა მხარეს სპილენძზე გრავირებული ილუსტრაციების ბლოკია განთავსებული. ტექსტში ილუსტრაციები არ გვხვდება.

გამოცემის ძირითადი ნაწილი ექვსფურცლიანი რვეულებისაგან შედგება. თითოეული გვერდის მინდვრის ზედა ნაწილზე წარმოდგენილია პაგინაცია არაბული ციფრებით. პირველი ტომი 743 დანომრილ ფურცელს შეიცავს. გამოცემას აქვს სივანატურაც, რომელიც ფურცლის ქვედა მინდორზეა გამოსახული ლათინური ასოებისა და არაბული ციფრების ერთობლიობით (; 2; 3; 4). ყოველი



მინდვრის ზედა მხარეს კოლონტიტული განთავსებული, ბიბლიური წიგნის შემადგენლობის განმსაზღვრელი სახელწოდებით. ყოველი წიგნის ტექსტი იწყება ხეზე გრავირებული ორნამენტური მთავრული ასოებით.

ბიბლია პოლიგლოტას გამოცემისათვის მეფემ პლანტენი „ჰოლანდიის არქიტეპოგრაფის“ წოდებითა და მთე-



ლი ბაზრის ცენზურის უფლებით დააჯილდოვა. ამასთან, პლანტენმა ფილიპე II-ისაგან მიიღო რელიგიური ლიტერატურის გამოცემისა და გაყიდვის ნებართვა ესპანეთის ძველ და ახალ სამფლობელოებში. ძირითადი საეკლესიო ლიტერატურის გამოცემით პლანტენი, ფაქტობრივად, მონოპოლისტი გახდა. ესპანელთა კოლონიური მმართველობის თანადგომითა და მათი სამისიონერო მოღვაწეობის წყალობით წიგნები მთელ მსოფლიოში ვრცელდებოდა. „ფიცინა ლანტინიანა“ გადაიქცა ევროპის წიგნის ბეჭდვის ლეგენდად. ის აწყობდა წიგნის დიდ საბაზრო გაყიდვებს. ქრისტიანული ლიტერატურა გამოიცემოდა

უხვად გაფორმებული არაჩვეულებრივი ტომების სახით. საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ წიგნებთან ერთად, იქ იბეჭდებოდა ძველ ბერძენ და რომაელ კლასიკოსთა ნაწარმოებები; მათემატიკის, ფიზიკის, გეოგრაფიის სახელმძღვანელოები; მოგზაურთა გზამკვლევები; ნოტიები; გეოგრაფიული და ანატომიური ატლასები; პოლიტიკური ტრაქტატები და ჰამფლეტები. პლანტენმა თავის სიცოცხლეში მოასწრო ათასზე მეტი სხვადასხვაენოვანი ნაწარმოების გამოცემა. მათ შორის ჭარბობს ლათინური, ფრანგული და ჰოლანდიური წიგნები. ასე გახდა ქრისტოფერ პლანტენი ცნობილი მესტამბე და გუტენბერგის შემდეგ, რიგით მეორე გამომცემელი.

საგამომცემლო სახლმა, რომელსაც პლანტენის გარდაცვალების შემდეგ მისი შთამომავლები - მორეტუსები ხელმძღვანელობდნენ, კოლოსალური ზეგავლენა მოახდინა მრავალი ქვეყნის ისტორიაზე, მეცნიერებაზე, კულტურაზე, რელიგიასა და ფილოსოფიაზე. ის სამი საუკუნის განმავლობაში არ თმობდა პირველ პოზიციას და უმსხვილეს გამომცემლობად ითვლებოდა, სადაც ათასობით წიგნი იბეჭდებოდა. დღეს იქ პლანტენ-მორეტუსების უნიკალური მემორიალური მუზეუმი, რომელიც მოიცავს საცხოვრებელ სახლს, უძველეს სტამას, გამომცემლობას, მე-17 საუკუნის წიგნის მაღაზიას და რამდენიმე ბიბლიოთეკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. – М. – 1990. – Ч. 1.
2. Булгаков, Ф.И. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства. - 1. С-П – 1889. – Т.
3. Щелкунов М. И. История техника искусство книгопечатания. – М.; Л. 1926. Ст. 131.
4. De Nave, Francine. The Plantin-Moretus Museum . - Amsterdam : Ludion, 2004.

ბიბლიოთეკების ისტორია

იური სიხარულიძე

აკად. ბერძენიშვილის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნა სოფ. გოგოლესუბანში

სწავლა-განათლებას მონყურებულ გურიაში XIX საუკუნიდან საგრძნობლად გაფართოვდა საბიბლიოთეკო ქსელიც. ამ მხრივ მხარის აღმავლობას არც სხვა სოფლები ჩამორჩებოდნენ. მათ შორის არის სოფელი გოგოლესუბანიც (ადრინდელი ქვემო ფარცხმა).

ზემო გურიის ამ მშვენიერ სოფელში განსაკუთრებით XIX საუკუნის შუა ხანებიდან მომრავლდა საოჯახო ბიბლიოთეკა - სამკითხველოები. წიგნების საკმაო რაოდენობა გააჩნდათ: ბათუმის „მემკვიდრეობით მოქალაქეს“ ნესტორ სიხარულიძეს (1872-1933); ოზურგეთისა და ჩოხატაურის მოქალაქეს - ალექსი სიხარულიძეს (1857-1919). გოგელესუბნის წმ. გიორგის ეკლესიის მთავარ დიაკვანს სამსონ ბერძენიშვილს (შემდეგ - მღვდელი), რომელიც 1913 წელს გარდაიცვალა; სოფლის მწერალს, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის აღზრდილს ისიდორე სიხარულიძეს (1868-1937); ავსქენტი სიხარულიძეს (1882-1932) და ზოგიერთ სხვას.

ეს კულტურული მემკვიდრეობა, მათი საქმიანობა მუდამ მხედველობაში ჰყავდა ქალაქად სოფლიდან გადასულ მონინავე შვილებს: მარინე სიხარულიძე (1857-1950) - ტაშკენტიდან (შუა აზია); ლუკა სიხარულიძეს (1874-1959) - ბაქოდან; კაპიტან გოგოლაძეს (1879-1943) ჯერ ოზურგეთიდან, ხოლო შემდეგ ბათუმიდან და სხვებს.

საქმე თანდათან ისე განვითარდა, რომ სოფელმა ბიბლიოთეკის შემქნასაც მოაბა თავი.

ეს იყო 1918 წელს.

ამ ბიბლიოთეკას სოფელმა გამოჩენილი პოეტის კაპიტან გოგოლაძის სახელი უწოდა.

ამ ბიბლიოთეკას დიდხანს არ უარსებია, მაგრამ რამდენიმე წელიწადში დიდი საქმე გაკეთდა.

ახალმა წყობილებამ არ მიიღო ეს ბიბლიოთეკა, რადგან იგი სოციალ-დემოკრატიის ორიენტაციის იყო და, ამგვარად, სოფელი კარგახანს უბიბლიოთეკოდ დარჩა. ეს გაითვალისწინა ამ სოფლის შვილმა, დიდმა

ისტორიკოსმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა (1898–1965) და ანდერძი დატოვა თავის სოფელში ბიბლიოთეკა – სამკითხველოს აგების თობაზე.

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა მისი მეუღლე, არქეოლოგი ნინო ბერძენიშვილი (1907–1979) და იხუიხერ ავთანდილ ბერძენიშვილის (1927 წ.) ხელმძღვანელობით მალე აშენდა მშვენიერი ბიბლიოთეკა მდ. სახიას მარჯვენა სანაპიროზე (სოფლის ცენტრში).

ეს ბიბლიოთეკა 1970 წლის 23 იანვარს გაიხსნა. ეს ამბავი არ ჰგავდა რომელიმე სოფლის დღესასწაულს, რადგან მასში მთელი საქართველო მონაწილეობდა.

განსაკუთრებით დიდი დელეგაციით ჩამობრძანდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები, ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის მეთაურობით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაციას პროფესორი შოთა მესხია (შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი) უძღვებოდა.

ქუთაისელ მეცნიერთა წარმომადგენლობით დღესასწაულს დაესწრო მწერალი ლევან სანიკიძე. ბათუმიდან ამობრძანდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი ფრიდონ ხალვაში.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ბრძანდებოდა ახალგაზრდა მეცნიერი (შემდგომ პროფესორი)

აბელ სურგულაძე; აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დელეგაციას უძღვებოდა მუზეუმის დირექტორი ხარიტონ ახვლედიანი და სხვანი.

სტუმრები ჯერ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთან შეიკრიბნენ და დიდი აღფრთოვანებით გახსნეს შესანიშნავი შენაძენი.

ბიბლიოთეკის გახსნაზე საინტერესო სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ.

ამ დღესასწაულში აქტიურად მონაწილეობდნენ აკად. ნ. ბერძენიშვილის სახ. გოგოლესუბნის სკოლის პედაგოგები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის შემდეგ მისი მონაწილენი ჩოხატაურს გაემგზავრნენ, სადაც აკად. ნ. ბერძენიშვილის საიუბილეო სესია იყო დანიშნული.

სესიაზე მოხსენებით გამოვიდნენ: აკად. გიორგი მელიქიშვილი, პროფ. კაჭარავა და სხვები.

სესიის დამთავრების შემდეგ სტუმრები ისევ დაბრუნდნენ გოგოლესუბანში ბანკეტზე, რომელიც სკოლის დირექტორის ალექსანდრე სიხარულიძის ოჯახში დაფინანსებულში გაიმართა.

ისეთი სტუმრიანობა, რაც იმ დღეს იყო გოგოლესუბანში, არც ადრე უნხავს სოფელს და არც მის შემდეგ, ეს გახდა დაუზინყარი დღესასწაული, იმის ნათელი დადასტურება, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა იმ დროს მეცნიერებას და საბიბლიოთეკის ქსელს.

ასეთი დღესასწაულები უნდა გვახსოვდეს. საჭიროა ხშირადაც ვატარებდეთ ამგვარ სასარგებლო შეხვედრებს.

ლიტერატურული ქიჯანი

მარინა სამადაშვილი

მზის სიმბოლიკა ნოღარ დუმბაძის შემოქმედებაში

(გაგრძელება)

გვეჩვენება, რომ ზემომოყვანილ მაგალითში მზე მთლად პირდაპირი მნიშვნელობით არაა ნაგულისხმევი, თითქოსდა აქ მზე არის ხატი ღმერთისა, ადამიანი კი მკრეხელი, რომელსაც ნაკლებ, ან სულაც არ სწამს იგი. უნებურად გვახსენდება მიქელანჯელოს



წამოძახილი: „რა ძლიერი ხარ ჩემში, ღმერთო!“
ღმერთი არსებობს იმდენად, რამდენადაც არსე-

ბობს მისი მორწმუნე სუბიექტი. უფრო სწორად, აქ მზე კი არ არის ხატი ღმერთისა, არამედ ადამიანს აქვს ცნობა მასზე, როგორც ასეთზე, და ამ შეხედულებას უცქერის იგი ცინიკურად, თორემ მზემ კარგად იცის, რომ იგი არაა „მზიანი ღამე“. გავიხსენოთ მისი პასუხი მღვდლის კითხვაზე მაშინ, როდესაც მღვდელი მილიციელს მოძღვრავს: „სისულელეა. მე სულ სხვა ვილაცა ვარ, თვითონ იცი, ადამიანს ამის ახსნა არ შეუძლია“, – ამბობს მზე.

მზითა და მზიანი ღამეებითაა სავსე ნ. დუმბაძის შემოქმედება. მზე ყველგან სიკეთედ იღვრება. მწერალი ღმერთად მიიჩნევს სიკეთესა და ყოველივე ნათელს. „გამორიცხული არ არის, რომ მზიან ღამეში ვივარაუდოთ უბრალოდ ღამე, რომელიც იმავე დროს მზით არის სავსე, ოღონდ აქ მზედ გვესმოდეს სიკეთე“ (ტ. კვანჭილაშვილი)

თემურ ბარამიძეს უსაზღვროდ უყვარს მზე. მას სიკეთე – ფარად და მზე – სიხარულად აქვს მინიშნებული. იგი სასწაულს უწოდებს მზეს დედასთან ლაუბარში.

თემურისა და მისი დედის აზრები განსხვავებულია მზის შესახებ. ამიტომაც მზე ერთდროულად სანატრელიცაა და აბეზარიც. ქალბატონ ანიკოს მზემ სა-

სოება მოუნაკლისა, თემური კი „მზის შესაყრელად მიიჩქარის, მასთან გალობს და თანახმიანობს“.

მზის მხატვრულ სახეს განსაკუთრებული ალეგორიულ-სიმბოლური ფუნქცია აკისრია ნ. დუმბაძის მთელ შემოქმედებაში. მზე ყველგან აზრობრივად დატვირთულია.

რომანში „მე ვხედავ მზეს“ მზე ამალღებულობის, განახლების, აღორძინების სიმბოლური ხატია.

„რომანის სათაური „მე ვხედავ მზეს“ სიმბოლურ-მეტაფორული მნიშვნელობისაა. აქ წინასწარ მინიშნებულია ნაწარმოების ძირითად დვრიტაზე. ცხოვრების შუაგულიდან ამოღებული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები იმდენად ჰუმანური და კეთილშობილი არიან, რომ ყველა ხედავს იმ მზეს, რომელიც აღორძინების სიმბოლურ ხატს წარმოადგენს“.

სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი ხატის სიბრძავე და მისი სიტყვების „მე ვხედავ მზეს“ მნიშვნელობა. ეს მარტივი ფრაზა მეტად რთული ფენომენია. იგი დიდ აზრობრივ და ემოციურ როლს ასრულებს ნაწარმოებში.

რომანში მზის შინაგან ხილვას სიმბოლური დატვირთვა ახლავს და მისი არქეტიპი შორეულ მითოსურ წარმოდგენაში იძებნება, როცა მზის ღვთაებებს (რას, მითრას, ნანას...) შინაგანი ხილვით წვდებოდა მორწმუნე. ზოგჯერ თვალებსაც კი ითხრიდნენ, უკეთ რომ ეხილათ სასურველი არსება. ზოგიერთი ღვთაებაც თვალებდათხრილი გამოისახებოდა ხოლმე.

მზის მოთაყვანე წარმართი შინაგანად ხედავდა მზეს და ეთაყვანებოდა თავის კერპს – მზეს. მისთვის ეს იყო აბსოლუტური სიკეთე. სიკეთის ქმნადობისაკენ ასეთ ლტოლვას ეტალონის მნიშვნელობა ჰქონდა და... მზის შინაგანად ხილვა ამალღებულობის, წილხვდომილობის, კეთილქმნადობის თავისებური სიმბოლოც იყო – აღნიშნავს ა. ცანავა.

რომანში მზის დანახვა გააზრება პირდაპირი მნიშვნელობითაც და გადატანითი გააზრებითაც. ჩვენი აზრით, ეს გადატანითი გააზრება, თავის მხრივ, ორგვარია: – ერთია სოსოიას მიერ დანახული მზე და მეორე – ხატის მიერ დანახული მზე. სოსოიას ნათქვამში, „მე ვხედავ მზეს“, მოგვესმის ომში ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენა... ტ. კვანჭილაშვილი შენიშნავს: „...ომში გამარჯვება ბნელზე მზის სინათლის გამარჯვებაა... ჩვენი გამარჯვების ურყევი რწმენა (ომში) მწერალმა გამოხატა სიტყვებში – „მე ვხედავ მზეს“, ასეთი გააზრებით რომანის სათაური უფრო ფართო და ღრმა აზრს იძენს“.

სრული ჭეშმარიტებაა. გავიხსენოთ სოსოიას სიტყვები: „მე ვხედავდი მზეს, რომელიც ოქროს ჯილასავით ადგა ამ ქვეყანას და ვხვდებოდი, რომ არავის სისხლი არ ეყოფოდა, სიცოცხლე არ ეყოფოდა.“

მოყვანილი მაგალითიდან ცხადია, რომ სოსოიას ნათქვამი: „მე ვხედავ მზეს“ – გამოხატავს მის რწმენას ომში გამარჯვებისა...

ამგვარადვე უნდა გვესმოდეს ბრმა ხატის მიერ მზის დანახვა, და არა მარტო ამგვარად!... ხატის მიერ დანახული მზე ორგვარი გადატანითი მნიშვნელობის შემცველია: ერთი მხრივ, მას სწამს ფაშიზმზე ჩვენი გამარჯვებისა; მეორე მხრივ კი, მის სიტყვებში

„მე ვხედავ მზეს“, მოისმის ბიბლიური შეგონების, „ბრმანი აღიხილვიან“, გამოძახილიც.

ხატია მზეს ხედავდა ომის დაწყებამდეც და ომის დაწყების შემდეგაც. ომამდე ხატის მამისთვის ბათუმელ ექიმს უთქვამს: თუ მზეს ხედავს, სინათლეს დაეუბრუნებო... ომის შემდეგაც მიაკითხავენ მამა-შვილი ბათუმში ექიმს იმ რწმენით, რომ რაკი მზეს ხედავს, თვალები აეხილება. ჩვენი აზრით, ხატის სიტყვები („მე ვხედავ მზეს“) ამ შემთხვევაში ერთგვარად ეხმიანება ქრისტეს ყოვლისშემძლეობას. გვახსენდება ერთი ადგილი სახანებიდან: იესო ყოველგვარ სწულეებას კურნავს. მას ორი ბრმა აედევნება და შეწყალებას სთხოვს. მაცხოვარი ეკითხება მათ: „გრწამსა ვითარმედ ძალ-მიც ყოფად ესე? ჰრქუეს მას: ჰე, უფალო“. იესომ მართლაც განკურნა ისინი და უთხრა: „სარწმუნოებისამებრ თქუენისა გეყავნ თქუენ!“ (მათე 9,28).

მაგრამ დიდხანს არ გრძელდება ხატის მიერ მზის დანახვა, როგორც ბიბლიიდან მოყვანილი ადგილის, „ბრმანი აღიხილვიან“, გამოძახილი... საბოლოოდ ხატია მხოლოდ სოსოიას „ხელავს“ და იგი არის სწორედ მისი მზე, „რომელიც სულს უთბობს, ქვეყნიერებას უნათებს. ხატისთვის სოსოია გატოლებულია მზესთან... მზეც და სოსოიაც, არიან ძლიერი სინათლისა და სითბოს წყარო, რაც სიკეთესა და სიყვარულში ჰპოვებს გამოხატულებას“.

ნ. დუმბაძის ნაწარმოებებში მზისადმი მიმართება უპირატესად მთავარ გმირთა ხასიათებში მჟღავნდება. ეს გმირები თავად არიან სავსენი მზით და სიკეთით. მათი ყოველი მოქმედება ამის დასტურია.

სოსოია და ხატია რამდენჯერმე ცრუობენ, ქურდობენ კიდევ, მაგრამ მათი ამგვარი ქმედება სიკეთის გამოვლინებაა და სხვა არაფერი. ასეთი რამ დუმბაძის სხვა გმირებსაც ახასიათებს. გავიხსენოთ გამოცდაზე გასული ბაჩანა რამიშვილი, რომელიც უცოდინრობის მიზეზად ავადმყოფობას იგონებს, სინამდვილეში კი გიჟი მარგოს ჭირისუფალი იყო და ეს კარგად უწყის თვით პროფესორმაც. ლექტორის კითხვაზე, შენი რა იყო ის გიჟი, ბაჩანა შეუსწორებს: გიჟი არ იყო, სულით ავადმყოფი იყო და იცრუებს: და იყო ჩემი.

ბაჩანას პროფესორი ხუთიანს ჩაუწერს ჩათვლის ნიგნაკში. ეს იმის ნიშანია, რომ ბაჩანას გულმონყალება იპოვა გამგები და თანამგრძობელი. მზის სითბოსავით გადამდებია სიკეთე.

ნ. დუმბაძე მზეს მოუხმობს ასევე რომანში „მე, ბეზია, ილიკო და ილარიონი“... შიომღვიმის მონასტრის ეზოში ღამით გამართულ პურობაზე ზურიკო ვაშალომიძე ყველას უმტკიცებს, რომ ის მზეს ხედავს და სვამს მზის სადღეგრძელოს.

ზურიკელასთვის „მზის დანახვა ღამით სიყვარულის, ამალღებულის, კეთილშობილების ნათელხილვაა“ (ა. ცანავა). მისთვის მზე არის თავისი შეყვარებული მერი, რომელიც ქვეყანას ურჩევნია. სწორედ მას ხედავს ზურიკელა და იმ ღამით მზის სახით...

ნ. დუმბაძის შემოქმედებაში ხშირია საყვარელი არსებების მზესთან შედარება თუ მზის სახით წარმოდგენა. „მშვენიერი ქვეყნის ბინადარნი თავად აღიარებენ ღმერთად მზით სავსე პიროვნებებს: „დედა

... ყველგან მზიანი ღამის ხატია, ღმერთად ჰყავთ შერაცხული გმირებს და სიმბოლიკამდე ამაღლებული მონუმენტურობა თითქოს აფერმკრთალებს ამ სიმბოლოს გატარებულ სახეებზე ღრმად დამჩნეულ ცოცხალ შტრიხებს“.

სწორედ ღმერთად შერაცხილი დედის სადღეგრძელოს სვამენ თემურ ბარამიძე და მისი მეგობარი გურამი...

მზის მსგავსად დედაც სიკეთის, სინათლის, სიცოცხლის, უკვდავების სიმბოლოა. ადამიანის განღმრთობის იდეა ახალი არ არის. იგი სათავეს სახარებიდან იღებს, სადაც ქრისტე მიუთითებს, რომ ადამიანის მიმსგავსება ღვთაებასთან არა მარტო მოხდება, არამედ მამა ღმერთთან სწორე ძე ღმერთის შუამდგომლობით განხორციელდება.

გ. იმედაშვილი წერს: „ადამიანის პრინციპული მიმსგავსება ღმერთთან, ადამიანის სრულყოფილობის აღიარებაა, რასაც მხოლოდ ქრისტიანობა უშვებს“ და არა მხოლოდ ქრისტიანობა... ნ. დუმბაძე, თითქოს სარგებლობს ამ დაშვებით, აღიარებს რა თავის გმირთა სრულყოფილებას, სისპექტაკეს, ამით აღიარებს მათს ღმერთობასაც. ამ შემთხვევაში მზე ნ. დუმბაძესთანაც ხატი ღვთისა (ოლონდ არა ქრისტესი). გავიხსენოთ, რა სიტყვებით მიმართავს ობოლი ქალიშვილი თამარა თავის მხსენელსა და მფარველს, სიკეთით სავსე ბაჩანას სიბინძურის ჭაობიდან ამოყვანის შემდეგ:

„შენ ჩემო მზეო და სიხარულო... შენ ჩემო ტკივილო და მწუხარება... შენ ჩემო მამავ და მშობელო... შენ ჩემო შვილო და სიობლე... შენ ჩემო სიკვილო და სიცოცხლე... შენ ჩემო სიმდიდრე და სიღარიბე... საიდან მოხვედი, ბიჭო, საიდან გაჩნდი, რამ მოგიყვანა ჩემს ცხოვრებაში“ („მარადისობის კანონი“).

ბაჩანა მზე არის მარიამისთვისაც.

შთაბეჭდავდაა მზე დახატული რომანში „მარადისობის კანონი“. აქ მზეს ნაირგვარად წარმოგვიდგენს მწერალი. იგი ხან მომაკვდავია, ხან ქრისტე ღმერთის სახეს ღებულობს, უფრო საოცარი კი ისაა, რომ სიყვარულს საკურთხეველზე სასთუმლად წვება ზღაპრის გმირივით ბაჩანასთან და მარიასთან.

„მერე მზე ჩამოვიდა ფხად დედამინაზე... ბაჩანა ადგა და შეშინებულმა გახედა მზის გულზე თეთრად აელვარებულ მინდორს. დედამინაზე არავინ იყო მისი და მარიამის გარდა... და მზე იყო მათთან ერთად“. სიმართლის გზით მავალი აგიორგაფიის პერსონაჟი იტყვის: „ღმერთი ჩვენთანა არს“. ნ. დუმბაძის ზემოქმობილი სიტყვებიც („და მზე იყო მათთან ერთად“) ამის გამოძახილად გვეჩვენება.

„ფხად დედამინაზე ჩამოსული და ბაჩანასა და მარიამის სასთუმალთან დაწოლილი მზეც, საერთოდ მზის სიმბოლიკა... ფოლკლორული პირველწყაროებიდან იღებს სათავეს“ (გ. გვერდნითელი), ეს იგივე „მზე შინაა“.

ადამიანის სიყვარული უდევს გზად და ხიდად ნ. დუმბაძის გმირთა ყოველგვარ მოქმედებას. მათ კარგად აქვთ შეგნებული მარადისობის კანონი, რასაც ბაჩანა ასე გვიხსნის:

„ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმეა, რომ ერთ ადამიანს მისი

ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ ამ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“.

მწერლისთვის უმთავრესია ჰუმანიზმი. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის სიყვარული დაიკარგება, ყველაფერი დაიშვრება... მომაკვდავი მზის ჩვენებასაც ამისთვის მიმართავს მწერალი, რომ შეგვახსენოს: სიცოცხლის მარადიულ წყაროს, მზეს, სიკვიდის „უნარიც“ აქვს, რომ ეს საოცარი მნათობი ადამიანებითა და სიყვარულით დასახლებული დედამინით ცხოვრობს და, თუ ეს სიყვარული დაიშრება, მზესაც სიცოცხლე მოესწრაფება. სიყვარული აბრუნებს დედამინას.

ბევრის მთქმელია მზე ბაჩანას სიზმარ-ხილველში. ავადმყოფ ბაჩანას ასეთი სიუჟეტის ხილვები აქვს, ქრისტეს ესაუბრება. „შვიდი დღე და ღამე მიაბიჯებდა ბაჩანა მზით დამწვარ უდაბნოში... და როდესაც დაუძლურებული... დაემხო ყვითელ სილაში სახით, იგრძნო სიკვიდის მოახლოება... ახედა უღმობელ მზეს და მის სიცოცხლეში პირველად უთხრა საყვედური ასე გამეტებისთვის და კითხვაზე ვინ ხარ შენ? – პასუხად მიიღო:

– „მე ვარ უფალი შენი და ღმერთი შენი!“.

მზე – ხატი ღვთისა – თავისუფლდება სიმბოლურობისგან და ღებულობს თავის ნამდივლ სახეს.

ბაჩანას საყვედური უფლისადმი და მათ შორის გამართული დიალოგი როგორც ეხმინება ნინოს ღაღადისს: „უფალო, უფალო, რად დამიტევე მე შორის ასპიტთა და იქედნეთა?... „ხმაი მესმა მე მუნით, რომელი მეტყოდა მე“...

ბაჩანას ხილვა მოგვაგონებს ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში არსებულ გამოცხადებას... „ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში შეიძლება გამოვყოთ მთელი ციკლი იმ გამოცხადებათა, როცა წმინდანი ამ ქვეყანას ტოვებს და „ცად აღის“ (გრ. ფარულავა).

ბაჩანა თანამედროვე ლიტერატურის წმინდანია.

მეორე ვლეთიურ სიზმარ-ხილვაში ბაჩანა ნახავს მზის გარდაცვალებას. ბულიკა მკერდზე ემხოზა ჯერ ისევ თბილ მზეს ქვითინით და სთხოვს:

„ნამიყვანე თან მზეო, მე არ შემიძლია უშენოდ სიცოცხლე. მიმიღე შენს წიაღში... გემუდარები, მზეო – და შეძრწუნებულმა ბაჩანამ და მამა იორამმა დაინახეს, როგორ გალღვა ბულიკა მომაკვდავი მზის მკერდზე, როგორ დაიღვარა და როგორ შეცურდა მზესთან ერთად ცისარტყელას შვიდფეროვან შარავანდედში“. მზის დიდი შავი დისკო თანდათან ნათდება, პატარა დისკო კი ცას მოსწყდება და დედამინაზე ეცემა, ვითარცა ბულიკას ბედის ვარსკვლავი.

ეს არის წინასწარმეტყველური ხილვა ბაჩანასი, რომელიც წინ უძღვის ბულიკას გარდაცვალებას... ესეც ნიშანდობლივია ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისთვის: ბერი მატოს ცად აღყვანების ასევე გამოკვეთილი სპირიტუალისტური სურათია დახატული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“...

ჰაგიოგრაფიასთან პარალელი იმას არ ნიშნავს, თითქოს ნ. დუმბაძე და ჰაგიოგრაფები ერთნაირ-



რად გვისხატავდნენ ხილვებსა და გამოცხადებებს და ერთნაირად გაიხრებდნენ მას. სხვა ფუნქციას აკისრებდნენ ჰაგიოგრაფები ხილვა-გამოცხადებას და სხვას აკისრებს ნ. დუმბაძე.

ჰაგიოგრაფიაში აუცილებელი იყო ხილვის შინაარსის შესაგნებად მწერლის წარმოსახვა და მკითხველის წარმოსახვა ერთმანეთს დამთხვეოდა... ნ. დუმბაძესთან კი ხილვა-გამოცხადება წმინდა ფანტაზია და პრეტენზიას არ აცხადებს ნამდვილობაზე. იგი საშუალებაა მხატვრული სიმართლის შესაქმნელად.

საერთოდ, ხელოვნების ნაწარმოები, მართალია, მისთვის ნიშანდობლივი სიცრუის წყალობით. ო. უაილდის თქმისა არ იყოს, ხელოვნება ხომ გადაჭარბების ერთ-ერთი სახეა. ნ. დუმბაძესთან ეს გადაჭარბება ნებისმიერი კი არ არის, არამედ იგი თავსდება შესაძლებლობის ფარგლებში.

ნ. დუმბაძის შემოქმედების გაცნობამ მრავალგვარი მზე დაგვანახა. მრავალგვარია მისი სიმბოლიკაც. მწერალი ძალზე ხშირად იყენებს ქრისტიანულ ატრიბუტებსა და სახარებისეულ მცნებებს. მისი გმირები სიზმარ-ხილვებსა თუ ცხადში ისე ხშირად საუბრობენ მზესთან და ქრისტესთან, შეიძლება კაცს მოეჩვენოს, ნ. დუმბაძესთანაც მზე ხომ არ არისო ხატი ღვთისა, მაგრამ ამგვარი გაფიქრება წამიერია. ნ. დუმბაძესთან მზე - ხატი ღვთისა კი არა, სიმბოლოა სამართლიანობისა, სიკეთისა და კაცთმოყვარეობისა; ალორძინების, განახლების, გამარჯვების სიმბოლოც არის მზე და მისი დანახვა დუმბაძის გმირთა მიერ, ამ შემთხვევაში გულისხმობს ომში მტერზე გამარჯვების რწმენას.

სილამაზისა და სინათლის, სინმინდის სიმბოლოურ ხატადაც გვევლინება მზე ნ. დუმბაძის შემოქმედებაში... ქრისტიანული ატრიბუტების, სიმბოლოების გამოყენებაც სწორედ მაღალი ზნეობის, სინმინდის, სიკეთის, კაცთმოყვარეობის დამკვიდრებას ემსახურება. მწერალი, სწორედ სიკეთის დასამკვიდრებლად ხარჯავს მთელ ენერგიას.

„იდეალები, რომელთა დამკვიდრებასაც უწყობს ხელს ნ. დუმბაძე თავისი ნაწარმოებებით, ამაღლებულია და მიმზიდველი, მშვენიერია და ჭეშმარიტად მზიური. ეს განსაზღვრავს ამ წერილის ჰელიოტროპიზმს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

გიგინეიშვილი მ. „მზიანი ღამე „ვეფხისტყაოსნისა“ და ქრისტიანული მსოფლმხედველობის... // ძველი ქართული მწერლობის საკითხები: ტ. 8.

კეკელიძე კ. რუსთველოლოგიური შენიშვნები: 1; რუსთველის მზიანი ღამე // ეტიუდები. - თბ., 1962.

კვესელავა მ. მზის სათავე // პოეტური ინტეგრალები. - თბ., 1977.

ნოზაძე ვ. მზისმეტყველება. - თბ., 1957.

სირაძე რ. სახისმეტყველება. - თბ., 1982.

სულავა ნ. ნათლის ტროპიკა ქართულ ჰაგიოგრაფიაში // ლიტერატურული ძიებანი.

ფარულავა ვრ. მხატვრული ფანტაზია და შინაგანი ხილვა ქართულ აგიორგრაფიაში.

ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია. - თბ., 1913.

ელპარდ ბატიაშვილი

**ილია და „ვეფხისტყაოსანი“
პოეზია და პოლიტოლოგია**

„ვეფხისტყაოსანი“ ილიასთვის „ქართველთა დიდი სიამაყე და გულის საუნჯეა - რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, მას ჯერ არა სჯობია-რა... იმის სიტყვები ჭირს გაგიადვილებენ, გულს და გონებას გაგინტვნიან და სიკეთისაკენ წაგახალისებენ... საღმრთო რამ არის“. პოემის ეს დახასიათება ჯერ კიდევ 1859 წელს მოგვცა.

სტატიაში - „დავით აღმაშენებელი“, ილია წერს: „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო - ამბობს ჩვენი ერი, - ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლი სახელი“. შოთა რუსთაველს მართალია, „აქაური სახელი“ - მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენთვის ბურუსით მოცულია, მაგრამ სამაგიეროდ, „თან წასაყოლი სახელი“, საუკუნო სამარადუამოდ დარჩა. ამავე სტატიაში ილია დავით აღმაშენებელზე წერს:

„დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან

მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგივე თავდადებული მოყვარე თავისი ერისა და სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვა ერისა და

სარწმუნოებისაც... ნუთუ ეს საკვირველი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაქმელადაც არა ჰზოგავდა“. ეს დახასიათება თანაბრად ეხება რუსთაველსაც, „ვეფხისტყაოსნის“ ჰუმანიზმისა და ტოლერანტიზმის დიდ იდეებსაც. დავით აღმაშენებელი და შოთა რუსთაველი ოქროვანი ხანის დიდი საქართველოს ის ორი დიდი შვილი და „დიდბუნებოვანი კაცია“, რომელთა იდეები და საქმენი მართლაც რომ „საკვირველი“ არიან იმ ეპოქისთვისაც და შემდგომებისთვისაც...“

ასობით წერილსა და სტატიაში აქვს გამოყენებული პოემის სხვადასხვა აფორიზმი, მაგრამ ილიას ყველაზე სრულყოფილი ანალიზი და დასკვნები



მინც, მოცემულია 1887 წლის ვრცელ პოლემიკურ სტატიამი – „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ 80-იანი წლებიდან დაიწყო ჩვენს მაშინდელ საზოგადოებაში პოემის სერიოზული მეცნიერული კვლევა და მისი ტექსტის დაზუსტება – დამუშავება – რედაქტირება. თუმცა–ლა, წინა ეპოქებშიც არაერთ ჩვენს დიდ მოღვაწეს აქვს პოემის დიდი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობა ხაზგასმული. ამის მაგალითად მინდა მოვიყვანო სოლომონ დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“. აზრის რა საოცარი სიღრმით არის გაანალიზებული აქ ჩვენს ისტორიასთან მჭიდროდ გადანასკვლელი ეს უკვდავი პოემა და მისი ეროვნული მნიშვნელობა:

„დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსი რუსთაველისანი „ვეფხისტყაოსანი“.

ილია ჭავჭავაძის შემოხსენებული სტატიის მოტივაციაც იმაში მდგომარეობს, სხვა ხალხებს დავანახოთ დიდებული პოემის სიღიადე, ის, თუ რატომ ვინონებთ მისით თავს:

„ჩვენ, ქართველებს სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა, შექმნილია ჩვენის ერის დიდებულების დროსა ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ... მისით თავს ვინონებთ, ვსახელობთ, ვქადულობთ, ხოლო ყველამ, ნამეტნავად კი, ჩვენი ენის უცოდინარმა, არ იცის რა გვაძლევს უტყუარს საბუთს ამ თავმონონებისას, სახელისას, ქადილისას... ამიტომაც ბედნიერ აზრად ვსახავთ ბატონ აკაკის აზრსა, რომ რუსულად წაიკითხოს საჯარო ლექცია ამ საგანზედ რუსთა საცოდნელად“.

ილია კიდევ არაერთგან აქებს აკაკის აზრს და მისი ლექციის მთავარ მიზანს, რომ უცხოელი აზიაროს იმ ჰუმანურ და ზოგადკაცობრიულ იდეებს, რომლებზეც აგებულია „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ძალიან დიდი მორიდებით და პატივისცემის გამოცხადებით შეახსენებს პოეტს, რომ პოემის გმირების „დაქვეითება“ საქართველოს ცალკეული კუთხეების წარმომადგენლობამდე, პოემას არათუ რამეს მატებს, არამედ, პირიქით, აკლებს და აკნინებს:

„მთელი სამი ლექცია ბ–ნის აკაკისა წარმოადგენს ერთს იმ დედა – აზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში საქართველოს სამი სხვადასხვა ნაწილის ქართველი. მისი სიტყვით, ტარიელი, რადგანაც ზარმაცია/ – ქართლელია, ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი – იმერელია, ფრიდონი კი – არ გვახსოვს რა მიზეზით და რის გამო, ზღვისპირის ქართველია... ამ აკიდოზე ბევრი მართალი მარგალიტები აასხა ლექტორმა გონებაბახვილობისა, ლამაზის შედარებებისა, როგორც ბატონ აკაკის ბედნიერის ნიჭის ამბავი მოგეხსენებათ, მაგრამ ჩვენის ფიქრით, თვითონ აკიდოს ღერო კი მეტისმეტად სუსტი რამ არის და, თუმცა ზედახმულს მარგალიტებს ჰზიდავს, მაგრამ კრიტიკის ხელშეხებას კი ვერ გაუძლებს“.

ილიას ამ კრიტიკის ამოსავალი დებულება კი ის არის, რომ რუსთაველმა თავის პოემაში „ზოგად–კაცნი“ ასახა და არა ცალკეული ქვეყნებისა თუ, მი-

თუმეტეს, კუთხეების შვილთა ზნე–ხასიათი. „ძნელია იმისთანა სახელოვანი პოეტი, როგორც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფის საჩხირ–კედლო საქმეზედ ჩამოახდინოს. ეს მეტისმეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჯდომი ცხენოსნისა... ფალსტაფს, რომელიც შექსპირს ტყუილებისა და კვეხნა–ბაქიაობის გუდად გამოუხატავს, განა ათას მსგავსთ ვერ მოვუძებნით ჩვენს საქართველოში?!...“

ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდის შემოქმედის ძალით შექმნილნი ზოგად–კაცნი“...

ამ ვრცელი სტატიის ანალიზისას ილია გვაძლევს „გულთამხილავი რუსთაველის“ არაერთ გენიოსურ მაგალითს ადამიანის ფსიქიკისა და მისი ქცევა–ქმედებისა, წვდომისა. რუსთაველი პირველ რიგში კაცობრიობის მსოფლიო პოეტია, ადამიანის ზოგადი ბუნების და ზნე–ხასიათის დიდი ფსიქოლოგი. რუსთაველის გენიოსობაც ის არის, რომ ამ იდე–ზოგად მთელი პოემა, მან „... ვინრო ფარგალში არ მთამწყვდია და ტარიელს, ავთანდილის და სხვათა აკარგავსაში ქართლელს, კახელს, პეტრეს, ივანეს ძებნა არ დაუწყო... რამდენადაც ამ შემთხვევაში, ზოგადი სახე ადამიანისა დახურდავებული იქნება, მაგალითებზე, ზოგად – კაცი, რომელისამე ერის – კაცად, ერის – კაცი, რომელისამე თემის – კაცად, თემი – კაცი, რომელისამე გვარის – კაცად, გვარის – კაცი, რომელისამე ოჯახის – კაცად“...

პოემის პროლოგი და ეპილოგი, მისი 62 თავი – „ამბავი“ ამ დიდი ზოგადკაცობრიული იდეებით არის გაუღენთილი, „კაცთა საამქვეყნო ცხოვრების“ არსისა და პრინციპების გადმოცემით.


ამიტომ უნდა ჩაითვალოს „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი არა მარტო ქართული, არამედ საკაცობრიო აზროვნებისა და კულტურის ნიმუშად და ერთ–ერთ თვალსაჩინო გამოვლინებად. პირველ რიგში, ამიტომ არის იგი საამაყო და ამიტომ სჭირდება ღრმა ანალიზი ჩვენგან...

ამ მიმართებით რამდენიმე ისტორიული პერიოდი არის აღსანიშნავი: პირველი ეს 1712 წელი და ვახტანგ VI მიერ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტამბური გამოცემა. მეორე სოლომონ დოდაშვილის შემოხსენებული გამოკვლევა. ილიამ ყველაფერს ამას უფრო მასშტაბური მეცნიერული კვლევის სახე და ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა მისცა. გამორჩეულად დგას ამ მხრივ XX საუკუნე: ვარლამ ჩერქეზიშვილის მეცადინეობით ინგლისის და საერთოდ, ევროპა ეზიარა პოემის ამ ზოგადკაცობრიულ არსსა და მნიშვნელობას, როცა პოემა ილიასა და მისი ინიციატივით ინგლისურად ისთარგმნა. სტალინის უზენაესი ნებით და ბრძანებით II მსოფლიო ომის წინ ცნობილი გერმანული ჟურნალის – „შპიგელის“ საპასუხოდ დიდი ზარ–ზეიმით აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ 750- წლის იუბილე, ამასთან, დაზუსტდა, შეჯერდა და აკადემიურად გამოიცა მისი ტექსტი არა მარტო ქართულ, არამედ მრავალ ევროპულ ენაზე...

ამ ფაქტზე ღირს ცოტა ვრცლად შეჩერება: 30-იან წლებში ყველა რეალისტურად მოაზროვნე კაცისთვის აშკარა გახდა ორი ტოტალური რეჟიმის – ბოლ-

შევიზმისა და ფაშიზმის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების გარდუვალობა. ნებისმიერ ომს კი, თავდაპირველად იდეოლოგიური შემზადება სჭირდება. დასავლეთი ცდილობდა „ორი კურდღელი დაეჭირა“ და ამ შეჯახებით ორივე ეს სამხედრო-პოლიტიკური მონსტრი მოესპო. „მიუნხენის პოლიტიკის“ არსიც ეს იყო, მაგრამ ჰენრი კისინჯერისა არ იყოს, „სტალინმა ისეთი ბაზარი მოაწყო, ისე აურ-დაურია ევროპის კარტები“, რომ ჰიტლერი პირველად სწორედ დასავლეთს შეაჯახა, თუმცაღა, იდეოლოგიური ბრძოლა კვლავ ძალაში რჩებოდა. და აი, „შპიგელში“ დაიბეჭდა ვრცელი სტატია სტალინზე ასეთი საერთო-იდეოლოგიური შტამებით და დედააზრით: – რას უნდა ველოდოთ კარგს ბარბაროსი ერის ბარბაროსი შვილისაგან.

ეს გულზე მოხვდა სტალინს და საპასუხო რეაქციამაც არ დააგვიანა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, მოხდა ილიას სრული რეაბილიტაცია, დაიწყო ჯერ არნახული აგიტაცია-პროპაგანდა ქართული კულტურისა და ისტორიისა, შერისხული ივანე ჯავახიშვილი დააბრუნეს უნივერსიტეტში დიდი ქება-დიდებათ და შეკვეთით – შეექმნა საქართველოს ისტორიის „მოკლე კურსი“ უცხო ენებზე თარგმნითა და გამოცემით, დევნილ და „მოლაღატე ფედერალისტს“ შალვა ნუცუბიძეს დაევალა „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნა და, რაც მთავარია, პოემის ევროპისა და მთელი მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაცია... თუმცა ისტორიული სიმართლისათვის ესეც უნდა ითქვას



(აკი, წერს გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელიც – „ისტორია ჭეშმარიტის მეტყველება არს“), „დილას“ ავტორისთვის საქართველოს ისტორია, ქართული გარემო და ცხოვრების წესი უცხო რამ არ იყო სიკვდილამდე, სანამ მას თავიდან მოიშორებდნენ მისი „კატის კნუტები“...

თუ XII საუკუნის საქართველოს ისტორიასთან და გარემოსთან მოვინდომებთ პოემის დაკავშირებას, ბევრ მასალას ვპოვებთ მის ტექსტში. ავთანდილის „უცხო მოყმის“ საძებნელად წასვლა, კერძოდ კი, ასმათთან და ტარიელთან მისი პირველი შეხვედრის ამბავს ყურადღებით თუ ჩავიკითხავთ, იქ უთუოდ ვარძიის შემოგარენს, მის ფლორას და ფაუნას აღმოვაჩინებთ: „ქვაბულში“ მჯდომთ ხომ, მუდმივად ქვემოდან წყლის ხმაური ესმით, მწვანე მოლს დასცქერიან და ფრინველთა გალობას უსმენენ ზევით ქვაბში მჯდომნი... მაგრამ მთავარი მაინც პოემის იმდროინდელი ეპოქის და მაშინდელი მსოფლიოს გეო-პოლიტიკური ვითარება და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ისახება. ისე, რომ მაშინდელი საქართველოს და ქართული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სხვადასხვა ასპექტებს ვხვდებით პოემის ცალკეულ თავებში. ავიღოთ თუნდაც ტარიელის მიერ „ინდოეთის სამეფოს ამბავის“ მოყოლა:

„ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი, ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი... მამაჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი...“

ეს „შვიდთა სამეფოთა მეფე“ საქართველოს ისტორიის „ოქროვანი ხანის“ ბაგრატიონ მეფეთა კარგად ცნობილი რეგალიაა. ეს მართლაც რომ – „ყოველი კაცისთვის“ იყო ცნობილი. „ქართლის ცხოვრების“ მაშინდელი ჟამთაღმწერლები ხომ არაერთხელ აფიქსირებენ ამას. ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „შვიდთა სამეფოთა“ ეს სახელდება მარტო მკვიდრ ქართულ ტერიტორიებს კი არ აღნიშნავდა, არამედ მთელი კავკასიის ტერიტორიასაც „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არევანამდე“ გულისხმობდა. ბატონი ივანე იმ აზრსაც აწვითარებს, რომ ამ ეპოქის ქართული სახელმწიფო და ბაგრატიონთა დინასტიის „შვიდთა სამეფოთა მეფენი“ კავკასიის ფედერაციის პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენდა და ამიტომაც, ფაქტიურად, ბაგრატიონებიც საერთო-კავკასიურ დინასტიას წარმოადგენდნენ მაშინ. სწორედ ამ ფაქტიდან და პოლიტიკური იდეიდან იშვა ლეონტი მროველის „კავკასიის საერთო სახლის“ იდეაც...

„საქართველო და კავკასია ევრაზიულ ინტეგრაციულ პროცესებში“ – ასე შეიძლება დავარქვათ დღევანდელი პოლიტოლოგიური ენით პოემის ამ 800 წლის წინანდელ სამოქმედო გეოგრაფიულ არეალს. ევროპა, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ მაშინ ახლად იდგამდა ფეხს და „ვეფხისტყაოსნის“ ეს რენესანსული იდეები ფაქტობრივად, ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის წინამორბედნი არიან. ამიტომ უნდა ვუნდოთ მთელ ამ ეპოქას „ნაადრევი ქართული რენესანსი“...

და ეს იმ ეპოქაში, როცა ილიასი არ იყოს, „კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა. „ტოლერანტიზმი“, „ჰუმანიზმი“, „გენდერიზმი“, მაშინ უცხო რამ ხილი იყო რენესანსამდელი ევროპისთვის. ქალი პოლიტიკოსი და ქალი მეფე ხომ არაბულ სამყაროში, რომლითაც იწყება და ვითარდება პოემის სიუჟეტი, მაშინ კი არა, ახლაც ანომალად თუ აღიქმება აქ. ესეც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ „არაბეთიც“, „ინდოეთიც“, „ხვარაზმი“, „ხატაეთი“ თუ „გულანშარო“ რუსთაველის მხატვრული ხერხი და მხატვრული ფონია, საქართველოსა და კავკასიის მაშინდელი მსოფლიოს გეოპოლიტიკურ არეალში ლიდერად და წამყვან ძალად გამოსახატავად. „ჯვაროსნული ომების“ ეპოქაში, როცა ევროპელი „ქრისტეს საფლავის რაინდები გამოხსნის“ მიზნით მოედვენ მთელ მაშინდელ ახლო აღმოსავლეთს, შავი და ხმელთაშუაზღვის სანაპირო-



ბს კონსტანტინეპოლიდან დაწყებული, ალექსანდრია-ამდე და იერუსალიმამდე, ბუნებრივია, ვერც ჩვენს რეგიონს აუვლიდნენ გვერდს. დიდგორის ბრძოლაში მათი მონაწილეობის ფაქტიც ამაზე მეტყველებს, ისევე როგორც გარნისამდე ლაშა-გიორგის ცნობილი „განაზრახი პალესტინაში ლაშქრად წასვლისა“. შეიძლება კაცმა ისიც ივარაუდოს ჭეშმარიტების დიდი ალბათობით, რომ „ქაჯეთის ციხე“, როგორც ბოროტების სიმბოლო, სწორედ ამ მოვლენების ალეგორიული გამოსახულებაა და საერთოდაც ბოროტების ეს რუსთაველური გააზრება საკაცობრიო ისტორიის ნებისმიერი ეპოქის ალეგორიაა დღევანდელის ჩათვლით, თუნდაც დღევანდელი სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმია ამის მაგალითი „ქაჯეთის ციხედ“, რომ აღიქმება კრემლი დღეს...

რუსთაველის მიერ ზევით აღნიშნული „მეშვიდე მეფე“, დიდი ალბათობით, შეიძლება შირვანის მბრძანებელი და მმართველი იყოს, რადგან სწორედ XII საუკუნეში მოხდა კავკასიის ამ რეგიონის სამხედრო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინტეგრირება საქართველოსთან. ამის შესატყვისი ცნობებიც მრავლად მოიპოვება „ქართლის

ცხოვრებაში“. რუსთაველი ხომ, ამის უშუალო მოწმე და მომსწრე იყო მაშინ... დაღესტანსა და აზერბაიჯანში – ისტორიულ ძველ ალბანეთში დღესაც როგორც ქრისტიანული, ისე ქრისტიანობამდელი ეპოქის სხვადასხვა არქეოლოგიურ მასალას შევხვდებით ამის დასამტკიცებლად. თვითონ დღევანდელი უდინური ენაც ამის ლინგვისტიკური დადასტურებაა. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოდმოყვანილი სტროფი, რომ გავაგრძელოთ, ამ ისტორიული პროცესის თავისებური პოეტური ასახვა გამოგვივა:

„მამა ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი, სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი; ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი;

ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუმწარავი.“

ამ სტროფს მოსდევს ტარიელის მიერ თავისი მამის – ამ „მეშვიდე მეფის“ განზრახვა ფარსადანთან – „მეფეთმეფესთან“ გაერთიანების სტროფები, რომლებიც ზუსტად ასახავენ მაშინდელი ქართული სახელმწიფოს ერთიან კავკასიურ სახელმწიფოდ.

კვირეული — 2014

შემობრუნება წიგნიერებისაკენ

მასალების მიმოხილვა

მიმდინარე წლის კვირეულის ღონისძიებები გამორჩეული იყო მრავალფეროვნებით, შინაარსითა და ფორმით, რაც მთავარია, თითოეული



ღონისძიება განაპირობებდა მკითხველთა აქტიურ მონაწილეობას და იძლეოდა იმის საფუძველს, რომ გვეფიქრა: წიგნი და ბიბლიოთეკა კვლავ რჩება ალზრდის, განათლებისა და ინფორმირების დაუმრეტელ წყაროდ.


კვირეული-2014 გაიხსნა თბილისის

მთავარ ბიბლიოთეკაში (გენერალური დირექტორი ც. კალმახელიძე) 28 აპრილს. ამ დღეს თბილისისა და მუნიციპალიტეტების მთავარმა ბიბლიოთეკებმა წარმოადგინეს მუშაობის ამსახველით ვალ-

საჩინო მასალები, ხარისხობრივი მაჩვენებლები, ისაუბრეს მომსახურების ძირითად მიმართულებებზე, იმ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაში აუცილებელია საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი ძალისხმე-



ვა. კვირეულის გახსნაზე შთამბეჭდავი იყო გ. ხოსიტაშვილის (ილიას უნივერსიტეტი), მ. გლურჯიძის (გურჯაანის ბიბლიოთეკა), ა. გერგედავას (სასჯელალსრულების დაწესებულების ბიბლიოთეკა),



ნ. ყარაულაშვილის (თელავის უნივერსიტეტი), რ. ნაქაძის (ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა), თ. ჟვანია (რუსთავის ბიბლიოთეკა), ი. კვიციანი (ზუგდიდის ბიბლიოთეკა), ნ. ენუქიძის (ლანჩხუთის ბიბლიოთეკა), ნ. თარგამაძის (ხელ-

ნანერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკა) მიერ წარმოდგენილი თვალსაჩინო მასალები, რომლებიც ძირითადად ახასიათებდნენ მკითხველებთან მუშაობის სხვადასხვა ასპექტებს. გახსნაზე წარ-



მოდგენილი ინფორმაციები შეაჯამასპეციალურმა კომისიამ, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებული. სპეციალური ჯილდო გადაეცა სასჯელალსრულების

დანესებულების ბიბლიოთეკარს ანა გერგედავას. დანარჩენ ბიბლიოთეკებს გადასცათ სამახსოვრო საჩუქრები. ამავე დღეს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ საბიბლიოთეკო დარგის ღვანლმოსილ მუშაკებს, პედაგოგებს.



მკითხველთა და ბიბლიოთეკის თანამდგომთა აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით ყოველთვის საინტერესო ღონისძიებები ტარდება თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში. ღონისძიე-




ბები იგეგმება და ტარდება ამ ბიბლიოთეკაში მოქმედი ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ ხელმძღვანელის ც. ქოჩჩიაშვილის ძალისხმევით: აღნიშნული ლიტერატურული სალონის მუშაობა უფრო გააქტიურდა და ახალი ენერჯია შესძინა საქართველოს პატრიარქის ილია II-ის მიერ 2013 წლის „ნიგნიერების წლად“ გამოცხადებამ. უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ ბიბლიოთეკის ცხოვრებაში თავად პატრიარქის სტუმრობა. ამ დღეს ჩატარდა გალაკტიონისადმი მიძღვნილი ღონისძიება საზოგადოება „დავითიანთან“ ერთად. ღონისძიებას ამშვენებდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკარები და მკითხველები. პატრიარქმა საგანგებოდ ხაზი გაუსვა მთავარი ბიბლიოთეკის საქმიანობას თბილისელთა სულიერ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისათვის, დალოცა და



გაამხნევა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი „საპატიო თბილისელი“ ციალა კალმახელიძე. ნიგნიერების წელნადის ნიშნით ჩატარდა დიდი ქართველი მეცნიერის, მნიგნობარისა და სასულიერო მოღვაწლის დევანოზ მელიტონ კელენჯერიძის საიუბილეო საღამო. მელიტონ კელენჯერიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს ლ. ფრუიძემ, გ. ჩანტლაძემ, ბაქრაძისამ, ლ. ბუაძემ, ო. ციციშვილმა, ს. ვარდოსანიძემ, ც. ქოჩეჩაშვილმა და სხვებმა. კვირეულის დევიზით საინტერესო იყო ნიგნისა და



ბიბლიოთეკის მოამაგის, პროფ. ი. ფილაურილორიას მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ი. ფილაურილორიას ნაშრომების ბიბლიოგრაფია (შემდეგ მ. ხორავა). კვირეულის პროგრამით მთავარმა ბიბლიოთეკამ ც. ქოჩეჩაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მწერალთა სახლში შეხვედრა მოუწყო ცნობილ ბიბლიოთეკათმცოდნეს, მწერალსა და პუბლიცისტს გულნარა სტურუას; ამავე დევიზით მწერალთა სახლში შეხვედრა მოუწყვეს მწერალთა კავშირის წევრს, ბოლნისის საპატიო



მოქალაქეს პოეტ ეთერი აფაქიძეს. პოეზიის საღამოზე წარმოდგენილ იყო სხვადასხვა სახის მხატვრული ნომრები, რითაც ბოლნისის საზოგადოებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავიანთ თანამემამულისადმი სიყვარული და ღრმა პატი-

ვისცემა; აღსანიშნავია მთავარ ბიბლიოთეკაში მოწყობილი შეხვედრა „თქვენთვის ძვირფასო მკვითხველებო“. შეხვედრაზე სპეციალური კითხვარის საშუალებით ბიბლიოთეკამ მოიპოვა საინტერესო ინფორმაცია მკითხველებან მუშაობის გაუმჯობესების მიმართულებით. სხვადასხვა კატეგორიის მკითხველები გულწრფელად საუბრობდნენ ნიგნთა და ბიბლიოთეკასთან ურთიერთობის საკითხებზე, არ ერიდებოდნენ შენიშვნებისა და წინადადების სამსჯავროზე გამოტანას, რაც ერთგვარად ნიშანდობლივი და მისაღებია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ შეხვედრაზე საინტერესო იყო ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველის მარინე გენებაშვილის დასწრება. იგი აღმოჩნდა სამი პოეტური კრებულისა და ორი სამეცნიერო ნიგნის ავტორი. მეფე თამარის ხსენების დღეს მიეძღვნა მთავარ ბიბლიოთეკაში მოწყობილი შეხვედრა. მასში მონაწილეობდნენ



საქართველოს საპატრიარქოს წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა-პანსიონის ქალთა და ვაჟთა ფოლკლორული გუნდები, ინსტრუმენტული ანსამბლი, უფროსკლასელთა სიმღერის გუნდი, თეატრალური, ხელოვნება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა და სხვ. კვირეულის დღეებში საზეიმოდ აღინიშნა თბილისის **მთავარი ბიბლიოთეკის დაარსებიდან 105-ე წლისთავი**. ღონისძიება ესწრებოდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მერიის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელმძღვანელი პირები. ზეიმზე საპატიო სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ მთავარი ბიბლიოთეკის წარჩინებულ და ღვწლმოსილ ბიბლიოთეკარებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული თითოეული

მასობრივი ღონისძიება გამორჩევა თავისი ეფექტურობით, შინაარსისა და ფორმის მთლიანობით. ღონისძიებას ამშვენებს მკითხველთა მიერ წარმოდგენილი მხატვრული ნიმუშები, მუსიკალური ნომრები. ღონისძიებებზე ერთი-მეორეს ერწყმის



ზეპირი და თვალსაჩინო ფორმები. ყოველივე მას წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველ საზოგადოებაზე, მათთვის ბიბლიოთეკა არ არის უბრალოდ წიგნის სამყარო. ბიბლიოთეკა საიუბილეო წელს შეხვდა მუდმივად განახლებად წიგნობრივი ფონდებით, რომელიც ხელმისაწვდომია მოსახლეობის თითოეული ასაკისა და სოციალური ჯგუფებისათვის. ბიბლიოთეკის ორგანიზაციული კულტურა და მკითხველთა ინფორმირების მაღალი დონე აშკარად მეტყველებს ბიბლიოთეკართა მაღალ პროფესიულ დონესა და ენთუზიაზმზე.



კვირეულის დღეებში შინაარსიანი ღონისძიებებით გამორჩევა **თბილისის მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის საქალაქო ბიბლიოთეკა (ბაგბე ძ. ნიკურაძე)**. ბიბლიოთეკას გააჩნია სტუდენტებთან და მოსწავლე-ახალგაზრდო-

ბასთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება. ლიტერატურის საღამოზე „ლექსო, ზიარო სულისა“ მკითხველებმა წაიკითხეს იუბილარი პოეტების: მუხრან მაჭავარიანის, ბესიკ ხარანაულის, ირაკლი აბაშიძის, ლია სტურუას, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის და სხვა ლექსები. გოდერძი ჩოხელის დაბადებიდან 60 წლისთავან დაკავშირებით ილია მართლის სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მონტაჟი „მთაში გაზრდილო შვილები“.

მოენყო შეხვედრა თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძესთან.

159-ე და 120-ე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წარმოადგინეს მუსიკალური ნომრები და ნაწყვეტები თეატრალური დადგმიდან „ხანუმა“, ფუფალას როლი „ნატვრის ხიდან“ შეასრულა 139-ე სკოლის მოსწავლემ ა. ჩიბუროვამ. დამწყებმა პოეტებმა გ. ფრანგიშვილმა, ს. ქისტაურმა წარმოადგინეს თავიანთი პირველი პოეტური კრებულები.



მესამე წელია, რაც ბიბლიოთეკა ატარებს ინტელექტუალურ ვიქტორინა – თამაშს სახელწოდებით: „ყველაზე სხარტი, ნიჭიერი და მოაზროვნე“. ვიქტორინაში მონაწილეობდნენ თბილისის საჯარო და კერძო სკოლები. წელს ვიქტორინაში მონაწილეობდა 80-მდე კერძო და საჯარო სკოლა. კონკურსი ჩატარდა ორ ტურად. გათამაშდა რამოდენიმე გარადმავალი პრიზი საგნობრივ დისციპლინებში. თბილისის რაიონებს შორის შეჯამებებზე პრიზები ასე გადანაწილდა: გლდანი-ნაძალადევის რაიონში პირველი ადგილი დაიკავა 120-ე საჯარო სკოლამ, მეორე ადგილი 159-ე საჯარო სკოლამ, მე-3 ადგილი 133-ე საჯარო სკოლამ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში 1 ადგილი დაიკავა მე-2 საჯარო სკოლამ, მეორე ადგილი მე-5 საჯარო სკოლამ, მე-3 ადგილი 23-ე

საჯარო სკოლამ, მთაწმინდა-კრკანისის რაიონში პირველი ადგილი დაიკავა 50-ე სკოლამ, მე-2 ადგილი 183-ე სკოლამ, მე-3 ადგილი 65-ე საჯარო სკოლამ; ვაკე=საბურთალოს რაიონში პირველი ადგილი დაიკავა საპატრიარქოს კერძო სკოლამ, მე-2 ადგილი კერძო სკოლამ „აისი“, მე-3 ადგილი კერძო სკოლამ „XXI - საუკუნე“. ისანი-სამგორის



დავეციტ 159-ე და 133-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს. თეატრალური ნომრის წარმოდგენისათვის სპეციალური პრიზები გადავეციტ 120-ე საჯარო სკოლის მოსწავლეს თათია ლომიშვილს და 159-ე საჯარო სკოლის მოსწავლეს თათია მჟავანაძეს. სპეციალური პრიზი ნასაგურის ბავშვთა და მოსწავლე - ახალგაზრდობის კავშირმა გადასცა 216-ე საჯარო სკოლას.

რაიონში I ადგილი დაიკავა კერძო სკოლამ „ივერიამ“ მე-2 ადგილი 216-ე საჯარო სკოლამ, მე-3 ადგილი 178-ე საჯარო სკოლამ.

საქალაქო შეჯიბრებაში პირველი და მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს მრავალპროფილიანი კერძო სკოლა „ივერიამ“ და 216-ე საჯარო სკოლამ, ერთნაირი ქულებით მე-3 ადგილზე გაეიდნენ მე-2 და 159-ე საჯარო სკოლები.



პროექტის მთავარი არსი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის ცოდნის დონის გამოვლენა და კონტაქტი წიგნებთან, რათა ამ გზით ვაზიაროთ ისინი წიგნის სიყვარულს, ვასწავლოთ კითხვის კულტურა და წიგნთან მუშაობა, ასევე რაც მთა-



გარდამავალი პრიზი ინტელექტუალურ კონკურსში გადავეციტ კერძო სკოლა „ივერიას“, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციისთვის გარდამავალი პრიზი გადაეცა მე-2 საჯაროს კოლას, საუკეთესო მუსიკალური ნომრების წარმოდგენისათვის გარდამავალი პრიზები გა-


ვარია, წარმოგვეჩინა მათი დიდი შემოქმედებითი პოტენციალი.

თბილისის ლ. ასათიანის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკა (გამგზ. ი. არგუშინსკაია) მჭიდროდ თანამშრომლობს საჯარო სკოლებთან; ბავშვებთან



ან და მოსწავლე-ახალგაზრდობასთან ხშირად ეწყობა შეხვედრები. დასკუსიები, საუბრები. ბიბლიოთეკა ინდივიდუალურ მუშაობას აწარმოებს დამწყებ მკითხველებთან, არკვევს მათ საკითავ ინტერესს. მასობრივი მუშაობა გამოირჩევა მრავალ-

ვალფეროვნებით, მისი შინაარსი ზედმინევნით გამოხატავს მკითხველთა ასაკობრივი ჯგუფების სიანფორმაციო და საბიბლიოთეკო მოთხოვნებს. ბიბლიოთეკა მასობრივ ღონისძიებებს ატარებს სისტემატურად. კვირეულის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებით ერთგვარად აჯამებს ამ მიმართულებით განეულ მუშაობას. ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „ჩვენი ენა ქართული“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თბილისის 169-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები. ღონისძიებასა ესწრებოდა პოეტი მაია მიქაია.



მოსწავლეებმა ისაუბრეს ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. პოეტმა მაია მიქაიამ წარადგინა საკუთარი პოეტური კრებული „შურიმშინე“. კრებულში დიდი ადგილი უჭირავს ფშავის თემატიკას, ნიშანდობლია, რომ კოლხი ქალბატონი ესოდენ დიდი სიყვარულითა და ღრმად პოეტური ეპიტეტებით ხატავს ვაჟა-ფშაველას კუთხეს – ფშავს. ღონისძიებათა შორის გამოირჩეული იყო ახალგაზრდა პოეტის ლიზი ბუდალაშვილის სტუმრობა. იგი არის პოეზიისა და ლიტერატურული კონკურსების გამარჯვებული; 8 წლის ასაკიდან წერს ლექსებს, ხატავს, უკრავს; არის

მრავალმხრივი შემოქმედი. პოეტთან შეხვედრაზე 130-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ნაიკითხეს ლექსები ლიზის პოეტური კრებულიდან „ფიქრობანას თამაში“, თბ., 2011.

პოეტმა შეასრულა კლასიკური და საკუთარი მუსიკალური ნაწარმოებები, მოაწყო საკუთარი ნახატების გამოფენა. პოეტი ლიზი ბუღალაშვილი ქართულ-ამერიკული სკოლის მე-9 კლასი სწარჩინებული მოსწავლეა. მისი შემოქმედებითი საღამო იმართება თბილისში, იტალიაში; ლექსების გარდა წერს მოთხრობებს, ზღაპრებს. არის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი,

პატარა პოეტისა და მხატვრის სტუმრობამ ბიბლიოთეკაში შეიტანა სიხალისე, აღმოფრენა, თავის ტოლებს აჩვენა თუ რაოდენ აუცილებელია ნიჭთან ერთად შრომა, წიგნის კითხვა, განათლების მიღება, რათა მომავალში პირნათლად მოიხადო შენი




5 წლის ასაკიდან ხატვს ძირითადად ბიბლიურ თემატიკაზე. გასულ წელს მოეწყო მისი ფერწერული ნახატების გამოფენა სამების საკათედრო ტაძარში. ლიზი ბუღალაშვილმა პირველი ლექსი „მცხეთა“ გამოაქვეყნა 2008 წელს, 8 წლის ასაკში. თორმეტი წლისამ გამოსცა პირველი პოეტური კრებული „ფიქრობანას თამაში“. ლექსში „სამშობლოს“ პოეტის აზრით „ერს სძინავს და როგორ გავაღვიძოთ?“ პოეტი იმედოვნებს, რომ საქართველოს ცაზე ცისარტყელა ათასფერად გაიბრწყინებს და გაიხარებს „მოწყენილი ქართლის დედა“.



ვალი სამშობლოს წინაშე. პოეტთან შეხვედრას ესწრებოდნენ მთავარი ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, გაზეთ „ციცინათელას“ რედაქტორი ა. ბრეგაძე, 130-ე საჯარო სკოლის პედაგოგები. ბიბ-

ლიოთეკამ კვირეულის დღეებში აღნიშნა მუხრან მაჭავარიანის 85-ე წლისთავი, შესრულდა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „ყვადეს სიტყვა, ქართული სიტყვა“, პატარა მკითხველები გაახარა მწერლისა და გამომცემლის ბონდო მაცა-



ბერიძის სტუმრობამ. მწერალმა პატარებს საჩუქრად გადასცა გამომცემლობა „ბაკის“ მიერ გამოცემული ზღაპრების წიგნები. ღონისძიებას ესწრებოდა ღვანლმოსილი ბიბლიოთეკათმცოდნე ალექსანდრე ლორია.

თბილისის 57-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ (ბაგბა ლალი გოძაძე) 16 მაისს კვირეულის პროგრამით ჩაატარა დედა

„ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასწრეული ენა ფეხზე წამოდგომასა და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა“. ბიბლიოთეკამ თანამედროვე ქართულის ენის პრობლემებს მიუძღვნა სპეციალ-



ური ღონისძიება. დამსწრე საზოგადოება: მკითხველები, ქართული ენის სპეციალისტები გულისტკივილით აღნიშნავდნენ თამედროვე ქართული ენის მიძიმე მდგომარეობას; ამ საქმეში წიგნს და ბიბლიოთეკას ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეუძლია, წიგნიერი ადამიანი ყოველთვის ცდილობს ისაუბროს სწორი ქართულით, მოერიდოს უცხოურ სიტყვათა გამოყენებას; ღონისძიებებში მონაწილეობდნენ პირველი საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე თინა მახარაძე, 128-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ნუცა კასრაძე. 152-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები: გ. არაბული და ე. არაბული, რომლებმაც წაიკითხეს ლექსები დედა ენაზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ პროფესორ-მანსავლებლები, ქართული ენის

ენისადმი მიძღვნილი საღამო. ბიბლიოთეკის გამგემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ი. ჯავახიშვილის წერილი „ისევ ქართული ენის შესახებ“, სადაც დიდი ისტორიკოსი გულისტკივილით წერს:

სპეციალისტები: მ. ასათიანი, ც. სამადაშვილი, ი. სხირტლაძე, ლ. მჭედლიშვილი, დ. კახაბერი, ზ. ტაბალუა და სხვები. ქართული ენის სშესახებ ვრცლად ისაუბრა რუსთველოლოგმა გიორგი

რომლებიც უკავშირდება დედა ენის სინმიდის დაცვას. 57-ე ბიბლიოთეკის ღონისძიებაზე დიდი ადგილი დაეთმო ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების შედეგებს, ბიბლიოთეკის როლს და ადგილს ამ ბოროტებასთან ბრძოლის საქმეში. ბიბლიოთეკის მკითხველმა პოეტმა ირინა ცუხიშვილმა დამსწრეთ წარუდგინა მხატვრული ესკიზი „ამბავი ჭაბუკზე“, სადაც აღწერილია ახალგაზრდის ტანჯული ცხოვრება, რაც გამონწეულია ნარკოტიკული საშუალებების მიღებით.



არაბულმა, ჟურნალისტმა ზ. ქინქლაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ქართული ენის მიერ განვლილი რთული გზა, ის ფაქტები და მოვლენები,

53-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ (ბაზმა რ. ფალავა) მე-18 ბიბლიოთეკასთან (გამგე ნ. ბი-აშვილი) და 24-ე ბიბლიოთეკასთან (გამგე ნ. მამ-ნიაშვილი) ერთად კვირეულის პროგრამით ჩაატარა მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო სახელწოდებით „დარდების შემგროვებელი“, საღამოს ესწრებოდნენ გ. ჩოხელის მეუღლე ნ. მელაშვილი და ავტორი ნიგნისა „ნანილიანი“ ნ. ზედელაშვილი, ნიგნი ეძღვება გ. ჩოხელის შემო-

ქმედებას. გ. ჩოხელის შემოქმედებიდან ლექსები და პროზაული ნაწყვეტები ნაიკითხეს მოსწავლეებმა: ს. და ს. ბზარაშვილებმა, ნ. ზაზაძემ, ა. ბერუაშვილმა, გ. ცოცხალაშვილმა, გ. პეტრიაშვილმა, ა.



ბედოიძემ და სხვებმა. ლიტერატურული საღამო დაამშვენა გოგონათა ფოლკლორული ანსამბლის „თორდას“ მიერ შესრულებულმა სიმღერებმა ა. ნიკლაურის, თ. გოგილაშვილის, გ. ჩოხელის, გ. ტაბატაძის და ნ. ხოკერაშვილის შესრულებით; საღამოს თემატიკასთან დაკავშირებით მოეწყო გ. ჩოხელის ავტორობით გამოცემული წიგნების გამოფენა სათაურით „დარდების შემგროვებელი“.



გ. ჩოხელის შემოქმედების შესახებ ისაუბრეს გ. ჩოხელის მეუღლემ, წიგნის ავტორმა ნ. ზედელაშვილმა და 53-ე ბიბლიოთეკის გამგე რ. ფაღავამ.

თბილისის 42-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გაბაია მ. საგანალიძე) საბიბლიოთეკო კვირეული შინაარსიანი და დატვირთული იყო.

კვირეული გაიხსნა თვითნასწავლი მხატ-

ვრის თამარ აღდგომელაშვილის ნამუშევრების გამოფენით. გამოფენამ მკითხველთა მოწონება დაიმსახურა, რაზედაც მეტყველებს მათი ჩანახატების შთაბეჭდილებებს წიგნში. აქვე იყო წარმოდგენილი მხატვრის ბაბუის კარლო კარიჭაშვილის სკულპტურული ნამუშევრების გამოფენები. კვირეულის პირველსავე დღეს ბიბლიოთეკაში ჩატარდა კონკურსი – გამოფენა ხატვაში, ხელმძღვანელი მარინა სამადაშილი. კონკურსის ხელმძღვანელმა მოსწავლეებს დაურიგა ამონარიდები საბავშვო ლექსებიდან, რომლის მიხედვით ბავშვებს უნდა შეესრულებინათ ნახატები. მოსწავლეებს ასევე საშუალება ჰქონდოთ დაესურათებინათ ფრაგმენტები რ. ინანიშვილის მოთხრობებიდან. კონკურსი ჩატარდა ორ ტურად. მოსწავლეებმა ძირითადად სწორად გაართვეს თავი დავალებებს, მათ თავიანთი თვალთახედვით გააცოცხლეს მწერლის შემოქმედება. კონკურსში მონაწილეობდა



45 მოსწავლე თბილისის 129-ე და 190-ე საჯარო სკოლებიდან და წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა პანსიონიდან. იმავე დღეს ბიბლიოთეკაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა. მკითხველებზე გაცემული კითხვები და მიღებული პასუხები ბიბლიოთეკას საშუალებას აძლევს გამოიგნოს საჭირო დასკვნები, გამოავლინოს ხარვეზები და იზრუნოს მკითხველებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე. გამოკვლევის შედეგების ანალიზი შეაჯამა პროფ. ა. ლორიამ.

კვირეულის დღეებში ჩატარდა ამერიკის საინფორმაციო აკადემიის ნამდვილი წევრის პროფ. გრეტა ჩანტლაძის ლექცია თემაზე: „ორი იბერია, საქართველო და ბასკეთი“

ლექციამ თავისი თემატიკითა და გადმოცემის მანერით დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში; ლექტორმა უპასუხა მრავალფეროვან შეკითხვებს, მოეწყო გამოფენა ამავე

თემაზე. ბიბლიოთეკა აქტიურად მუშაობს მკითხველთა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან; მომსახურების განყოფილება სისტემატურად სწავლობს მკითხველთა საინფორმაციო ბიბლიოგრაფიულ მოთხოვნებს და ცდილობს მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ისინი. ქართველ ენის მნიშვნელობასა და მისი ნორმების დაცვას მიეძღვნა **38-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიება (გამგზ. ლ. სოფარიანი)**. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობა, სკოლამდელი ასაკის ბავშვები. ღონისძიებას ესწრებოდნენ: ფილოლოგი, საპატიო პროფესორი შუქია აფრიდონიძე „ფილოლოგი ნ. კოპალეიშვილი. ბიბლიოთეკაში პერიოდულად ეწყობა ბავშვთა ნახატების გამოფენა. ღონისძიების მსვლელობისას საკუთარი ნახატები წარმოადგინეს აქტიურმა მკითხველებმა ი. მაჭავარიანმა და თ. ქავთარაძემ.

ახებ ისაუბრა მწერალმა კობა არაბულმა. პოეტის ლექსებს და მხატვრულ ჩანაწერებს ოსტატურად კითხულობდნენ 43-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები. წარმოდგენილი იყო ასევე მთი-



ულური სიმღერები და ცეკვები.

კვირეულის დღეებში მრავალფეროვანი და შინაარსიანი ღონისძიებები ჩატარდა **თბილისის მე-7 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგზ. ე. ქამუშაძე)**. დედის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „ვით უკვდავება, დედა ერთია“. მონაწილეობდნენ წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მეორე კლასელები. დამსწრეთა წინაშე მოსწავლეები წარსდგნენ სიმღერებითა და ცეკვებით, დედისადმი მიძღვნილი ლექსებით. ბავშვები დააჯილდოვეს წა-



დამსწრეებმა, საპატიო სტუმრებმა დადებითად შეაფასეს ღონისძიება და აღნიშნეს, რომ წიგნს და ზოგადად ბიბლიოთეკას შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს ენის სინმინდისათვის ბრძოლაში; მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ქართული ლიტერატურის სექციისაში გამარჯვებულად ცნეს ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი სალომე ლაჭავაძე.

გოდერძი ჩოხელის ხსოვნის საღამო ჩატარდა თბილისის მე-4 და მე-14 ფილიალებში. (გამგებები რ. კუჭავა და ნ. მელაძე). ღონისძიება მოამზადეს ბიბლიოთეკარმა ნ. ხალულაშვილმა და 43-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ნ. ნასყიდაშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ 43-ე საჯარო სკოლის დირექტორი თ. აბუთიძე და სასწავლო ნაწილის გამგე ეკატერინე ვეკუა. გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შეს-



მახალისებელი საჩუქრებით. კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკაში გაიხსნა კინოკლუბი სლოგანით „დავსხდეთ სამოვართან და ვისაუბროთ კინოხელოვნებაზე“ წამყვანი კინომცოდნე ლ. გელაშვილი. მოეწყო ჩვენება კინოფილმებისა „ცხოვრება მშვენიერია“ და „ველოსიპედის გამტაცებლები“

ბიბლიოთეკა სისტემურად სწავლობს მკითხველთა ინტერესებს, არკვევს რომელი სოციალური ჯგუფი ვერ ახერხებს ბიბლიოთეკაში მოსვლას ჯანმრთელობის თუ სხვა გარემოებათა გამო. ამ




მიზნით ბიბლიოთეკაში მოქმედებს სპეციალური პროექტი „ნიგნით საზოგადოებისკენ“. პროექტის მიზანია, რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს ნიგნი მკითხველთა სხვადასხვა კატეგორიებს. 21 – მაისს ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეტის ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის საღამო „ჩემი ლექსებით შენზედ ვლოცულობ ჩემო ენავ და ჩემო მამულო“.

საინტერესოდ წარიმართა ღონისძიება, მას წითელ ზოლად გასდევდა მამულის სიყვარულის გრძნობა და თითოეულის შეგნების ამალღება ქვეყნის სულიერი აღმავლობისათვის. ბიბლიოთეკაში სპეციალური ღონისძიება ჩატარდა სახელწოდებით „ჯანმრთელი ცხოვრების წესი“. ამ საკითხზე ლექცია წაიკითხა ჯანმრთელობის ექსპერტმა ინა ვაჩიბერიძემ. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს რაგბის ნაკრების წევრები, რომლებმაც უპასუხეს მკითხველთა შეკითხვებს. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის 32-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას

მიეძღვნა ღონისძიება „სევდის შემგროვებელი“. ესწრებოდნენ წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეები, გ. ჩოხელის შემოქმედების მემბტიანე ნ. ზედელაშვილი და გ. ჩოხელის მეუღლე ნ. მელაშვილი. უჩვენეს გ. ჩოხელის ფილმი „ბაკურხეველი ხევსური“... ბიბლიოთეკაში წარადგინეს პროექტის „ჩემი ნიგნი“ მონაწილე კლუბი კანუდისი, რომელიც ბიბლიოთეკის სახელით წარადგინა გ. დორჩანაშვილის ნიგნს „სამოსელი პირველი“, 7 მაისს ამავე ბიბლიოთეკაში ჩატარდა ჩეხეთის ლიტერატურის კვირეული. კვირეულის მონაწილეებს გააცნეს ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული გმირისა და პირველი პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის ცხოვრება და მოღვაწეობა. კვირეული დასრულდა ღონისძიებით „მორალისტი პოლიტიკოსი“. კვირეულის დღეებში ბიბლიოთეკის სტუმრობდა ესპანეთის ქალაქ მადრიდის მართლმადიდებელი ეკლესიის იღუმენი მამა პიროსი, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა სიკეთეზე, სიყვარულზე, კაცმოყვარეობაზე. მამა პიროსმა აკურთხმ ბიბლიოთეკა და დალოცა თანამშრომლები. მე-7 ბიბლიოთეკა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის პროექტში. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „მოხეტიალე ნიგნები“.

კვირეულის პროგრამით **თბილისის 30-ე და 54-ე ფილიალებმა (ბაგვაჯი მ. აბრამიშვილი**



ლი და ნ. კალმახელიძე) ჩატარა ღონისძიება სახელწოდებით „თუ სადმე ნახვალ არედ ნიგნით და მხოლოდ ნიგნით“. ნიგნის დანიშნულებაზე საინტერესოდ ისაუბრეს ბიბლიოთეკარებმა, 103-ე და 74-ე საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. ნიგნის შესახებ საკუთარი ლექსი წაიკითხა 30-ე ბიბლიოთეკის მკითხველმა თ. კობახიძე-ჯავახიშ-


ვილმა. დამსწრე საზოგადოება ერთსულოვანი იყო იმ საკითხში, რომ წიგნი შეუცვლელია, რომ მას დიდი როლის შესრულება შეუძლია პიროვნების აღზრდის, განათლებისა და ინფორმირების საქმეში. ღონისძიებას ესწრებოდა და საინტერესო სიტყვით გამოვიდა მწერალი ჯემალ ქირია.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებში მასობრივი ღონისძიებები ყოველთვის გამოირჩეოდა მკითხველთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების პრინციპით, ბიბლიოთეკარი ახლოს იცნობენ თავიანთ მიკრორაიონში მაცხოვრებლებს. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში მთავარ საქალაქო ბიბლიოთეკაში ორგანიზებულ ღონისძიებებს ახალი შინაარსი და იმპულსი შესძინა ლიტერატურულმა სალონმა „საგულისონი“ (ხელმძღვანელი ცისანა ქოჩჩიაშვილი), თითოეული ღონისძიება გამოირჩევა სცენარის მრავალფეროვნებითა და მუსიკალურ-მხატვრული გაფორმებით.

თბილისის მე-12 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგა ც. შუბიტიძე) ლიტერატურული საღამო მიეძღვნა მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან 85-ე წლისთავს. პოეტის შემოქმედების შესახებ ისაუბრა ამავე ბიბლიოთეკის მთავარმა სპეციალისტმა, პოეტმა ნ. ჟიჟიაშვილმა, ღონისძიებაში

მუშები. საღამოზე მოენყო მხატვარ ე. ზურაბიშვილის ნამუშევრებისა და ქ. მარხულიას ხელნაკეთი თოჯინების გამოფენები.

თბილისის 32-ე და მე-5 საქალაქო ბიბლიოთეკებმა (გამგეები ლ. უხურგუნაშვილი და ი. ამირიძე) ერთობლივად ჩაატარეს ფოლკლორის საღამო „კიდევაც დაიზრდებიან“, ბიბლიოთეკ-



მონაწილეობდნენ 97-ე და 106-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები: ლ. ლომიძე, მ. მედუნაშვილი, ე. ზურაბიშვილი, მკითხველი სტუდენტები. შთამბეჭდავი იყო სტუდენტის ლუკა ლომიძის გამოსვლა; მან მხატვრული ოსტატობით წაიკითხა მ. მაჭავარიანის რამოდენიმე ლექსი, დამსწრეთ გააცნო საკუთარი პოეტური შემოქმედებისნი-

არებთან ერთად საღამოს ორგანიზებასა და ჩატარებაში მონაწილეობდნენ 118-ე, 119-ე, 120-ე, მე-4, 112-ე და კერძო სკოლის „ცოდნის“ მოსწავლეები. მოსწავლეებმა დიდი ოსტატობით შეასრულეს ხალხური სიმღერები და ცეკვები.

61-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგა ლ. ფანჩულიძე) ჩატარდა ღონისძიება „საქართველო ბეჭედი ბაჯალლო, და თბილისი, შიგ ჩასმული ბადალში“. ბიბლიოთეკის გამგემ საკუთარი ხელთ გააფორმა გამოფენები, სტენდები, ალბომები. ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბებულია მხატვრული კითხვის, სიმღერის, დაკვირისა და სხვა სახის წრეები. ღონისძიება მაღალ დონეზე მოამზადეს ბიბლიოთეკარებმა მ. ბარათაშვილმა, ნ. გალუსტაშვილმა, მ. გოცაძემ და ი. მიროტაძემ. ბიბლიოთეკის შინაარსიანი ღონისძიებებსა და საერთოდ თანამშრომელთა შესახებ გულთბილი წერილი დაწერა პედაგოგმა ი. ნარმანიამ. იგი გაკვირვებულია ბიბლიოთეკართა ერთუზიანებითა და შრომისმოყვარეობით, პროფესიონალიზმით.


განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით არის გამსჭვალული ბიბლიოთეკის გამგის ლ. ფანჩულის შემოქმედებითი საქმიანობით, ქალბატონი ლილი, მიუხედავად მძიმე სულიერი ტრავმებისა, დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით ემსახურება მკითხველებს, იგი თვითონ არის მრავალმხრივი შემოქმედი და ადამიანებისადმი სიყვარულით აღსავსე პიროვნება.

ქ. რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანებებში (დირექტორი თ. შვანიძე) კვირეულის პირველ დღეებში მოეწყო ბიბლიოთეკაში არსებული უნიკალური წიგნების, ფოტომასალებისა და უძველესი პერიოდული გამოცემების გამოფენა. ფოტომასალა წარმოდგენილი იყო სპეციალური ალ-

ბომით, რომელიც სათავეს იღებს 1948 წლიდან. გამოფენას „წიგნი ჩემი მეგობარი“ უამრავი დამთვალეიერებელი ჰყავდა. ამავე დღეს შეხვედრა მოუწვევს საყმაწვილო ლიტერატურული კრებულის „რუ“-ს ავტორებს. ღონისძიება „თეატრალური პორტრეტები“ მასპინძლობდა თეატრის რეჟისორებს,

დრამატურგებსა და მსახიობებს, რუსთაველ მწერლებსა და პოეტებს. იოსებ გრიშაშვილის დაბადებიდან 125-ე წლისთავის მიეძღვნა ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია „შენ დაიბადე აპრილის თვეში“. №1 საქალაქო-საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული დილა, მოეწყო ფოტოგამოფენა „მოგზაურობა ზღაპრის სამყაროში“; აქვე ფილიალში შეხვედრა მოუწვევს პოეტ ცირა ბულაშვილს, განიხილეს მისი წიგნი „ქალი სამყაროს საიდუმლო“. საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა №2-ე, №3-ე საქალაქო ფილიალებში. ლიტერატურული კომპოზიცია მიეძღვნა იოსებ გრიშაშვილსა და გურამ დოჩა-

ნაშვილის საიუბილეო თარიღებს. კვირეულის დახურვას ესწრებოდა ქალაქის მაჟორიტარი დეტუპატი ზვიად ძიძიგური.



წალენჯივის საბიბლიოთეკო სისტემაში (საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ნ. შანაძე)

გაიმართა შეხვედრები, გამოფენები, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები, წყნების ბიბლიოთეკა – ფილიალთა სმირად სარგებლობენ აფხაზეთიდან გადმოსული მკითხველები, საჭირო ამ ბიბლიოთეკის ფონდების სისტემური განახლება. კვირეულის დღეებში მოეწყო შეხვედრა ღვანლმოსილ ბიბლიოთეკარებთან. მოწვეულები იყვნენ მ. ხარჩილავა, ც. მატეა, გ. ქან-

თარია; მათ გადაეცათ საპატიო სიგელები და საჩუქრები. შეხვედრას ესწრებოდნენ გამგებელი გ. ხულორდავა და საკრებულოს თავმჯდომარე დ. ბელქანიძე. თბილი სიტყვებით მოიგონეს წასული ბიბლიოთეკარები: ე. სამუშია, ნ. ცხონდია, პ. გედენიძე, ც. ჯოლოსავა, პ. ციმიანტია, ნ. ჭანტურია და სხვები.



წალტუბოს საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ს. სვანიძე)

კვირეულის პროგრამით თითქმის ყველა ღონისძიება მიეძღვნა ქართული პოეზიის პოპულარიზაციას, კვირეული ჩატარდა დევიზით: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ღონისძიებები ჩატარდა ახლად აღდგენილ ბიბლიოთეკა-ფილიალებში. პოეზიის საღამოები მიეძღვნა ქართული კლასიკების შემოქმედებას. ღონისძიებების ერთი ნაწილი ჩატარდა საჯარო სკოლებში. ყველა ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საჯაროს სკოლების მოსწავლეები, ადგილობრივი ინტელიგენცია, პედაგოგები. მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა ქუთაისელ პოეტებთან

„ლექსი დაფრინავს ჩემს ქუთაისში“. ღონისძიება გაიმართა ღია ცის ქვეშ.

ასპინძის საბიბლიოთეკო გაერთიანებებში (ღირაქტორი ნ. ბერიძე) ღონისძიებები გაიმართა როგორც მთავარ, ასევე ბიბლიოთეკა-ფილიალებში. მთავარ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის ნ. ბუჩუკურის ხელმძღვანელობით გაიმართა ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი ი. გრიშაშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი. ს. ხიზაბავრის ბიბლიოთეკაში (გამგე ფ. ისაკაძე) ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „ჩემი წიგნი, ჩემი დედა, ჩემი ენა ქართული“. ს. ოშორას ბიბლიოთეკაში (გამგე ზ. ბუცხრიკიძე) ჩატარდა ღონისძიება „თვით უკვდავება მშვენიერისა სულში მდუმარებს“. დასკვნითი ღონისძიება გაიმართა ასპინძის საჯარო სკოლაში. სახელწოდებით: „სულ ჩემი გულის მონაწურია“. ღონისძიება მოამზადეს ბიბლიოთეკარებმა და პედაგოგმა თ. წითლანაძემ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საჯარო სკოლის მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეები. ღონისძიებაზე განიხილეს გ. ლეონიძის „ნატვრის ხე“. ღონისძიებასთან დაკავშირებით ჩატარდა კონკურსი სამ ნომინაციაში: საუკეთესო რეჟისურა, საუკეთესო როლის შემსრულებელი და ყველაზე გონიერი. ღონისძიება შეაფასა სკოლის ბიბლიოთეკარმა რ. შუშაბერიძემ მონაწილეებს გადაეცათ სიგელები.

ონის საბიბლიოთეკო გაერთიანებებში (ღირაქტორი ა. პრისტიავი) გაიმართა პოეტ დანიელ ხახიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. პოეტი დ. ხახიაშვილი ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის მლალადებელია. მისი პოეზია ჰიმნია სიკეთის, სიყვარულის და მეგობრობისა. იგი ნამდვილად იყო საქართველოზე მლოცველი პოეტი: ადრე პოეტი რაჭაში ჩამოიყვანა ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა ოქრო მაგრაქველიძემ. მისი წიგნი „გზა იერუსალიმამდე“ არის ავტორის მონატრების, სიყვარულის წიგნი; ხოლო გზა არის მწუხარე და შეუცნობი, გზა – გოლგოთა. პოეტმა დანიელ ხახიაშვილმა გვიჩვენა მეგობრობისა და სიყვარულის ნათელი მაგალითი. პოეტმა არა ერთი წიგნი გამოსცა ისრაელში და საქართველოში და თითოეულ მათგანში ჩააქსოვა ორი ხალხის სულიერი მეგობრობის მარადიული გრძნობა. პოეტს ერთობ გაუჭირდა რაჭის დატოვება, მას ხომ მთელი საქართველო იცნობდა. გულთბილი იყო ონელთა მოგონება მათი საყვარელი პოეტის, მკითხველები და არა მარტო მკითხველები გულწრფელი სინანულით

იგონებდნენ ძვირფას თანამემამულეს, ნამდვილ პატრიოტსა და ხალხთა მეგობრობის უზადო მესობებს.

ბოლნისის საბიბლიოთეკო გაერთიანება (ღირაქტორი ლ. პუშუტაიშვილი) კვირეულის პროგრამით საინტერესო ღონისძიებებით წარსდგა მკითხველთა წინაშე. მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „გერმანელები ბოლნისში“. საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა აშუღური პოეზიის საღამო, მოსწავლეებმა წარმოადგინეს იეთიმ გურჯის, საიათნოვასა და იოსებ გრიშაშვილის აშუღური პოეზიის ნიმუშები. შინაარსიანი ღონისძიებები ჩატარდა საბავშვო, ს. ქვეშის, ს. ბოლნისის, ს. თამარისის, ს. კაზრეთის, ს. ბალიჭის, ს. რატევის სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებში. პატარებმა მხატვრულად წაიკითხეს ლექსები ანა კალანდაძის პოეზიიდან, ლადო ასათიანის პოეტურ კრებულებიდან; სოფელ რატევიანში გაიმართა ადგილობრივი მკვიდრის პოეტის ლამზირა მიქელაძის შემოქმედებითი საღამო. მკითხველმა დიდი მოწონება და მსახურა მისმა ერთ-ერთმა ლექსმა „გულახდილობა“, პოეტი თავმდებლად აცხადებს, რომ იგი არ უტოლდება საქვეყნოდ ცნობილ პოეტებს, მაგრამ ცდილობს „ლექსად ითქვას, რაც სათქმელია, რადგან სიტყვები ლექსად ქცევას ჩემგან ელიან“.

კვირეული დაიხურა მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებით „დიდი ადამიანები საქართველოში“. მკითხველებმა ამონარიდები წაიკითხეს საქართველოში მყოფი დიდი ადამიანების გამონათქვამებიდან საქართველოს შესახებ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ №1, №3 და №5-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები.

გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირაქტორი მ. გლურჯიძე) კვირეულის დღეებში გაიმართა ფართო და მცირე ფორმატის ღონისძიებები. აპრილის თვეში ისედაც ბევრი საინტერესო თარიღია აღსანიშნავი. კვირეული გაიხსნა მთავარ ბიბლიოთეკაში, მოეწყო ე. წ. „მრგვალი მაგიდა“ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მუშაკათვის. ბიბლიოთეკარებს ამომწურავი პასუხები გაეცათ მათთვის საინტერესო საკითხებზე. კვირეულის ამოცანებზე ისაუბრეს ლ. გოდელაშვილმა, ნ. ლოლაშვილმა, ნ. ბითაძემ, მ. დოღენჯაშვილმა, ვეჯინის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე მ. ხელაშვილმა.

კვირეული დაიხურა ღონისძიებით „საზოგადოება – წიგნი – ბიბლიოთეკა“. ბიბლიოთეკის

განყოფილებების გამგეობმა, სპეციალისტებმა საინტერესოდ ისაუბრეს წიგნის როლისა და დანიშნულების შესახებ. ახსნეს წიგნის რთული გზა პირველი ბეჭდური წიგნებიდან ელექტრონულ წიგნებამდე. დამსწრეთაგან საინტერესო სიტყვებით გამოვიდნენ გ. ენუქიძე, მ. მოსულიშვილი, თ. ცისკარიშვილი; პოეტები ნ. შალიკაშვილი, ნ. ყალაბეგაშვილი და არსენიშვილი. კვირეულის ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ყველა ბიბლიოთეკა-ფილიალი, მათგან საინტერესო იყო ს. ვეჯინის სასოფლო ფილიალში ჩატარებული პოეზიის საღამო სკოლასთან ერთად. ღონისძიება სახელწოდებით „წიგნთან ერთად, წიგნის სიყვარულით“ (პედაგოგი ვ. ბაზერაშვილი), ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკის გამგე მ. ხელაშვილი, ლექსებს კითხულობდნენ: ნ. სვიმონიშვილი, მ. სეფიაშვილი, . შანყულაშვილი, შ. ბერიშვილი და სხვები.

სენაკის საბიბლიოთეკო სისტემა (საჯარო ბიბლიოთეკის უფროსი სპეციალისტი ც. ხორავას ინფორმაცია) ყოველთვის გამოირჩეოდა მასობრივი მუშაობის ახალი ფორმებით, სისტემის თითოეული ბიბლიოთეკა ცდილობს ჩაატაროს ორიგინალური ღონისძიება, რომელიც დაინტერესებს მკითხველებს კვირეულის გახსნის დღეს მოენწყოს გამოფენა „ამაგდარი ბიბლიოთეკარები“. საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება „უნიგნოდ ძნელია“. საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა ს. ფოცხოს (გამგე ლ. დემურია), მენჯის (გამგე ი. სორდია), ზემო ქალადიდის (გამგე რ. აბრამია), ხორშის (გამგე ც. შურდულია), თეკლათის (გამგე მ. სართანია), ძველი სენაკის (გამგე მ.; ფინთურია), ლეძაძამის (გამგე თ. ჯღარკავა), ზანის (გამგე დ. გვაძაბია), ახალსოფლის (გამგე ნ. თოდუა) ბიბლიოთეკა-ფილიალებში. ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები. კვირეულის დახურვა დღეს მოენყო ექსკურსია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

თეთრი წყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ქ. მაისურაძე). კვირეული დაიწყო მანგლისის სადაბო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ბედოიძე). აქ ჩატარდა ლიტერატურული საღამო „დიგორის თქმული“. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ადგილობრივი პოეტები: ა. აფციაური და დ. ოქიტაშვილი, ნ. აფციაური. ასურეთის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე გ. მუხაშავერია) ჩატარდა ლიტერატურული საღამო, რომელიც

მიეძღვნა მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან 85-ე წლისთავს. კოდის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე – ლ. ნიკოლაიშვილი) ჩატარდა ღონისძიება „წიგნი ცოდნის წყაროა“. მუნიციპალიტეტის მთავარმა ბიბლიოთეკამ ს. წინწყაროს ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. ონიანი) ჩატარა ღონისძიება „მამული, ენა, სარწმუნოება“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თეთრი წყაროს მე-2 საჯარო სკოლისა და წინწყაროს საჯარო სკოლის მოსწავლეები. ჭიჭვავის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ი. ქურასბედიანი) ჩატარდა ლიტერატურული კომპოზიცია „ბიბლიოთეკა – ცოდნის ტაძარი“.

მცხეთის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ნ. თათარაშვილი) თითოეული მასობრივი ღონისძიება მკვეთრად ასახავს მკითხველთა სულისკვეთებას. ცალკეულ ბიბლიოთეკებში გამართული მასობრივი ღონისძიებები გამოირჩევა წიგნთან და საზოგადოებასთან სიახლოვით. მცხეთის ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა და ბავშვები ნათლად ხედავენ ბიბლიოთეკის როლსა და ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აღზრდა-განათლებისა და ინფორმაციის მიწოდების საქმეში. მიმდინარე წელსაც მთავარ ბიბლიოთეკაში ღონისძიებები გაიმართა კვირეულის დევიზით „ჩემი ბიბლიოთეკა – ჩემი სამყაროა“. კვირეული გაიხსნა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მცხეთელი ხელოვნების ნახატების, კერამიკისა და ხალხური რენვის ნიმუშების გამოფენით. მთავარ ბიბლიოთეკაში აღინიშნა მუხრან მაჭავარიანის დაბადებიდან 85-ე წლისთავი. ამავე ბიბლიოთეკაში მკითხველების დიდი ინტერესი გამოიწვია ღონისძიებამ „21-ე საუკუნის ბიბლიოთეკა და მათი მნიშვნელობა“. მცხეთის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკამ ჩაატარა ი. გრიშაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. დევიზით „ჯანმრთელი ცხოვრების წესი“ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება, რომელიც ალპინიზმს მიეძღვნა.

ზესტაფონის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ლ. შარაძე) კვირეულის პირველ დღეს ჩატარდა საღამო, რომელიც მიეძღვნა ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლის თ. ლელაძის ხსოვნას. მოენყო მისი ნამუშევრების გამოფენა. პროფესიით მხატვარი თ. ლელაძე ნლების განმალგობაში ემსახურებოდა ბიბლიოთეკას და გემოვნებით აფორმებდა სამკითხველო დარბაზებს. ღონისძიებას ესწრებოდნენ მხატვრის მეუღლე,

ვაჟი, მისი უახლოესი მეგობრები და ნათესავები. მხატვარი გულთბილად მოიგონეს რაიონის ჯანდაცვის უფროსმა თ. გველესიანმა, ბიბლიოთეკარმა ნ. კაპანაძემ, პოეტმა მ. მაჭავარიანმა და სხვებმა. მხატვრის შვილმა დ. ლელაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ მამის გულთბილი მოგონებისთვის.


ცენტრალური ბიბლიოთეკაში ფართომასშტაბიანი ღონისძიებით აღინიშნა გურამ რჩეულიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავი. ღონისძიებებს ესწრებოდნენ კულტურის სამსახურის უფროსი ხ. ასათიანი, გამგებლის მოადგილე ხ. გუმბერიძე, რაიონის საზოგადოება, ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა. გ. რჩეულიშვილის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის მასალები წარმოადგენს თავისუფალი სკოლის მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეებმა, პედაგოგის ქ. კვეციტაძის ხელმძღვანელობით. 26 წელი იცხოვრა გ. რჩეულიშვილმა, სათქმელი რა თქმა უნდა ბოლომდე ვერ თქვა, მაგრამ ღრმა კვალი დატოვა ქართულ მწერლობაში და ერის სულიერ სამყაროში. ღონისძიებაზე უჩვენეს ნაწყვეტები კინოფილმიდან „ალავერდობა“ საინტერესო იყო გ. რჩეულიშვილის თანაკურსელის გ. მშვენიერაძის მოგონებები, პოეტმა მ. მაჭავარიანმა გ. რჩეულიშვილი დაახასიათა როგორც უშიშარი პიროვნება, შემართული და ვაჟკაცური ინტელიგენტი. ხსოვნის საღამოზე ბევრი რამ ითქვა ახალგაზრდა მწერლის შემოქმედების შესახებ.

დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (ღირაქტორი მ. მაჭარაშვილი) კვირეული გაიხსნა ზეპირი ჟურნალით, სადაც წარმოდგენილი იყო იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც ჩატარდებოდა კვირეულის პროგრამით. კვირეული მიეძღვნა საქართველოს ისტორიას, ქართული ენისა და სიყვარულის თემატიკას. ენა ჩვენი ქართული – ამ თემაზე ღრმად შინაარსიანი მოხსენება გააკეთა მარინა ზურაბაშვილმა, მან მიმოიხილა ქართული ენის ისტორია, ქართული ხალხის ბრძოლა ენის სინმინდის დასაცავად, ბიბლიოთეკის როლი მშობლიური ენის ნორმების შენარჩუნების საქმეში. მკითხველი საზოგადოების წინაშე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა თ. ელაშვილი. მან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიმოიხილა საქართველოს ისტორია, პირვეწყაროების დამონშებით ცხადყო ჩვენი ისტორიის ძირითადი მომენტები, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მე-20 საუ-

კუნის ცნობილი მოვლენების შესახებ. დამსწრეთ ერთხელ კიდევ შეახსენა 9 აპრილისა და 26 მაისის ცნობილი ფაქტები; ქართველი მამულიშვილების თავდადება ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მოხსენება დაასრულდა შოთა ნიშნიანიძის ლექსით „ერო, ამაცო და უშიშარო“, პოეტი მოუწოდებს ქართველებს იყვნენ უშიშარი და გონიერნი „რაკი უფლის ნება გამოვლინდა“. კვირეულის ბოლო გვერდი დაამშვენა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მანა მაჭარაშვილის მიერ სიყვარულის თემაზე წარმოდგენილმა მოხსენებამ „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“. მომხსენებელმა წარმოადგინა ქართული პოეტების, ქართველი კლასიკოსების შემოქმედებიდან ამონარიდები სიყვარულის თემაზე. ლექსების ცალკეული ტაეები და სიყვარულზე შექმნილი პოეზიის ნიმუშები: ა. ჭავჭავაძის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, აშულური პოეზიის წარმომადგენლების დ. გივიშვილის, საიათნოვას, იეთიმ გურჯის და სხვათა მიერ სიყვარულის თემაზე შექმნილი და სასიმღეროდ ქცეული ლექსები. მხატვრულად წარმოადგინა გალაკტიონის ლექსები: „მერი“, „თოვლი“, „ცამეტი წლის ხარ“. ხალხური სიტყვიერების ნიმუშებისა და თანამედროვე პოეტების მიერ სიყვარულის თემაზე შექმნილი ლექსებით მომხსენებელმა კიდევ ერთხელ ცხადყო სიყვარულის ყოვლიშემძლეობა, ის რომ ეს გრძნობა მარადიულია და უკვდავი, ამ გრძნობას სულ სხვანაირად უმღერიან საქართველოში.

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (ღირაქტორი ნ. ჩოგოვაძე) ყოველთვის გამოირჩეოდა მასობრივი ღონისძიებების მრავალფეროვნებით. სისტემაში კვირეულის გარდა პერიოდულად იმართება შეხვედრები, პოეზიის საღამოები, წიგნების წარდგენა. მიმდინარე წლის კვირეულს გამოეხმაურა ყველა საქალაქო ბიბლიოთეკა. მე-18 ბიბლიოთეკაში 35-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად ჩატარდა ღონისძიება „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. სკოლის დირექტორმა ი. ივანეიშვილმა ქართული და უცხოელი კლასიკოსების შემოქმედებიდან შეარჩია მკითხველთათვის საინტერესო ნიმუშები, რომლებიც წარმოადგინეს მოსწავლეებმა. 22-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა ბიბლიოთეკის დღე. კულტურისა და წიგნიერების კერის შესახებ ისაუბრეს ბიბლიოთეკარებმა და 28-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. 25-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში მომზადებული ღონისძიებით

დაიხურა კვირეული. ღონისძიების მასპინძელი იყო ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. მე-16 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ამონარიდები „ვეფხისტყაოსნიდან“ გაპონოვის



თარგმანის მიხედვით. პოემის თარგმანი შესრულებულია ივრითულ ენაზე. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. წარმოდგენილი იყო თანამედროვე ქუთაისელი ავტორების 40-მდე სახელწოდების მხატვრული და სამეცნიერო შინაარსის წიგნები, რომლებიც საჩუქრად გადაეცა ბიბლიოთეკას. ღონისძიების ორგანიზატორი იყო აღმოსავლური კულტურის საინფორმაციო ცენტრი; მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება „მოგზაურობა დროში – აფხაზეთი საქართვე-



ლოა“ აფხაზეთის ისტორია დასაბამიდან დღემდე ახალგაზრდა მკითხველებს გააცნო ეკონომიკის სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორმა ისტორიკოსმა ცისკარა ფაჩულიამ; მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკიმ გაიმართა პოეტისა და ჟურნალისტის ცირა შალაშვილის პოეზიის საღამო. მკითხველები, სკოლის მოსწავლეები კითხულობდნენ პოეტის ლექსებს; მე-14 საქალაქო ბიბლიოთეკა-

ში გაიმართა ღონისძიება „წიგნები, რომლებმაც ყველაფერი იცინა“. ბიბლიოთეკის შესახებ ისაუბრა მე-40 საჯარო სკოლის დირექტორმა დ. გაგუამ. მკითხველები წიგნს უნდა დავუბრუნოთ, – აღნიშნა ბიბლიოთეკის გამგემ დ. ბობოხიძემ. მე-7 საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა მუხრან მაჭავარიანი საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ღონისძიება: მონაწილეობდნენ უზნის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მკითხველები.

კვირეულის ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოწყობილი უნიკალური და იშვიათი გამოცემების გამოფენა. გამოფენა დაათვალიერა ბიბლიოთეკაში სტუმრად შემოსულმა პარლამენტის თავმჯდომარემ დ. უსუფაშვილმა და პარლამენტარმა თ. ხიდაშელმა. მათ ისაუბრეს წიგნისა და ბიბლიოთეკის განსა-



კუთრებული დანიშნულების შესახებ. პარლამენტის თავმჯდომარემ ბიბლიოთეკარებს მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა, მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკამ სამეცნიერო ბიბლიოთეკის ა. ლორთქიფანიძის სახ. სამკითხველო დარბაზში გამართეს ღონისძიება „გაცოცხლეთ სიყვარული დედამინაზე“. ღონისძიებაზე ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს ბიბლიოთეკის ნორჩმა მკითხველებმა. მე-20 საქალაქო ბიბლიოთეკაში ნორჩმა მკითხველებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „შემოვიდა გაზაფხული ცისარტყელას ფერებით“. საბავშვო ბიბლიოთეკის განყოფილებაში მოწყობილ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მე-2 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეები, პედაგოგის მ. ფერაძის ხელმძღვანელობით. ბავშვებმა წარმოადგინეს ინსცენირება „ვინ მოხატავს საქართველოს“, ნორჩ მკითხველებს მოუწყვეს თბილი და წიგნიერი გარემო. ისტორიკოს კ. ფაჩულიას საჯა-

რო ლექციას „მოგზაურობა დროში, – აფხაზეთი საქართველოა“ უამრავი მკითხველი და მეცნიერ-მუშაკი დაესწრო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. კ. ფაჩულიას ლექციები ხშირად ეწყობა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკების ქსელში.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოგვანოდა სამეცნიერო ბიბლიოთეკის პიარმენეჯერმა ც. ჯინჯიხაძემ.

2014 წლის ჩატარებული საბიბლიოთეკო კვირეული წარმატებული იყო ორგანიზაციული და შინაარსობრივი თვალსაზრისით. აქ წარმოდგენილი მასალების ზოგადი მიმოხილვა სრულყოფილად ვერ ასახავს კვირეულის მასშტაბებს. რედაქციამ ყურადღება გაამახვილა საჯარო ბიბლიოთეკიდან გადმოგზავნილი ინფორმაციის მიმოხილვაზე. კვირეულის პროგრამით ღონისძიება გაიმართა სხვადასხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებში: საჯარო სკოლებში, უმაღლესი სასწავლებლისა და პროფესიული სკოლების ბიბლიოთეკებში. 2014 წელი გამოეცხადა წიგნიერების წლად. ამ მოწოდებამ ახალი იმპულსი შესძინა ბიბლიოთეკებს. კვირეული საზეიმო ვითარებაში დაიხურა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დახურვაზე წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრო-

ნული რესურსებით მომსახურების ფორმები და საშუალებები. მუნიციპალიტეტების მთავარმა ბიბლიოთეკებმა წარმოადგინეს მათ მიერ ჩატარებული საჩვენებელი ღონისძიებების ვიდეო მასალები. ჩატარებული ღონისძიებების შინაარსი და ორგანიზაციული ფორმები ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ბიბლიოთეკები აქტიურად უწყობენ ხელს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წიგნიერებისა და განათლების ღონისამაღლებას. ღონისძიებებზე მკითხველთა აქტიური მონაწილეობა და პედაგოგთა დაინტერესება მიგვანიშნებს, რომ კვირეული ნამდვილად იქცა წიგნიერებისკენ, შემობრუნების ნიშანსვეტად.

**მომხილვა მოამზადა
ბურამ თაყნიაშვილმა**



ღირსეული თანამეგობარნი

ამა წლის ბოლოს ძვ. სტილით მომავალ წელს – 150 წელი სრულდება უდიდესი ქართველი მეცნიერის ნიკო მარის დაბადებიდან. ცხადია, ეს თარიღი ღირსეულად აღინიშნება, რაშიც მონაწილეობა ქართველმა ბიბლიოთეკათმცოდნეებმა და ბიბლიოგრაფებმაც უნდა მიიღონ. ჯერ კიდევ ბევრია გარსაკეთებელი ნიკო მარის სრულყოფილი პერსონალური ბიბლიოგრაფიის შესაქმნელად, მისი ნაწარმოებების ფართო პოპულარიზაციისათვის. გულნარა სტურუას აქ წარმოდგენილი სტატია ერთგვარად წარმოადგენს წინასწარი მზადების საწინდარს, რასაც განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდება ჩვენი საზოგადოება.

რედაქცია

ბულნარა სტურუა

დიდი ქართველი მეცნიერი - ნიკო მარი

ცნობილი ქართველოლოგი, უდიდესი ინტუიციისა და გაქანების, ფართო ფანტაზიის მქონე ენათმეცნიერი, ნიკოლოზ იაკობის ძე მარი დაიბადა 1865 წელს ქალაქ ქუთაისში მამა - იაკობ მარი, შოტლანდიელი ჰყავდა, დედა — ქართველი.

იგი იყო ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ორიენტალისტი, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 1930 წლიდან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ენციკლოპედიური ცოდნის მქონე გენიოსი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული ენათმეცნიერების განვითარების საქმეში.

1884 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიაში შესვლამდე რუსული ენა თითქმის არც

იცოდა. ამის შესახებ ავტობიოგრაფიაში თავადვე წერდა: „მშობლიურ ენად ვთვლი ქართულს, უფრო ზუსტად გურული დიალექტს“. წერა-კითხვაც პირველად ქართულად ისწავლა. შემდეგ დაიწყო სწავლა ფრანგულისა, რომელსაც ქართული ტრანსკრიპციით წერდა. ძალიან უყვარდა მშობლიური ენა, წერდა ლექსებს ქართულად. ქართულად თარგმნიდა ბაირონის, ჰაინეს და სხვათა ნაწარმოებებს.

1890 წელს ნიკო მარმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. (ამავე დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში ექვთიმე თაყაიშვილიც სწავლობდა, რომელსაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა ნიკო მართან). უნივერსიტეტში სხვა ენებთან ერთად არაბულსაც სწავლობდა, თავის ბიოგრაფიაში



წერს, რომ სწავლების მეორე წელსვე გააოცა ქართულისა და სემიტური ენების მსგავსებამ, ამის შესახებ მოხსენებაც გააკეთა, მაგრამ მის ამ აღმოჩენას საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდნენ, განსაკუთრებით, არაბისტი როზენი, მიუხედავად ამისა, ნიკო მარმა განაგრძო ამ საკითხებზე მუშაობა, რამაც "იაფეტურ თეორიამდე" მიიყვანა. თანამედროვე მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს თეორია დღესაც კი ახლებურ გადახედვას საჭიროებს.



მან გააგრძელა, გააფართოვა და გააღრმავა ის სამეცნიერო მუშაობა, რასაც საფუძველი ჩაუყარეს პეტერბურგში თეიმურაზ ბაგრატიონმა, მარი ბროსემ, დავით ჩუბინაშვილმა და ალექსანდრე ცაგარელმა. მან პირველმა მოჰკიდა ხელი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულად დამუშავების საქმეს.

მძიმე პირობებში მოუხდა აკად. ნიკო მარს მეცნიერული მუშაობა. არ იყო აღნუსხული ქართული ხელნაწერები, არ არსებობდა სისტემური კატალოგები იმისა, თუ რა მასალა მოიპოვებოდა იმ დროისათვის ერთადერთ - წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმში. მკვლევარი თვითონ აწარმოებდა მასალის კლასიფიკაციას, შესწავლას და გამოყენებას. სწავლობდა და იკვლევდა სხვა ხელნაწერ ფონდებს შინ და გარეთ, ადგენდა ინდექსებს, კატალოგებს, სამეცნიერო აღწერილობებს.

ნიკო მარს არც სათანადო თეორიული მეცნიერება დახვედრია და არც მომიჯნავე დისციპლინების (ენათმეცნიერება, ისტორია, არქეოლოგია) შესწავლა იდგა იმ

დონეზე, რომ სათანადო დახმარება გაენია მკვლევარი-სათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არაჩვეულებრივი გაცემებითა და შრომისმოყვარეობით შეუდგა იგი ძველი ქართული მწერლობის რთული პრობლემების კვლევის საქმეს. იმხანად არც ეს კვლევა იდგა სათანადო მეცნიერულ დონეზე. ქართული მწერლობის შესწავლა ხდებოდა იზოლირებულად, ქართველთა მეზობელი ხალხების წარსულის გათვალისწინების გარეშე. ნ. მარმა პირველმა დაამკვიდრა ქართული ფოლოლოგია, როგორც ზოგადკავკასიური ფოლოლოგიის ერთ-ერთი ნაშთი დარგი. ფართო საფუძველი ჩაუყარა ქართულ ტექსტოლოგიას - ძველი ქართული ძეგლების კრიტიკულ-ფოლოლოგიურ გამოცემებს. მან თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პირველსავე საფეხურზე მიზნად დაისახა უძვირფასესი ხელნაწერების შესწავლა და გამომზეურება ამომწურავი მეცნიერული აპარატით და რუსულ ენაზე თარგმნით.

ამავე დროს დიდი ამაგი დასდო როგორც ჰაგიოგრაფიულ, ისე საერო მწერლობის და ქართული ფოლოსოფიური აზროვნების ისტორიას იოანე პეტრიწისა და მისი ნეოპლატონური სკოლის გამომზეურებით.

ნიკო იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პრეფერენტი. ქართული ხელნაწერების შესასწავლად მუშაობდა სტრასბურგში, ვატიკანში, რომში. მონაწილეობდა ათონის მთაზე ნ. კონდაკოვის ექსპედიციაში. 1902 წელს ივ. ჯავახიშვილთან ერთად იყო ექსპედიციაში სინას მთაზე.

დააარსა რიგი სამეცნიერო სერიები (მათ შორის, იბლიოტეცა რმენო-ეორგიცა, "ონუმენტა ჰაგიოგრაფიკა ეორგიცა" და სხვ.). დიდი ამაგი დასდო ქართული სასულიერო და საერო მწერლობის საკითხების შესწავლას. 1921 წელს პეტროგრადში "იაფეტიდოლოგიური" (1922 წლიდან "იაფეტური") ინსტიტუტი დააარსა. აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს (ანისი 1892 წლიდან; ვორნაკის სამაროვანი 1893; ვანის ტბის სამხ. სანაპირო 1916).

ნიკო მარმა გამოაქვეყნა "ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები", "ჭანურის გრამატიკა", "ძველი ქართული სალიტერატურო ენა", საინტერესო წერილები სვანური და აფხაზური ენების შესახებ, სომხურის, როგორც წარვეი ენის შესახებ. გამოსცა გამოკვლევითა და კომენტარებით "აბდულმესი" და "თამარიანი". საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას. დიდია მისი დამსახურება ისტორიასა და არქეოლოგიაში. მან გაშიფრა ი. ორბელის მიერ აღმოჩენილი ურარტუს მეფის სარდური II-ის (ძვ. წ. 760-730) ცნობილი სოლისებური წარწერა, რომლის ერთ-ერთ მუხლში მოხსენიებულია კულხას (კოლხას) ქვეყანა. მან აღმოაჩინა მამალაძეების მიერ აგებული მეთავე საუკუნის ეკლესია შავშეთში, სოფელ ოქრობაგეთში და გამოსცა მისი წარწერა.

ნიკო მარმა აგრეთვე გამოსცა "პეტრე იბერის ცხოვრება" (1896), იპოლიტე რომაელის "თარგმანები ქება-ქებათაჲ" (1901), პასილი კესარიელის "ფიზიოლოგი" (1904), ანტიოქე სტრატისის "იერუსალიმის წარტყვევნის" არაბული ტექსტის ქართული თარგმანი (1909), განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" (1911). იოანე პეტრიწისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით (ЗБО ტ. XIX, 1909) მარმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარებას.

მარის შემოქმედებაში მაინც მთავარი ადგილი უკა-

ვია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური საკითხების განხილვა-დამუშავებას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ორი ნაშრომი, რომელთა სათაურია „ვეფხისტყაოსანი, ტექსტის ქრონიკა“ (ფონდი 800 72, 163). ორივე ეს ნაშრომი წარმოადგენს მასალას „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტზე ისეთი ტიპის გამოკვლევის დასაწერად, როგორც მარმა პოემის პროლოგისა და ეპილოგის შესახებ გამოაქვეყნა 1910 წელს „ტექსტებსა და ძიებებში“. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ამ ნაშრომებში ციტირებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი არის ნ. მარის მიერ დამუშავებული, კრიტიკულად დადგენილი ტექსტი და მას შეიძლება მიენიჭოს გამოცემის ოდენი მნიშვნელობა. გარდა ამისა, მოყვანილია საინტერესო დაკვირვებანი ამა თუ იმ საკითხის შესახებ, სიტყვათა განმარტებანი, მოცემულია პოემის სტროფების რუსული თარგმანი.

ნ. მარის ეს ნაშრომები იმითაც არის ღირსშესანიშნავი და საყურადღებო, რომ აქ მეცნიერი გარკვეული პრინციპულობითა და ობიექტურობით ცდილობს დაასაბუთოს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა და მისი მხატვრული ღირსებანი, პოემის ქართულ ნიადაგზე წარმოშობა. ნიკო მარი ერთ-ერთი პირველთაგანია იმ მეცნიერთა შორის, რომლებმაც „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების კვლევასთან ერთად, პოემის მხატვრული ენის თავისებურებებზეც გაამახვილეს ყურადღება. განალიზებულია აქვს თითქმის ყველა ის საშუალება და ხერხი, რითაც რუსთაველი აღწევს „ვეფხისტყაოსნის“ ენის არაჩვეულებრივ გამომსახველობას და მხატვრულობას. ნიკო მარი მეცნიერულად ასაბუთებს, თუ როგორ ვლინდება რუსთაველის მხატვრულ ენასა და სტილში გენიოსი პოეტის დიდი გემოვნება, ერუდიცია და ხალხის ყოფა-ცხოვრების ღრმა ცოდნა. სწორედ ამიტომ ნ. მარმა ქართული ენის ამოუწურავი საგანძური - „ვეფხისტყაოსანი“ მიიჩნია ქართული კულტურის ღრმა ფესვებად და ქართული ეროვნული ენერჯის წყაროდ.

ეს იყო მისი პასუხი ახალგაზრდობაში დასმულ კითხვაზე: „რა წყაროა იგი უცნაური წყარო, საიდანაც ასეთ მცირე ერს ამდენი სულიერი შეუპოვრობა და დაუღვე-

ლი შემოქმედებითი სიმბნევე მიუღია?“

ურჩეულო სინაზით და სიყვარულით იყო ნიკო მარი გამსჭვალული მშობლიური კულტურის, მშობლიური ენისა და მწერლობისადმი. მიუხედავად ამისა, იგიც ვერ აცდა შეცდომებსა და უცხოური შემოქმედებითი ძალების უნივერსალურ ზეგავლენას სხვა მეზობელი ხალხების კულტურული ცხოვრების განვითარებაზე.

მაგრამ შემდგომში მასალის დაკვირვებულმა შესწავლამ მიიყვანა იგი სწორ და მეცნიერულად ზუსტ დასკვნამდე, და შეაცვლევინა პოზიცია. ნიკო მარს, როგორც ჭეშმარიტად დიდ ადამიანსა და გენიალურად მოაზროვნეს, არასოდეს აშინებდა საკუთარ შეცდომათა აღიარება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდი გაქანების მქონე მეცნიერს შეცდომები, მიღწევებთან შედარებით, უმნიშვნელო ჰქონდა..

ნიკო მარის მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასებისას ერთადერთი სწორი პოზიცია ისტორიული მიდგომა გახლავთ. უნდა აიხსნას ცთომილებათა მიზეზებიც და ამასთან ობიექტურად შეფასდეს მეცნიერის ისეთი ტიპის მიღწევები, რომლებიც უძლებენ დროის გამოცდას.

ასეთი ისტორიული მიდგომის ნიმუშს გვაძლევს სწორედ ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ნიკო მარის ვებერთელა მემკვიდრეობიდან ყოველთვის წინ წამოსწევდა საუკეთესოსა და ფასეულს.

ნიკო მარმა ევროპულ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ლიტერატურის, ფილოსოფიის, ენისა და რელიგიის საკითხების კვლევა. სწორედ ნიკო მარის გამოკვლევებმა მისცა ივ. ჯავახიშვილს საფუძველი, დაეყენებინა ქართული რენესანსის საკითხი. „გამოკვლევების შედეგად ნიკო მარმა ქართული ფილოლოგია იმ სიმაღლეზე ასწია, რა სიმაღლეზეც არის თანამედროვე დასავლეთ ევროპის ფილოლოგიაო“, წერდა იგი, „ნიკო მარი არაჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. მარმა შექმნა თავისი სკოლა, რომელმაც ბევრი შესძინა ჩვენ ქვეყანასო“, - ასე აფასებდა ნიკო მარს დიდი აკაკი შანიძეც.

ნიკო მარი 1934 წლის 20 დეკემბერს გარდაიცვალა რუსეთში, ქალაქ პეტერბურგში.

სიტყვა პროფესიონალზე

ქეთევან ნიკურაძე

კვალნი კითხილი

რამდენიმე სიტყვით მინდა გავიხსენო ჩემი ბავშვობის წლები, რომელმაც დაუვინყარო ლამაზი წუთები დამიტოვა ცხოვრებაში. ჩემს მესხიერებაში დარჩენილი ის თბილი მოგონებები მით უფრო მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა ჩემთვის, როცა ვიცი, რომ იგი ქ-ნ ციალა კალმახელიძის სახელს უკავშირდება.

ჩემს სახლთან ახლოს იყო მამინდელი ნადეჟდა კრუპსკაიას სახ. კომუნად მოწყობილი ერთი პატარა ბიბლიოთეკა. როგორც ყველა ბავშვი, მე და ჩემი ძმა ხშირი სტუმრები ვიყავით ამ ბიბლიოთეკის, აქ შევხვდი და გავიცანი პირველად ქალბატონი ციალა, სადაც ის, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა, ბიბლიოთეკარად მუშაობდა. წიგნის კითხვისადმი სიყვარული სწორედ მან მასწავლა, მისმა თბილმა დამოკიდებულებამ და პიროვნულმა თვისებებმა დიდი როლი ითამაშა ჩემს პროფესიულ არჩევანში. ის ბავშვური სიტბო და სიყვარული ქ-ნ ციალასადმი დღემდე

არ გამქრალა, პირიქით, კიდევ უფრო გაიზარდა, გაორმაგდა. მემამყება ქ-ნ ციალას ბავშვობიდან რომ ვიცნობ, დღეს კი მისი თანამშრომელი და იმ დიდი ოჯახის წევრი ვარ, რომელსაც იგი სათავეში უდგას. დიასხ, სწორედ ასეა. ქ. თბილისის მერიის საბიბლიოთეკო გაერთიანება ერთი დიდი ოჯახია, საბიბლიოთეკო დარგის მუშაკები ამ დიდი ოჯახის წევრები ვართ, ქალბატონი ციალა კი ჩვენი დიდი დამცველი და მზრუნველია.

რამდენიმე ათეული წელია, იგი ღირსეულად ხელმძღვანელობს ქ. თბილისის მერიის საბიბლიოთეკო გაერთიანებას, ზრუნავს ბავშვი და მოსწავლე-ახალგაზრდობის წიგნიერებაზე, მრავალი წლის განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომობდა და დღეს უკვე დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას ახალ თაობებს გადასცემს.

განვლილი წლების გადახედვისას ყოველთვის თვალს ვავლებთ ხოლმე ჩვენი ცხოვრების გზას და ვაფასებთ მას:



რა დავითესია და რამდენი მოგვიმკია, დრო ხშირად მეხსიერებიდან ბევრ რამეს აფერმკრთალებს და შლის, მაგრამ დავიწყების საფრთხე არ ემუქრება იმ ადამიანებს, რომლებმაც საზოგადოებაში ადგილი მხოლოდ კეთილი და სასარგებლო საქმეებით დაიმკვიდრეს. ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება ქალბატონი ციალა კალმახელიძეც, რომელიც სიკეთეს გარშემო ისე აფრქვევს, როგორც მზე თავის სხივებს. მთელი ცხოვრების მანძილზე

უამრავი სიტბო და სიკეთე დაუთესია და დღეს ასმაგად იმკის მას სიყვარულის სახით თვითეული მის გვერდით მყოფი ადამიანისაგან. მართლაც, გასაოცარია ის დიდი გულისხმიერება, რასაც იგი იჩენს თავის კოლეგებისა და ყველა გაჭირვებული ადამიანისადმი. ყველას დახმარების ხელს უწვდის, ვინც კი ამას ითხოვს. ზოგს მატერიალურად ეხმარება, ზოგსაც მორალურად, მუდამ მშვიდი, კორექტული და დიდბუნოვანი, უშურველად გასცემს ყველას მიმართ თავის გულის სიტბოსა და სიყვარულს, ტკბილი სიტყვით თვითეული ადამიანის დაჭრილი გულის განკურნება და დაამება შეუძლია.

უეჭველია, რომ ქალბატონ ციალა კალმახელიძის არსებაში ერთნაირად არის შერწყმული თვინიერისა და ამაყის, მორჩილისა და პროტესტანტის თვისებები, რასაც საბოლოოდ ამაღლებული ადამიანის გრძნობები ფარავს, ამიტომაც არის, რომ მისი ფაქიზი სული და ნატიფი შინაგანი მე, მუდამ შემწყნარებელი და კეთილგანწყობილი სხვისი განცდების მიმართ, ვერ ეგუება უსამართლობასა და მოჩვენებით კეთილმოსურნებს...

ქალბატონ ციალა კალმახელიძის მიმართ კიდევ ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება. მაგრამ ამ პატარა, მოკრძალებული წერილით მინდოდა გამომეხატა ის უზარმაზარი სიტბო, პატივისცემა და სიყვარული, რომელიც მე მაბადია ქალბატონ ციალას მიმართ, ამ წერილით მინდა უდიდესი მადლობა გადაუხადო მას, რადგან მან მიჩვენა გზა, რომლითაც უნდა მევლო, მასწავლა სიკეთისა და ადამიანებს შორის ურთიერთობის ფასი, მისგან ვისწავლე, თუ როგორ უნდა შეაშველო ხელი სხვას და, უბრალოდ, იცხოვრო სიკეთითა და სიყვარულით.

მანანა საბანელიძე

ჩემი საყვარელი ლექტორი

ალექსანდრე ლორია — 80

პროფესორი ალექსანდრე ლორია – საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის “პატრიარქი”, სულხან –საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის “საპატიო პროფესორი”, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრი, პროფესიული ჟურნალის “საქართველოს ბიბლიოთეკის” ერთ-ერთი ფუძემდებელი და 2000 წლიდან მისი უცვლელი მთავარი რედაქტორი.

შეიძლება მისი რეგალიებიდან რაიმე გამომრჩა, მაგრამ მე მინდა ვილაპარაკო მასზე, როგორც პიროვნებაზე, ჩემ საყვარელ ლექტორზე. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემსავით ფიქრობს ის ათასობით სტუდენტი, ვისაც მის ხელში გაუვლია და ბიბლიოთეკადმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი დაუმთავრებია.

ჩვენი ფაკულტეტი მამაკაცი სტუდენტებით არ ყოფილა განებივრებული, მაგრამ მათი უმეტესობა შემდეგ ჩვენი ლექტორი იყო. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ბატონ ალექსანდრე ლორიას ეკავა. ახალგაზრდა, ენერგიული, ერუდირებული, საქმიანი, დისპლინირებული და, უბრალოდ, ნიჭიერი ადამიანი – ასეთია ჩემს წარმოსახვაში ბატონი ალექ-

სანდრე, რომელთანაც მეტად მჭიდრო ურთიერთობა გვაკავშირებდა, როგორც ლექტორთან.

ბატონი ალექსანდრე ბიბლიოთეკამცოდნეობის ურთულეს საგნებს გვიკითხავდა: ბიბლიოთეკათმცოდნეობა (ზოგადი კურსი) და მკითხველებთან მუშაობის მეთოდოლოგია. ასე მგონია, მხოლოდ ბ-ნ ალექსანდრეს შესწავლა უნარი გადმოეცა ამ საგნების წარმოშობის, განვითარებისა და თანამედროვე კონცეფციის საფუძვლები. არა მარტო ღრმა მეცნიერული კვლევები, არამედ მომავლის პერსპექტივების ანალიზი იყო მისი ყოველი ლექციის ქვაკუთხედი.

საინტერესო თხრობა, საზოგადოების განვითარების ფილოსოფიური ხედვა, მათი ურთიერთქმედება კონკრეტული საგნის განვითარების კანონებთან, ასეთად მესახება დღეს ბ-ნ ალექსანდრეს მიერ წაკითხული თითოეული ლექცია. სწორედ ეს არის მეცნიერული აზროვნება, რასაც სტუდენტი ბოლომდე ვერ წვდება და მხოლოდ წლების შემდეგ პრაქტიკული მუშაობის დროს ამოტივტივდება გონებაში იმ დროს ნასწავლი თეორიები და მადლიერების გრძნობით იგონებ თითოეულ ლექციას და ხშირად ფიქრობ, რატომ ბოლომდე არ შეისრუტე ლექტორის მიერ მოცემული მა-

სალა.

განსაკუთრებით საყურადღებო და პროფესიონალურად გამოსადეგი ლექციები გვექონდა ბ-ნ ალექსანდრესთან “მკითხველებთან მუშაობის მეთოდოლოგიაში”, რომელიც იკვლევდა მკითხველებისა და ბიბლიოთეკარის ურთიერთობებს, მათთან მუშაობის მეთოდოლოგიას, მკითხველთა ასაკის, პროფესიის, ინტერესების გათვალისწინებით. ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობა, კითხვადობა, ბრუნვადობა მთლიანად აგებულია ბიბლიოთეკარის, ბიბლიოგრაფის და მკითხველთა ურთიერთ თანამშრომლობაზე. აღნიშნული საგანი და ბ-ნი ალექსანდრეს ლექციები ყველაზე მეტად გამომაძგა პრაქტიკულ საქმიანობაში და დღემდე მაძლევს საშუალებას განვსაზღვრო ჩემს მიერ დაქვემდებარებული ბიბლიოთეკის მუშაობის ეფექტურობა.

პროფესორ ალექსანდრე ლორიას 2014 წლის აგვისტოში 80 წელი უსრულდება. მაგრამ დღესაც, ვისაც აქვს მასთან ურთიერთობა, ასაკს ვერ შეატყობს. ჩვენი ურთიერთობა, როგორც ლექტორის და ყოფილი სტუდენტისა, დღესაც გრძელდება, რითაც უზომოდ ბედნიერი ვარ.

ბ-ნი ალექსანდრე ჩვენი ბიბლიოთეკის ხშირი და

სასურველი სტუმარი ბ-ნ გურამ თაყნიაშვილთან ერთად. ეს მეც და ჩემს თითოეულ თანამშრომელს დიდ ცოდნას და სიამოვნებას გვანიჭებს, რადგან იმ სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზი, რომელსაც ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლები ქეთევან აფაქიძე და ეკატერინე ლაპიაშვილი ატარებენ მკითხველებთან, ბატონ ალექსანდრეს და ბატონ გურამის მონაწილეობის გარეშე არ ჩატარებულა, რადგან ჩვენ მაშინ ვბრუნდებით იმ სასურველ ხანაში, რასაც ლექტორისა და ყოფილი სტუდენტის ურთიერთობა ჰქვია, რომელიც უმშვენიერესი და უბედნიერესი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. აქვე აუცილებელია ავღნიშნო ბოლო წლებში ჩემი და ბ-ნ ალექსანდრეს მეუღლის, სათნო ქალბატონის ინგა ფილაურის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები.

ბატონ ალექსანდრე! მე იმედი მაქვს, რომ ჩემზე ადრე არც ერთ ყოფილ სტუდენტს თქვენთვის ეს იუბილე არ მოულოცია. ვისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, იმ უშრეტო ენერჯის დიდხანს შენარჩუნებას, რომელიც დღეს გაგაჩნიათ, და ჩვენი საქმიანი და პროფესიული ურთიერთობის დიდხანს შენარჩუნებასა და გაგრძელებას.

კორესპონდენციები

გულნარა სალინაძე

შესვედრა მთავარ ბიბლიოთეკაში

ამბროლაურის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ქართველი და ებრაელი ხალხის 26 – საუკუნოვანი მეგობრობის აღსანიშნავი ლიტერატურული საღამო. იყო გახსენება იმისა, თუ როგორ გაუხსნა გულის კარი 26 საუკუნის წინათ საქართველომ ებრაელ ერს და როგორ შეეზარდა ერთმანეთს ორი ერი დიდ ტკივილად და ერთ მისწრაფებად.

**„ნანამებო და ნაიარებო
იმ ორიათასექვსას წლის წინათ,
რომ გაგიხსენი გულის კარები
იმ ძმობის მადლით ვცოცხლობთ
და ვბრწყინავთ...“**

ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველებმა გვანცა გოგასაძემ, თეკლა ქემოკლიძემ, მარიამ ბაკურაძემ ნაიკითხეს ებრაელი ხალხის საქართველოში შემოსვლის მოკლე ისტორია. დამკვიდრებიდან დღემდე ქართველებსა და ებრაელებს საუკუნეების მანძილზე ერთად უცხოვრიათ, ერთი სიხარული და ერთი სატიკვარი ჰქონდათ, განა ებრაელებს ქართველებზე ნაკლებად უყვართ საქართველო? იქაც, ისრაელში წასულნი არ იფიქრებენ ქართულ ენას და თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს, ივრითულთან ერთად, ქართულ „დედა ენას“ ასწავლიან, ასწავლიან და უამბობენ ამ ურთიერთობაზე და სიყვარულზე, ყოველივე ამის დასტურია ის, რომ ტელეგადაცემამ „იმედის გმირად“ გამოაველინა შოთა წვეინაშვილი. რომელიც 40 წლის წინ წავიდა ისრაელში, ის ფუძემდებელია ყოველივე ქართულისა. მას არაფერი არ შეუძენია თავისთვის ამ ხნის მანძილზე. შექმნა ქართული ცეკვის ანსამბლი, შეუკერა მონაწილეებს ფორმები, შეასწავლა ქართული ცეკვა. მთაბოა გაზარდა. ბატონი შოთა ამბობს, რომ არასოდეს არ უგრძვნია ქართველებისაგან, რომ „შენ

ებრაელი ხარ...“ მე მიყვარს საქართველო და ყოველთვის მეყვარება. არსად, დედამიწის არც ერთ კუთხეში და თვით საქართველოშიც არ არსებობს უფრო წმინდა, ამაღლებველი სიყვარული ებრაელსა და ქართველს შორის, როგორც ეს რაჭაშია.

მოვისმინეთ ძალიან საინტერესო ისტორია ონის სინაგოგის აშენებისა და დანგრევისაგან გადარჩენის შესახებ. რომ არა ქართველებთან უაღრესად კარგი მეგობრული დამოკიდებულება, ამ ტაძარს ვერ ააგებდნენ ებრაელები, ისიც ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, ქალაქის ცენტრში. ამ სალოცავის მსგავსი ნაგებობა ებრაელობაში კი არა, მთელს კავშირში არ იყო და 1827 წელს რომ გაისმა მთავრობის ბრძანება სალოცავის დანგრევის შესახებ, როგორ გადაარჩინა 30-მა ახალგაზრდა მეძუძურმა ქალმა სალოცავი განადგურებისაგან. მის სანახავად არა მარტო საქართველოდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც კი მოდიოდნენ.

კულტურის სახლის მსახიობებმა ირინა და მარინა ჩიხრაძეებმა ნაგვიკითხეს ყველა რაჭველისათვის საყვარელი პოეტის დანიელ ხახიაშვილის ლექსები. არ გვეგულება მეორე პოეტი, ასე რომ შეყვარებოდეს რაჭა და რაჭველები და ასე მტკივნეულად განეცადოს მისი დატოვება. სიზმრად და ცხადად საქართველოს ხედავს, რაჭის უმშვენიერეს მინდორ-ველებს. ქართული მიწისნატრვა, რომ მოისურვილოს, ხან ვარდის ფურცლებს, ხან ვაზის ფოთლებს, საქართველოდან გაგზავნილს – ეალერსება და ცრემლით იგონებს წარსულს. ხშირად ამბობს:

**„დავბადებულვარ ქართულ მიწაზე,
გამომყვა მადლი, ბედს არ ვემდური,
მე საქართველო ვინამე ღმერთად,
და სულში მღერის გუთნისდედური“.**

ბატონებმა გელა კობახიძემ და როსტომ გოგოლაძემ გაიხსენა ისრაელში მოგზაურობიდან ეპიზოდები. ანსამბლ „საგალობლის“ ისრაელში ჩასვლისას როგორ შეხვდნენ მათ ქართველი ებრაელები, როგორ მღეროდნენ ერთად „გაუმარჯოს ისრაელს და საქართველოს...“ იმეორებდნენ დ. ხახიაშვილის ლექსის სტრიქონებს: „ნუხელ სიზმარში საქართველო ვნახე, ნუხელი რაჭაში ვიყავი თითქოს“.

მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგმა მაია დგვარელმა გაიხსენა, როგორი სიყვარულით ცხოვრობდნენ ონში ქართველები და ებრაელები, რომ ბევრი თანაკლასელი ჰყავდა ებრაელი, გაიხსენა ურთიერთპატივისცემა, შაბათისათვის მზადება და სხვა.

ლონისძიებაზე მოწვეული გვყავდა ბატონი იაკოვ ხანანაშვილი. ის არის უკანასკნელი ებრაელი, რომელიც შემოგვრჩა ამ ორი ერის ლამაზი მეგობრობის მემკვიდრედ. სწორედ მისმა სიტყვებმა – „ამაზე უკეთეს ქვეყანაში, სად უნდა წავიდეთ“, – შვა იდეა ამ ლონისძიებისა. დიდხანს იცოცხლეთ ბატონო იაკოვ და მოუყევით ქართველი და ებრაელი ხალხის 26 საუკუნოვანი მეგობრობის შესახებ ახალგაზრდებს.

კულტურის ცენტრის დირექტორმა გელა კობახიძემ გადასცა სამახსოვრო საჩუქარი, გაიმართა მცირე ლანჩი.

დამსრე საზოგადოება კმაყოფილი დარჩა ნანახითაც, მოსმენილითაც და გემოვნებით შერჩეული ლიტერატურითაც.

დავით სოლმნიშვილი

კიდევ ერთი საღამო „კათარზისში“

„რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა, მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება“.

საერთაშორისო ასოციაციის „კათარზისის“ სათნოების სახლის მესვეურებმა კიდევ ერთი უჩვეულო საღამო იხილეს, სახელწოდებით „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“. შეხვედრას ლაიტმოტივად გასდევდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოში დაღუპული მეომრების სსოვნა; საგანგებოდ აღნიშნეს **მამა-შვილის გაღრი და ვახტანგ გზირიშვილების საქმენი საგმირონი**. აუღელვებლად ვერ მოისმენდით ქართველი ვაჟკაცების სულის ამოძახილს: „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, ძილშიაც ამას ვდუღუნებ“. ვინ იცის, იქნებ ქართული პოეზიის არწივმა ვაჟამ ჩაჰბერა სული, ქართულმა სწორუპოვარმა გენმა იმძღავერა მათში და ქართული მიწის დამცველებად მოგვივლინა ეს ორი ვაჟკაციც, რომელიც დედა სამშობლოს შეენირა.

საღამო გახსნა აკადემიკოსმა, შრომის ღირსების ორდენის კავალერმა, მხატვარ-მოქანდაკემ ნიკო მუმლაძემ.

„ჩვენ ყველანი აღფრთოვანებითა და დიდი ტკივილით მოვისმენთ დღეს ამ დარბაზში შესანიშნავი ოჯახის ამბავს და შევიგრძნობთ უმთავრესს – პატრიოტულ გრძნობას“.

დარბაზში ჟრუანტელის მომგვრელი მუსიკა გაისმა, რომელსაც ასრულებდა „კათარზისის“ ბენდი ოთარ გელაძის ხელმძღვანელობით. მუსიკის ფონზე ქალბატონ ნარგიზ ჩაჩუამ სულისაღმძვრელად წაიკითხა ლექსი „საქართველო“: მთელი დარბაზი დაიძაბა, აქა-იქ პირველი ცრემლიც დაგორდა თვალთაგან. საღამოც იწყება. ქალბატონმა ლილი გორდელაძემ

„კათარზისის“ ბიბლიოთეკის ლიტერატურულ-მუსიკალური სალონის „საპოვნელას“ ხელმძღვანელმა ჩვეული სიმშვიდითა და კეთილზმოვანებით მიმართა დარბაზს უნმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ეპისტოლეთი: „ჩვენ, ქართველებმა, აფხაზეთმა და ოსებმა, ერთად გადავიტანეთ ურთიერთდაპირისპირების საშინელება. ერთად გავხდით გარე ძალების მიერ პროვოცირებული ძმათამკვლელი ომის მსხვერპლნი. ამიტომაცაა, რომ ჩვენ შორის გამარჯვებული არავინაა, მაგრამ ამ ომებმა გმირები დაგვიტოვეს, გმირები, რომელთა სულელებისთვის, ადრე თუ გვიან, ღვთის შენევნით ერთად ვილოცებთ ოსებიც, აფხაზებიც და ქართველებიც“.

ეპისტოლეს კითხვა ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, რომ დარბაზს ნაზი აკორდები შემოეპარა გიტარის თანხლებით. ისევ და ისევ პატრიარქის საგალობლიდან. „უფალო შეგვიწყალებ“ , რომელსაც უდიდესი მოკრძალებითა და ამაღელვებლად ასრულებდა ქა-ნი მაცყალა ბერძენიშვილი.


საღამოს კვლავ ქა-ნი ლილი აგრძელებს და მსმენელს უყვება მამა-შვილ გზირიშვილების საბრძოლო ეპოპეას.

ძნელია გადმოსცე ქ-ნ ლილის ემოციური, მაგრამ დიდი ლირიულობით მოწოდებული საღამო.

ვისმენ და ვფიქრობ, თან პარალელს ვავლებ ერთი მსახიობის თეატრთან. იქნებ ვცდები, მაგრამ ეს თითქმის ასეა. რა კარგია, როცა „ასეთი პროფესიის ადამიანი“ (ეს ქალბატონ ლილის სიტყვებია)

ასე ლაღად ფლობს და გრძნობს, სცენიურ კულტურას, ქართულ მეტყველებას, სწორედ ამიტომაც იყო, რომ „კათარზისის“ არცერთი ბენეფიციარი სააქტო დარბაზს არ მოცილებია.

საღამო ცოცხლდება აფხაზეთისთვის შეწირული



ბადრი გზირიშვილის „საბრძოლო ფურცლებით“. აქვე გაისმის აფხაზი ქალბატონის — ქართველების რძლის — ზაირა აშბას — აფხაზეთის უნივერსიტეტის ლექტორის მიმართვა აფხაზურ და ქართულ ენაზე, რაც შემდეგ მან ლექსით დააგვირგვინა. მის ხმაში ისმოდა როგორც დედის ქვითინი, ასევე მეგობრობისა და ურთიერთბატიების ინტონაციები. აფხაზეთს შეწირული ვაჟკაცისათვის „კათარზისის“ მამაკაცთა გუნდი ასრულებს „აფხაზურ ნანას“.

სალამო ისევ გრძელდება. ქალბატონ ლილიმ მს-



ნარმოდგინეთ თავად, რაც ტრიალებდა იმ დროს დარბაზში. მამაკაცებმაც ვერ შეიკავეს ცრემლები. გაოგნებული მაყურებელი კი ისევ ქალბატონმა ლილიმ გამოიყვანა მდგომარეობიდან. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილეებს დაურიგდათ „ახალი ალთქმა“ და სპეციალურად გამოშვებული ლიტერატურული ალმანახი „კათარზისი“, რომელსაც ბიბლიოთეკის სალონი „საპოვნელა“ გამოსცემს. ვახტანგ გზირიშვილის სახელზე აგებული ეკლესიის მამებს (ვ. გზირიშვილის დედამ ქ-მა მარინამ სიხმრად მოვლენილი შვილისაგან მიიღო თხოვნა, რომ ეკლესია აუშენებინა) ქ-ნ ლილი გორდელაძის, უუყუნა ნუყუნაძის, ციალა კვიციანიშვილისა და ნიკო მუმლაძისაგან შემონიშნული „ახალი ალთქმა“ და ხატები გადასცეს, რომლებიც ზემოხსენებულ ეკლესიაში დაიდებენ ბინას. სალამოს დასასრულს დიდი მადლობა გადაიხადა თავდაცვის სამინისტროს ოცდაათმა ჯარისკაცმა — გენშტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ და მისმა მოადგილემ, ძნელაძემ, აგრეთვე 42-ე ბატალიონის უფროსმა ჯინჭარაძემ. სალამოზე ასევე სიტყვით გამოვიდა „კათარზისის“ პრეზიდენტის მოადგილე ქ-ნ გულიკო რომანიშვილი და ვახტანგ გზირიშვილის დედა ქ-ნი მარინა, რომლებმაც აღნიშნეს: ჩვენთან „კათარზისში“ ბევრი სალამო ჩატარებულა, მაგრამ ასეთი სიმალლის არა. ქ-ნ მარინამ ცრემლმორეულმა აღნიშნა: ჩემი შვილისთვის ბევრს მიუძღვნიათ სალამო, მაგრამ

მენელსა და მაყურებელს აუნყა, რომ დღეს ჩვენთან სტუმრადაა ისრაელის მოქალაქე ნარიმან ჯარიანიშვილი, რომელმაც სპეციალურად ამ დღისთვის დაწერა ლექსი და მუსიკა, რომელიც ქართულ ჯარს მიეძღვნა. სიმღერა „საქართველოს შემოვევლები“ მამაკაცთა გუნდმა ოვაციის თანხლებით დაასრულა.

კვლავ გრძელდება სალამო. დარბაზში ფოთოლთა შრიალივით გაისმა ვახტანგ გორგასლის სახელობის ორდენის კავალერის კაპრალ ვახტანგ გზირიშვილის საყვარელი სიმღერა „ბინდისფერია სოფელი“, რომლის ფონზე ქ-ნ ლილი კითხულობს ლექსს „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“. ეს იყო, შეიძლება ითქვას, სალამოს ბოლო აკორდი, მართლაც რომ ბევრი წასულა ომში და ყველა არ დაბრუნებულა. არ შეიძლება აქ არ ავლნიშნო ქალბატონ ლილის დეკლამაციური ხელოვნებით ნარმოთქმული სიტყვები: „არ დაიჯერო“, რომელიც სამჯერ გაიმეორა და სამჯერვე სხვადასხვა ინტონაციით. იგი ასე დაემშვიდობა უწვერულვამო ოცი წლის ყმანვილს და კოსმიურ სივრცეს შეავედრა მისი სული სასუფეველში.



ამგვარი ვერა. დიდი მადლობა ასეთი სიყვარულისთვის.

სალამო „კათარზისის“ კაფე „ჯულიაში“ დასრულდა, სადაც ქართველმა ჯარისკაცებმა თითქმის 200-დე ბენეფიციარს გაუმასპინძლდა. სალამო იმავე დღესვე თავდაცვის პრესამსახურმა და ტელევიზიებმა გააშუქეს.

რეცენზია

ალექსანდრე ლორია

სამაგალითო პიროვნების უტყუარი სახე

საზოგადოების მორალურ-ზნეობრივ განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს ღვაწლმოსილ პირთა ცხოვრებისეული მაგალითი. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა, მათი საქმიანობის გამომწვეურება და პირუთენელი შეფასება. არა აქვს მნიშვნელობა, ეს პიროვნება წარსულის თუ თანამედროვე მოქალაქეა, მაგრამ, ცხადია, გაცილებით საგულისხმოა იმათ გავეცნოთ, რომლებმაც წარსულში შექმნეს მომავალი, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. მაგრამ მათ შესახებ ძნელია წერა, რამდენადაც არავითარი საშუალება არაა არც პირადი კონტაქტების, არც გასაუბრების, არც მხილველთა მოსმენისა. ყველაფერი დამოკიდებულია საარქივო მასალის მოძიებასა და ანალიზზე, მოგონებების მწირე მასალის გაცნობაზე. ამას გვინდა გავუსვავთ ხაზი, როდესაც რომელიმე ღვაწლმოსილი ადამიანის შესახებ არსებულ ნარკვევს ვეხებით. ამჟამად მხედველობაში გვაქვს ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის რამაზ სურმანიძის ღვაწლი, რომელსაც არაერთი ღირსშესანიშნავი პიროვნების შესახებ შეუქმნია მონოგრაფია. გამორჩეულია მის მიერ გამოქვეყნებული ნიგნი, რომელიც ივანე მესხის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს (სურმანიძე რამაზ. ივანე მესხი: [ქალაქის მდივანი]. - თბ., 2013. - 171 გვ. ილუსტრაციებით).

ივანე მესხი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის პირველ ოცეულში მოღვაწეობდა. ის მუდამ ურყევად იდგა სახალხო განმანათლებლებელი მოძრაობის პოზიციებზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე უძღვებოდა. ურთიერთობა ჰქონდა ისეთ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, დავით კლდიაშვილი, გრიგოლ ვოლსკი, ალექსანდრე ჭიჭინაძე, ლუკა ასათიანი, იოსებ რატილი, ისიდორე რამიშვილი, მიხეილ ბეთანელი და სხვანი. სხვებზე მონოგრაფიაში სხვადასხვა მოცულობით ყველა მათ შესახებ ვხვდებით თხრობას.

ივ. მესხი ნიგნის განმავლობაში მუშაობდა ბათუმის საქალაქო მმართველობით ორგანოში, სადაც მას ყველაზე მძიმე და საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა, როგორც მაშინ ქალაქის მდივანი იყო.

არაერთი უმნიშვნელოვანესი საქმე გაუკეთებია მას აქ მსახურობის პერიოდში. ის ბათუმის საქალაქო მმართველობის დაარსებიდანვე (1888 წ.) ქალაქის მდივანად

დაინიშნა და ათეული წლებით იღვანა ამ თანამდებობაზე. ყველა მიმართულებით მუხლჩაუხრელად მუშაობდა, იქნებოდა ეს კომუნალური, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სოციალური სამსახური. ბევრი რამის წამომწყები და ინიციატორი იყო, არ იცოდა დაღლა და დასვენება. როგორც თანამოქალაქენი აღნიშნავდნენ, მასთან შეხვედრა და საქმის გარჩევა ძალიან ადვილი იყო. გამოირჩეოდა უსაზღვრო ჰუმანიზმით, მაღალი კულტურით, საქმის ცოდნითა და ერუდიციით.


დასახელებული ნიგნი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ეხება გვარის წარმომავლობას. ამდენად ეს ნიგნი, ჩვეულებრივ, პიროვნების ცხოვრების ასახვას კი არ წარმოადგენს, არამედ ღრმად მეცნიერულ გამოკვლევებს შეიცავს, არკვევს მესხთა გვარიშვილთა ადგილს საქართველოს ისტორიაში. გარდა ამისა, ნაშრომში ვეცნობით მესხთა შესახებ ძველ ხელნაწერებში მოცემულ მასალებს; მეორე ნაწილი ძირითადად ეხება ივანე მესხის ოჯახის გენეოლოგიას, მესხის გვარის ცნობილ წარმომადგენლებს. რაც შეეხება თვით ივანე მესხის მოღვაწეობის დანვრილებით აღწერას, ეს უკვე ნიგნის მესამე ნაწილშია მოცემული. სწორედ ამ ნაწილშია გადმოცემული ივანე მესხის ურთიერთობა გამოჩენილ მოღვაწეებთანაც.

ნიგნში გაშუქებულია საკითხები ივ. მესხის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესახებ; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დოკუმენტების ანალიზი, რაც ივ. მესხის მუშაობის დროს არის შექმნილი. ამ დოკუმენტებმა შემოგვინახა ბათუმის ადგილობრივი მმართველობის ხმოსანთა სიები, რასაც დიდი ისტორიული ღირებულება აქვს.

ნიგნის ავტორის უაღრესად მნიშვნელოვან ღვაწლად უნდა მივჩნოთ ის, რომ მან მოგვცა ივანე მესხის შრომებისა და ნაწარმოებების ბიბლიოგრაფია.

ნიგნის რედაქტორია ოთარ გოგოლიშვილი. გამოცემულია, პოლიგრაფიული თვალსაზრისით, სანიმუშოდ, დართული აქვს მრავალი ფოტო მასალა, რომელშიც ვხვდებით როგორც პიროვნებების გამოსახულებებს, ისე ძველი ბათუმის შენობებისა და ქუჩების სილუეტებს.

აღნიშნული ნიგნი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო ფენებისათვის. იგი უთუოდ დაამშვენებს ყველა ბიბლიოთეკის თაროს. ამასთან, ის მეტად აქტუალურია, როცა ამჟამად ასე პრობლემატურია ჩვენში ადგილობრივი მმართველობასთან დაკავშირებული საკითხები.



ბურამ თაყნიაშვილი

„მე სახელად ლექსის ქალი მქვია“

ჭეშმარიტად, ამ სტრიქონების ავტორი, პოეტი გიული შალიკაშვილი ნამდვილად ლექსის ქალია; ლექსია მისი სულის საზრდო, საფიქრალი, სიამის მომგვრელი, მეგობარი, გამამხნეველი, დამამშვიდებელი და ამაფორიაქებელიც. აკი თვითონვე წერს, მიმართავს რა მუზას:

„ამადევნე, აქ ჭადრების შრიალს,
ვინ ჩამინა გვირილები თმაში;
მე სახელად ლექსის ქალი მქვია
და დავქირივარ ზეციური რაშით“.

კრებულიდან „ზეცის ბზარები“ – თბ; 2002



პოეტი სულის სიმხნევეთა და ფხიზელი გონებით ხედება მუზას, რომელიც მოულოდნელად ეწვევა; ეწვევა დღისით, ღამით, მაშინ, როდესაც მუზების ღმერთი იწებებს; პოეტი ამ დროს ცდილობს, არ დაკარგოს მოვარდნილი სიტყვების რიგი, გადააქვს ისინი ქალაღზე და იბადება ლექსი; აზრს სიცხადე ეძლევა; ლექსი აღსაქმელად ადვილია; აზრი და სათქმელი გულწრფელ ბნკარებში ისეთი სილალით მოედინება, ვითარცა წყარო რამ ანკარა, მთის ძირიდან ლაღად მომდინარე; მუზას პოეტი ლექსების ღმერთს უწოდებს და კრძალვით უხმობს:

„შენ ახლა სად ხარ, ნეტავი სად ხარ,
ვის უბიბინებ ლექსების მდელს,
სად უსმენ ავი ღრუბლების ხარხარს
ჩემო იმედო, და ჩემო მხსნელო“.

კრებულიდან „ცისფერი ტივი“, თბ; 1996.

პოეტი მუზისაგან ნაკარნახევ სიტყვებს ქარვისფერ მიძივებად ასხამს, აზრიანად, ლოგიკურად, მკაცრი თანმიმდევრობით, რითმათა ბუნებრივი მდინარებით; ლექსების რიტმი ბუნებრივია, მწყობრი და მელოდიური, როგორც სიმღერა გულში ჩამწვდომი და სასიამოვნოდ მოსასმენი – ლექსების უმრავლესობა ზეშთაგონების უბადლო ნიმუშია; მათში არაფერია ნაძალადევი, ხელოვნური, რითმისათვის მოხმობილი. ჟანრი ტევადია, სიღრმისეული, პოეზიის სხივით შემოსილი, ამაღლებული. ლექსი მსუბუქია აღსაქმელად, სტრიქონი სხივნათელია, ვითარცა თეთრი ღრუბლის ფრთილა – კლდის პირად მდგარი, ქარისაგან აწეული და ღრუბლების დასს განრიდებული;

პოეტი ლექსებს წერს უპირატესად დილით, ალიონზე, მაშინ, როდესაც პირველ სხივს ეფერება, უბეში იმწყვდევს, რათა შემდეგ სულის სიღრმეში შეიტანოს ნათელი, რომელიც ასე უხვად შეიმჩნევა მის ყოველ სტრიქონში; პოეტი სიტყვებს არ ეძებს, ისინი თავისით, ბუნებრივი დინებით ქმნიან ლექსების ქარვას:

„სიტყვები, სიტყვები, სიტყვები,
ჰა, მათი ლაშქარიც მოვიდა
იდუმალ ციურ ხმებს მიყვები,
მუზასთან ჩურჩული მომინდა“.

კრებულიდან „ზეცის ბზარები“.

პოეტი არ არის მყუდრო სავანის ამაოდ მაძიებელი.


იგი დღენიადაგ მამულზე საფიქრალით ცხოვრობს, განიცდის, ღელავს; ჩუმი ლოცვით ავედრებს უფალს ერის სულიერ მთლიანობას, რომლის გარეშე შეუძლებელია ენისა და მამულის პატრონობა:

„და შევკრავ სიტყვებს, ჩამოქეცი სანთლად,
ხანაც ხმალივით მოვიქნევ მძიმედ,
ჩემო ქვეყანავ, როგორც გულს მართალს
შენთვის ავასხამ ლექსების მიძივებს“.

კრებულიდან „სავალობელი“ – თბ; 2004.

როგორც შევნიშნეთ, მისი ლექსების უმრავლესობა იბადება მაშინ, როდესაც პირველი სხივი მოადგება მის სარკმელს, როდესაც ცისკრის ნათება გონებას უცისკროვნებს და მოზღვავეული სიტყვები ერთბაშად რიტმში გადადის და ღრმად აზრიანი სტრიქონები პოულობენ ადგილს.

გიული შალიკაშვილის პოეტური ლექსიკა სადაა და ადვილად აღსაქმელი, ნამდვილი ქართული ჩამოქნილი, რასაც მკითხველი მძაფრი განცდების გარეშე გადაყავს აბსტრაქტული სივრციდან რეალობაში. ცამეტი პოეტური კრებულის ავტორი მაღალი პოეტური ოსტატობით



ახერხებს დროთა უწყვეტი კავშირის წარმოჩენას: ყოფიერების ამსახველი სურათების ხატვით პოეტი ცდილობს ნაცრისფერი სინამდვილის წარმოდგენას მხატვრული ზომიერების ჩარჩოებში. იგი შინაგანი ბრძოლით, მსურვალე ლოცვით ინარჩუნებს სულიერ წონასწარობას; გარე სამყაროსაგან არც თუ იშვიათად განრიდებულმა კარგად უწყის სულიერი სიმშვიდის ფასი, რაც ესოდენ აუცილებელია შემოქმედისათვის. მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი სულის სიმშვიდე და სიფაქიზე, თავმდაბლობისა და თავმოყვარეობის საოცარი მთლიანობა ღირსებას მატებს მის მეობას. პოეტი ეკლესიის ნიაღში პოულობს სულიერი ცხოვრების დაუშრეტელ წყაროს, გალობს ხმადაბლა, გუნდში მისი ხმა მდაბალი და მელოდიურია, მაგრამ ღრმად განცდისეული. თუ მკითხველი მის ყოველ კრებულს დაკვირვებული თვალით წაკითხავს და გულით აღიქვამს, ადვილად შეამჩნევს, რომ გ. შალიკაშვილის პოეზია მაღალი ზნეობრივი ღირებულებების დამკვიდრებას უწყობს ხელს. პოეტი პირველსავე კრებულში ეხმანება ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებს, განიცდის; გულით ხარობს ყოველი მშვიდობიანი დღის ჩამოდგომისას:

სწორედ რწმენა აძლევს პოეტს სულის დაუოკებელი წვრთნის ძალას, იმედს, ასე გულწრფელად, ნამდვილი პოეტური ძალით რომ არის გამჟღავნებული მის ბოლო, მეცამეტე კრებულში:

„ზეიმობდეს ჩემი ქვეყანა,
ლოცვისას სანთლად ვინვი,
რწმენა, მამული, სხვა რა მაქვს,
სხვაა აქ მადლი მინის“.

კრებულიდან „ცათა სივრცენი“; 2013.

მამულზე ფიქრით დასევდიანებული გულით შესთხოვს პოეტი წმინდა მარიამ ღვთისმშობელს „გადაახუროს კალთა“ მის ნიღბვედრ ქვეყანას. პოეტისათვის მიუღებელია ლექსის წერა შთაგონების გარეშე. შთაგონებას დემონი ებრძვის, მახეს უგებს. პოეტი ეშმას ლოცვით სდევნის:

„აღვავლინე გულში მოკლე ლოცვა,
ვით გააღწევს დემონი ღვთის ნისლებს“.



„დიდი ხანია ასეთი დილა
ალარ მინახავს საქართველოში;
სამადლობელად ღმერთთან მივდივარ
იმ შინდისფერი მამულის დროშით“.

კრებულიდან „ცისფერი ტივი“, 1996


პოეტს ვერ წარმოუდგენია ჟამი ულექსოდ, ლექსმა ასწავლა მას ცხოვრების ფასი, შესძინა მის ყოფას სიხალისე, რითაც იგი ასეთი ამაყია და შემართული. პოეტი ქალი ნაბიჯ-ნაბიჯ, კრძალვით, ჩუმი, მაგრამ გულმსურვალე ლოცვითა და ვედრებით უახლოვდება ჭეშმარიტ რწმენას:

„მშფოთვარე სულის სარკმელში ხარბად
იფრქვევა ციურ ვარდთა სურნელი;
შენი მცხეთის და სიონის კართან
შენი დიდების ვდგავარ მსურველი“.

კრებულიდან: „საგალობელი“, 2004.

ანგელოზთა ჯარი სდევნის დემონის სულს, მორწმუნე ადვილად სძლევს ბოროტ ძალებს და ბოლოს „მორწმუნეს თვით ღმერთი იყვანს ხელში“. პოეტი სიტყვით, ლექსის ძალით ებრძვის ყოფიერების ბოროტ ძალებს, რათა ადამიანის გონებას არ დაეუფლოს ბოროტი ძალები. მხატვრული ზომიერებით შექმნილ მის ყოველ ლექსში იგრძნობა ცოდვისაგან დაკარგული მადლის დაბრუნების მცდელობა. მისი ლექსების უმრავლესობა მკითხველის გრძნობებს აფაქიზებს, გონებას ახალისებს და შინაგან შუქს აძლიერებს.

გიული შალიკაშვილის პოეტურ კრებულებს ვერ გადაიკითხავთ თვალის ერთი გადავლებით; მისი პირველივე კრებული გაგრძნობინებს, რომ საქმე გვაქვს ჭეშმარიტ მგოსანთან, რომლის პოეზია არც თუ ისეთი მცირე შენაკადია მდიდარი ქართული პოეზიის მდინარეებისა; ამასთან, ეს შენაკადი მორაკრაკე რუს დარია, აუმღვრეველი, დაბალხმინი, სიყვარულითა და სიცოცხლით გახალისებული.




ინფორმაცია

„ჩვენი ღირსებანი“ ახალი ტომები

ჟურნალის მკითხველებმა ჩვენი ინფორმაციის შედეგად უკვე იციან, რომ გამოცემლობა „ემ-პი-ჯიმ“ დაიწყო მრავალტომიანი გამოცემის – „ჩვენი ღირსებანი“ ბეჭდვა. ტომეულებში თითქმის სრულყოფილადაა ასახული სხვადასხვა თემები, რომლებიც საქართველოს ბუნებასა და კულტურას მოიცავს. ასახული მასალა ენციკლოპედიური ხასიათისაა და მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს, წარმოდგენილია მდიდარი საილუსტრაციო მასალა, რუკები და სტატისტიკური ცხრილები. გამოცემები შესრულებულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე.

გამომცემლობა „ემ-პი-ჯიმ“, შექმნა რა გაერთიანება „ნიგნი+ერთიან“, განაგრძობს ტომეულების გამოქვეყნებას. ახლახან გამოიცა მე-5 და მე-6 ტომები.

„ჩვენი ღირსებანი“ მე-5 ნიგნი ეხება საქართველოს ბუნებრივ რესურსებს მთელი მოცულობით. დაყოფილია ის თემატურ თავებად და პარაგრაფებად: საქართველოს გეოლოგიური აგებულება; ნამარხი ფლორა და ფაუნა; მინერალური სამყარო; მინისქვეშა წყლები და ტალახის ვულკანები; ჰიდრომინერალური რესურსები; ბუნებრივი რესურსები და მათი განაწილება. მე-6 ტომი, რომელიც ეძღვნება ქართულ მრავალმხრივ ფოლკლორს, მის წარმოქმნასა და განვითარებას, ასევე დაყოფილი თავებად: ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნება; საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი; ქართული ხალხური მუსიკა; ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი; ქართული ხალხური სიტყვიერება; ქართული ხალხური ქორეოგრაფია; „როკვით განფენილი ქართული გენი“; ქართული ცეკვის სადიდებელი; ქართული ცეკვის ძირითადი ნიმუშები; ხალხური თამაშობანი ძველ საქართველოში. ყოველი თავი დაყოფილია პარაგრაფებით, რომლებიც დიფერენცირებულად ამომწურავად იხილავს საკითხს. ნიგნს წინ უძღვის ბაია ასიეშვილის წინათქმა. ამ ტომის ბოლოში მოცემულია აუდიო და ვიდეო დანართები. გამოცემლობა თავის მკითხველებს სთავაზობს სპეციალურ დისკს, რომელიც შეიძლება მათ გამოიყენონ შესაბამისად.



მიგვაჩნია, რომ „ჩვენი ღირსებანი“ ეს ისეთი მრავალტომეული გამოცემაა, რომელიც აუცილებლად უნდა აქონდეს ყველა საჯარო და სამეცნიერო ბიბლიოთეკას. სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის, შეიძლება ითქვას, ის ნამდვილ ქრესტომატიულ ღირებულებას იძენს.

კვირფასი გამოცემა ტექნიკური ჩრდილებით

3 წელზე მეტია, ბიბლიოთეკები და მკითხველთა დიდი ნაწილი შესაძენად დაეძებს ცნობილი მეცნიერის, მრავალმხრივი მკვლევარის, უალრესად ნაყოფიერი მოღვაწის პროფ. როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომს „საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია“, რომელიც 2011 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეგიდით გამოცემლობა „უნივერსალმა“ გამოაქვეყნა თბილისში. რედაქტორებია ზურაბ პაპასკირი და თედო დუნდუა, შეიცავს 470 დიდი ფორმატის გვერდს. ნიგნს წინ უძღვის წინასიტყვაობა, აქვს დანართები და საკმაოდ მოცულობითი ლიტერატურის ნუსხა.

ნაშრომის თვალის ერთი გადახედვითაც ჩანს, რაოდენ შრომატევადი და აქტუალურია აღნიშნული გამოცემა. ყოველი გვარის შესახებ მოცემულია მისი წარმოშობის ისტორია, პირველწყაროები, გავრცელების არეალი, წინაპართა წარმომავლობა და სხვა ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები, რომელთა მოპოვება, ცხადია, უალრესად დიდ, შეიძლება ითქვას, კოლოსალურ შრომასა და ჯაფას მოითხოვს –

საჭიროა არგუმენტების შეჯერება, შედარება სხვა წყაროებთან, რაც ზოგ შემთხვევაში მოითხოვს პოლემიკას, დასაბუთებას, საკუთარი აზრის გამოთქმას, ვერსიების განხილვას, ჰიპოთეზებს, დამარწმუნებლობას. ყოველივე ეს საჭიროებს მეცნიერულ ალღოსა და ერუდიციას, ინტუიციასა და პროფესიონალიზმს.


ამ თვალსაზრისით, გვაოცებს რა თოფჩიშვილის მიერ განეული კვლევა-ძიებითი მუშაობა, მასალა დიდ ინტერესს იწვევს, იკითხება ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, რაც ტექსტს მისანვდომს ხდის მკითხველთა ფართო მასისათვისაც. ყოველივე ეს მას პოპულარობას სძენს.

სამწუხაროდ, იგი, მართალია, გამოცემულია პოლიგრაფიულად საკმაოდ შთამბეჭდავად, ამგვარი ნაშრომისათვის გარეგნულად შესაფერისად, მაგრამ ტექნიკურ-სტრუქტურული თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი ნაკლი ახლავს. უპირველეს ყოვლისა, რაკი ის ძირითადად გვარების ანბანური რიგითაა განწყობილი, მოითხოვდა ყველა ასო-ნიშანი გამოყოფილიყო ცალკეულად და არ გადაეხატა ისინი იმნაირად,



მკითხველი ვერ ხედავდეს, სად იწყება ესა თუ ის ასო-ნიშანი და სად თავდება. მით უმეტეს გართულებულია ეს იმითაც, რომ ლექსემები არ არის გამოყოფილი შესამჩნევად განსხვავებული შრიფტით. თუ გნებავთ ეძებოთ რომელიმე გვარი, მოგიწევთ ფურცლოთ წიგნი თითქმის მთლიანად. ამ საქმის გასაადვილებლად წიგნს არა აქვს კოლონტიტული, რაც აუცილებელია ამგვარი წყობის ტექსტისათვის. არ აქვს წიგნს დართული პირთა ანბანური საძიებელი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, გაურთულებლად გვეპოვა ესა თუ ის გვარი არა მარტო ლექსემების მიხედვით, არამედ ტექსტში მოხსენიების შემთხვევაშიც. მიუხედავად ტექსტის თემატურად მცირედაყოფისა, ალბათ, სარჩევიც არ იქნებოდა ზედმეტი.

რაც შეეხება შრიფტს, ვფიქრობთ, არც ის არის შესაფერისი ამგვარი გამოცემისათვის,



მით უმეტეს, სტრიქონტორისი მცირე ინტერვალის დროს, წიგნი ვერ „სუნთქავს“ და წასაკითხად საკმაოდ სამძიმოა.

საერთოდ, პოლიგრაფიულმა წარმოებამ მეტი გულისყური უნდა გამოიჩინოს საავტორო ტექსტების დამუშავებისას. საგამომცემლო სტანდარტები დიდი ხანია მეცნიერულად შესწავლილია, რაც მკითხველის (მომხმარებლის) მოთხოვნებიდან, ინტერესებსა და ფსიქოლოგიურ ნორმებს ითვალისწინებს. გაუგებარია, რატომ ხდება საჭირო, მიღებული და აპრობირებული სტანდარტების დარღვევა.


მიუხედავად ამისა, რ. თოფჩიშვილის წიგნი „საქართველოს თავდაზნაურთა გვარების ისტორია“ უაღრესად საყურადღებო გამოცემაა, რომელიც უეჭველად დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ბიბლიოთეკების მკითხველებს.

მეცნიერული ღარბის ორიენტირი

პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი, როგორც ცნობილია, უაღრესად პროდუქტიული მეცნიერია. მის პიროვნულ ღირსებებსა და შემოქმედებით დიპაზონზე ჩვენ არაერთგზის ვგისაუბრია. მისი მეცნიერული პროდუქცია ყოველთვის გამოიჩინევა მეცნიერული სიღრმით, საკითხის აქტუალობითა და წერის მანერით. გასულ წელს მისი ავტორობით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოიცა სახელმძღვანელო „ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი“, რომელიც გამომცემლობა „უნივერსალმა“ დასტამბა (2013). წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

„ეთნოგრაფია არის ადამიანის შესახებ არსებული ცოდნის თავმოყრის ადგილი; ეს არის უზარმაზარი შენობის დასავიწროვებელი თალი, რომელიც სხვა მეცნიერებებს, ვითარცა სვეტებს, ემყარება“ (ადოლფ ბასტიანი). ეს ხატოვანი გამოთქმა ნათლად გვიჩვენებს, მეცნიერული თვალსაზრისით რამდენად მნიშვნელოვანია ეთნოლოგია.

გარდა იმისა, რომ სახელმძღვანელო საფუძვლიანად აშუქებს საკითხს მეცნიერულად, მას სხვა კონკრეტული დანიშნულებაც აქვს. როგორც ანოტაციაშია ნათქვამი,



„ის სტუდენტებს გზას გაუკვალავს ეთნოლოგიის სამყაროში, მისცემს ცოდნას ეთნოლოგიის, ფუნქციების, მეთოდებისა და თანამედროვე საზოგადოებაში მისი მნიშვნელობის შესახებ“. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დღეს ჩვენი დამწყები სტუდენტები კარგად არ არიან გაცნობიერებული იმ დარგებში, რომელთა შესწავლა მათ უწევთ, ამგვარი სახელმძღვანელოები კი მათ ორიენტაციას აძლევენ და უადვილებენ დარგის შერჩევასა და შესწავლას.

ეთნოსოციოლოგიური მეცნიერება ხელს უწყობს პატრიოტულ აღზრდას და, რაც მთავარია, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რაც ამჟამად აქტუალური პრობლემაა საქართველოში.

წიგნს წინ უძღვის მოკლე შესავალი, რასაც მოსდევს მისი სტრუქტურული ნაწილები. შედგება იგი 3 ნაწილისა-

გან: I. ეთნოლოგიის ზოგადი პრობლემები; II. ეთნოლოგია და სხვა მეცნიერებები; მსოფლიოს ხალხები. ყოველი თავი დაყოფილია პარაგრაფებად. წიგნი მთავრდება ბოლოთქმით.

რედაქტორებია: ელდერ ნადირაძე, ინგა ლუტიძე, ნოდარ შოშიტაშვილი; მოიცავს 392 გვერდს. ეძღვნება თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნას.




უკველესი ქართული მხარის ეთნიკური ისტორიიდან

როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთი თავისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ერთ-ერთი საყურადღებო მხარეა. მისი მდიდარი ისტორია და თანამედროვე ვითარება ქართველი ხალხის დიდ ინტერესს იწვევს. ამდენად მნიშვნელოვანია პროფ. როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომის „სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური ისტორიიდან“ გამოცემა, რომელიც 2013 წელს განხორციელდა. ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ეთნოგრაფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მხარდაჭერით. რედაქტორია გიორგი შუჟუნაშვილი, შედგება 154 გვერდისაგან, დართული აქვს რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ნაშრომს წინ უძღვის მოკლე შესავალი. იყოფა 2 ნაწილად:

პირველი – „ეთნიკური და რელიგიური ვითარება გვიანი შუა საუკუნეებისა და მე-19 საუკუნის სამცხეში“; მეორე – „სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა? (ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XIX საუკუნეებში“.

ნაშრომში უზვადაა გამოყენებული როგორც სამეცნიერო გამოცემები, ისე საარქივო მასალა. წყაროთა გამოყენების, ციტირებისა და შენიშვნების სასქოლიო მითითებები 246 უდრის. წიგნი მეცნიერულ ნარკვევს წარმოადგენს, რომელიც ყველა განვითარებულმა მკითხველმა შეიძლება წაიკითხოს. ამდენად, ფრიად მისასალმებელია, თუკი ის საჯარო ბიბლიოთეკების თაროებზეც დაიმკვიდრებს ადგილს, მით უმეტეს, საქართველოს სამხრეთ ნაწილში, სადაც ღდეს მრავლად ცხოვრობენ ამ კუთხის ოდინდელ შვილთა შთამომავლები.



ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

■ 7 აპრილს საქართველოს პარლამენტის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სააგენტო ჩამბრიდგე Stuty-ის



კავკასიის რეგიონალურმა წარმომადგენელმა დავით კბილაშვილმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომ-

ლობის მემორანდუმს. საგანმანათლებლო ცენტრი ბიბლიოთეკის მკითხველებს უსასყიდლოდ გაუწევს საგანმანათლებლო კონსულტაციას სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელებისა თუ პროფესიული განვითარების კუთხით. დიდი ბრიტანეთის ქალაქ კემბრიჯში დაფუძნებულ საგანმანათლებლო სააგენტო კავკასიის რეგიონში უზრუნველყოფს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებში სასწავლებლად გაგზავნას.

■ საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ დაიწყო აქცია „დააბინავე წიგნები ეროვნულ ბიბლიოთეკაში“. აქცია ითვალისწინებს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების შეფასებას.

■ 10 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში თბილისის მე-18 საჯარო სკოლამ წარადგინა პროექტი „ქართველი ემიგრანტები ამერიკაში“. ამავე დღეს გაიმართა მალხაზ ხარბედიას წიგნის „ქართული ღვინის გზამკვლევი“ წარდგენა.

■ 16 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ბოლო წლებში გამოცემულ სამეცნიერო პროდუქციის გამოფენა. აქვე წარმოადგინეს ინსტიტუტის გზამკვლევის მესამე წიგნი „ათონის საღვთისმეტყველო –



ლიტერატურული სკოლა“.

■ 17 აპრილის დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საქართველოს პარამეტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადასცა



ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკიდან ჩამოტანილი უძველესი ქართული ხელნაწერების დიგიტალური ვერსიები. ხელნაწერთა შორის არის ქართულ-ებრაული პალიმფსესტი. ასევე მნიშვნელოვანია ჯვრის მონასტრის აღმშენებლის პროხორეს დაკვეთით იოანე შავის მიერ გადაწერილი მამათა დიდი წიგნი. გადმოცემული მასალები საინტერესოა ქართველი მეცნიერებისათვის. იმავე დღეს რუსთაველის კლუბმა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნოდარ ნათაძემ ჩაატარეს საჯარო ლექცია თემაზე: „ჰუმანიტარულ სახელმძღვანელოთა თანამედროვე პრობლემები“.

■ 18 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ წალკის რაიონის სოფელ ახალმენის სკოლას გადასცა 400 ეგზ. წიგნი. 2012 წლიდან დღემდე აღნიშნულ ბიბლიოთეკას საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ბიბლიოთეკებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული აქვს 20 ათასამდე ეგზ. წიგნი და სხვა სახის გამოცემები. ბიბლიოთეკის ამ აქციას მხარი დაუჭირა გამომცემლობათა დიდმა ნაწილმა. წიგნები გადაეცა, ასევე გერმანიის სათვისტომოს ლანდსჰუტის ციხეში მყოფ ქართველ პატიმრებს.

■ 28 აპრილს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიხსნა საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული. გაიმართა კონკურსი „წარმოადგინე შენი ბიბლიოთეკა“. კონკურსში მონაწიეობდა საქართველოს ათზე მეტი მუ-

ნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა.

■ კვირეული დაიხურა 8 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დახურვაზე ეროვნულმა ბიბლიოთეკამ წარმოადგინა ელექტრონული რესურსებით მომსახურების საშუალებები. ასევე წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკები, უმაღლესი სასწავლებლებისა და სპეციალიზირებული ბიბლიოთეკები.

■ 29 აპრილს თბილისში გაიმართა წიგნის მე-16 საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალის დღეებში საქართველოს მუნიციპალიტეტების 66 მთავარ (ცენტრალურ) ბიბლიოთეკებს გადაეცათ 700-700 ლარის ვაუჩერები ახალ წიგნების შესაძენად. ვაუჩერები გადაეცათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით.

■ 1 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ამავე ბიბლიოთეკის მიერ გამოცემული ბეჭდური და ელექტრონული რესურსების გამოფენა. აქვე წარმოდგენილი იყო მაია მიქაბერიძის მიერ შედგენილი წიგნი „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის

გამოცემების ბიბლიოგრაფია“ ღონისძიება გაიმართა საბიბლიოთეკო კვირეულის პროგრამით.

■ 7 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ



ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეზიის დღისადმი მიძღვნილი საღამო. 7 მაისი პოეზიის დღედ 1920 წელს „ცისფერყანწულმა“ ორდენმა გამოაცხადა. რომელიც 2010 წლიდან აღსდგა. ამ დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მასპინძლობს პოეზიის მოყვარულთა სხვადასხვა თაობას. საღამოს მთავარი თემა იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრის ბი-

ძინა მაგალობლიშვილის პოეზიის ნიმუშები. მათი ავტორი 1993 წელს დახვრიტეს სოხუმში.

■ 8 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოაქვეყნა „მკითხველთა კონკურსში“ გამარჯვებულები. პირველი ადგილი მიეკუთვნა ერეკლე მარტიაშვილს, მეორე ადგილი ქ. ტალახაძეს და მესამე ადგილი ხ. ჭოხონელიძეს. გამარჯვებულები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფს ხელმძღვანელობს საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვარი ლევან მოსიაშვილი.

■ 14 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გურამ ნაბახაშვილმა გადასცა 1988-1989 წ. წ. გადაღებული თბილისის ფოტოების ელექტრონული ვერსია.

■ 15 მაისს არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანმა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა აუდიონიგები უსინათლოთათვის. აუდიოჩანანების ერთი ნაწილი გადაეცა საქართველოს მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკებს. იგივე გამოცემები განთავსდა ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე.

■ 17 მაისს საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და ნიცაში ქართული სათვისტომოს დახმარებით ამავე ქალაქში გაიხსნა ქართული ბიბლიოთეკა. ნიცაში იმყოფებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე, რომელმაც ბიბლიოთეკას 200-ზე მეტი წიგნი გადასცა.

■ 21 მაისს საფრანგეთში საქართველოს საელჩოს

ინიციატივით პარიზში წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარში გაიხსნა ქართული ბიბლიოთეკა. ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საჩუქრად გადასცა 200-ზე მეტი წიგნი.

■ 24 მაისს ასოციაცია „კვალის“ ხელმძღვანელმა შოთა ვაშაკიძემ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა აშშ-ი მცხოვრები ქართველი ემიგრანტების არქივები და წიგნადი ფონდი. ფონდების კატალოგიზაციის შემდეგ იგი ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებულ პირთათვის.

■ 25 მაისს თურქეთში საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი. ამ დღეს მიეძღვნა სპეციალური ღონისძიება, რომელსაც „ქართული ზეიმი“ ეწოდა. ღონისძიება იმართება საქარიას რაიონში. ღონისძიებას დაესწრნენ თურქეთის ქართული სათვისტომოებისა და კულტურის დარგის წარმომადგენლები.

■ 29 მაისს „ექსპოჯორჯიაში“ წიგნის ფესტივალზე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და კომპანია „ჯეოსელი“ აგრძელებდნენ პროექტს „ერთად შეექმნათ ციფრული ფოტომატიანე“. ამავე დროს ფესტივალზე გროვებოდა წიგნები საქართველოს სოფლის ბიბლიოთეკებისათვის გადასაცემად. ფესტივალში 1 ივნისამდე გაგრძელდა. ეროვნულ ბიბლიოთეკას არაერთი იშვიათი ფოტოალბომი გადაეცა. ამავე დღეს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და კომპანია „ჯეოსელმა“ მესტიის რაიონის სოფ. უშგულის სკოლას 200-მდე წიგნი გადასცა.

■ 30 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. თორსის სჯარო სკოლას 400-ზე მეტი წიგნი გადასცა.

საბიბლიოთეკო ასოციაციამ კონკრეტული სამუშაო გეგმა განიხილა

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობამ 30 ივნისის სხდომაზე განიხილა ასოციაციის სამუშაო მიმართულებები უახლესი პერიოდისათვის. პირველ რიგში საკითხი შეეხებოდა ასოციაციის ინსტიტუციონალურ გაძლიერებას, რაც გულისხმობს წევრების მოზიდვას, აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბებასა და გამგეობის წევრებს შორის კომუნიკაციების გააქტიურებას. ამ მიზნით გადაწყდა ტრენინგები ჩაუტარდეთ გამგეობის წევრებს ასოციაციის მართვის საკითხებზე. ამავე სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება შეიქმნას დოკუმენტები ასოციაციის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების შესახებ. ასოციაციის ოპერატიული მართვისათვის საჭიროდ იქნა მიღებული გამგეობის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ იქნეს განხილული ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის კოდექსის პროექტი, რომელიც ადრე გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“.

საჯარო ბიბლიოთეკებში სერვისების განვითარების შესახებ აღნიშნა, რომ ასოციაცია იზრუნებს

მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფის საკითხებზე. იმ მიზნით, რომ თითოეულ ბიბლიოთეკას ჰქონდეს ინტერნეტი, დაწეროს კომპიუტერული პროგრამა და განავითაროს მკითხველთა მომსახურების ელექტრონული საშუალებები. გადაწყდა შესწავლილი იქნეს საბავშვო ბიბლიოთეკების ქსელი და მომსახურების მდგომარეობა. თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების განვითარების სტრატეგიაზე მსჯელობისას გადაწყდა მერიასთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების განვითარების კონკრეტულ სამუშაო გეგმას.

სასკოლო ბიბლიოთეკებთან ურთიერთობის საკითხზე მსჯელობისას მიღებული იქნა გადაწყვეტილება მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამ უწყებაში შემაჯავალი ბიბლიოთეკების რაოდენობითი მაჩვენებლების დაზუსტება.

გამგეობის სხდომაზე გარკვეული ყურადღე-

ბა დაეთმო საუნივერსიტეტო და აკადემიური, აგრეთვე სპეციალური ბიბლიოთეკების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო კურსებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ამ კურსების ინტენსივობა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კურსებისათვის შესაბამისი ბაზების გამოძებნა.

გამგეობაზე იმსჯელეს ასევე ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ორგანიზაციული და მინარსობრივი მიმართულებების გაძლიერებისა და გაუმჯობესების შესახებ. აღინიშნა, რომ ჟურნალზე ხელისმომწერების რაოდენობა მკვეთრად არის შემცირებული. საჭიროა ჟურნალს ჰყავდეს მენეჯერი, რომელიც მოაგვარებს მისი ტირაჟის გაზრდას და იზრუნებს იმაზე, რომ ჟურნალი გავრცელდეს სა-

ჯარო და სხვა უწყების ბიბლიოთეკებში. აუცილებელია ჟურნალის ეკონომიკური მხარდაჭერა. დღემდე ჟურნალი იცემა ერთუზიანობით, სარედაქციო კოლეგიისათვის მატერიალური ანაზღაურების გარეშე. საჭიროა სხვა დაფინანსების წყაროების ძიება, რადგანაც ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი ვერ ახერხებს ჟურნალის შექმნას მინიმალური რაოდენობით.

ყველა განხილულ საკითხზე ასოციაციის გამგეობამ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილებები. ცალკეული საკითხების შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება დაევალათ გამგეობის წევრებს. გამგეობამ საჭიროდ ჩათვალა მოენყოს შეხვედრა მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებთან. ამისათვის საჭირო იქნება რეგიონალური წარმომადგენლობის დანიშვნა.

ბიბლიოთეკების საყურადღებოდ!

კვირეულის დღეებში ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გამოაგზავნეთ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილებაში. ელ. ფოსტის მისამართი: — nano@hotmail.com

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვის ინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე, მისამართი: www.nplg.gov.ge/geo/7


ნეკროლოგი

ქ. თბილისის მთავარ ბიბლიოთეკას გამოაკლდა დვანოსოვსკის თანამშრომელი ქალბატონი თინა ჩაგანავა. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს იგი ახსოვთ როგორც საბიბლიოთეკო საქმის კარგი მცოდნე, ასევე პიროვნულად ძალიან თბილი, გულისხმიერი და სამართლიანი ადამიანი.

ქალბატონი თინა სტუდენტობისას დადიოდა თბილისის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (ყოფილი ალ. ჯაფარიძის სახ.) და იმდენად მოსწონდა საბიბლიოთეკო საქმიანობა, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა ბიბლიოთეკაში დაიწყო, სადაც 50 წელზე მეტი იმუშავა.

ქალბატონო თინა! განუზომლად დიდია თქვენი წვლილი საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში. თქვენ ხომ მრავალი შეხვედრა მოგიწყვიათ საქართველოს გამოჩენილ ადამიანებთან. იყავით გამოფენების მოწყობის უბადლო ოსტატი. თქვენ იყავით ის ხიდი, რომლითაც კავშირს ამყარებდით ავტორსა და წიგნს, წიგნსა და მკითხველს შორის. თქვენ ჩაუქრობელი სანთელი იყავით, რომელიც ყოველდღიურად საბიბლიოთეკო საქმიანობისთვის იღვენებოდით და თითო აგურს დებდით ამ დიდ საქმეში, მუდმივად ახლის ძიებითა და სამუშაოზე გამოტანით ჩვენი ბიბლიოთეკის სახეს წარმოაჩენდით, ბიბლიოთეკაში ყოველთვის მომღიმარი სახით შემოდოდით, დედაშვილურ სითბოს არ გვაკლებდით, გვესაუბრებოდით წიგნებზე,

გვასწავლიდით, რომ ბიბლიოთეკა ის ადგილი, სადაც იზრდებიან ახალგაზრდები და სწორედ აქ იწრთობა ერის ბედი. დაგიფასდათ კიდევ შრომა. ათეული წლების მანძილზე იყავით სამკითხველო დარბაზის გამგე, რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი, ქსელის გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარე, რამდენიმე რაიონული საბჭოს მოწვევის დეპუტატი. თქვენ ყველგან მოწოდების სიმალეზე იდევით. ერთგულად და პატიოსნად ასრულებდით ყველა მოვალეობას. ყველას სატკივარი და სიხარული გულთან მიგქონდათ და ცდილობდით, მხარში დადგომოდით ჭირში თუ ლხინში.



დაე, უფალმა თქვენს სულს დაუმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკა-ფილიალების თანამშრომლები.

თ. მ. ბ. გაერთიანებული პროფესიული კავშირი ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია



საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს
 პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და ეურნალის რედაქცია
 ცუღომსურვალედ ულოტავს ბიბლიოთეკის დირექციას და
 თითოეულ თანამშრომელს სანჯლოვან იუბილეს

